# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№060(12739) 14 მარტი შაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



## ჟოზე, ევროპული დისკოთეკა ნაღდი!

» 6

დღეს. რაგბი. ერთა თასი. ეროვნული სტადიონი. 16:00

საქართველო-რუმინეთი

ROMANIA

# გამარჯვება კიდევ ერთი, დავამარცხოთ რუმინეთი!



» 11



## კობი დაშავდა



დავით ოდიკაძე

## უნგრელები ქართული დროშით გვქომაგობენ

ლეგიონერები » 5

### ბრინჯაოს მაძიებლები ოქროს ქალაქში

საქართველოს ჩემპიონატი. XXIV ტური » 2-3



### ორი წელიწადია ნაკრებში არ მითამაშია და ვნერვიულობ

ინტერვიუ გიორგი განუგრავასთან » 5



### კურტანიძის ბოლო შანსი

ჭიდაობა: ევროპის ჩემპიონატი » 13

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXIV ტურის წინათქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**14.03. გორი. თ. ბურჯანაძე 14:00**
**ვიტ ჯორჯია – გაგრა** Live

არბიტრი: კ. ჭაჭუა;
ასისტენტები: ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე;
მეოთხე მსაჯი: გ. ვადაჭკორია
დისკვალიფიკაცია: გაბედავა (გაგრა)

**15.03. თბილისი. ეროვნული. 15:00**
**დინამო – სპარტაკი**

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი;
ასისტენტები: ო. მოლოდინაშვილი, შ. ქუხილავა;
მეოთხე მსაჯი: ო. ხეცაძე
დისკვალიფიკაცია: არავინ

**15.03. ბოლნისი თ. სტეფანია. 14:00**
**სიონი – ზესტაფონი** Live

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი;
ასისტენტები: ი. უკლება, ს. სპიცინი;
მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი
დისკვალიფიკაცია: არავინ

**15.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 15:00**
**მესხეთი – ოლიმპი**

არბიტრი: ლ. კვარაცხელია;
ასისტენტები: გ. ყრუაშვილი, დ. კვეტენაძე;
მეოთხე მსაჯი: ჯ. ბუიშვილი
დისკვალიფიკაცია: არავინ

**15.03. ზუგდიდი ცენტრალური. 15:00**
**მგლები – ბორჯომი**

არბიტრი: ი. ურუშაძე;
ასისტენტები: კ. გაბრიაძე, ა. კოკაია;
მეოთხე მსაჯი: პ. დოგრაშვილი
დისკვალიფიკაცია: რაქვიაშვილი (მგლები)

**სულ**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 21 | 14 | 6 | 1 | 37-12 | 48 |
| 2. დინამო | 21 | 15 | 2 | 4 | 46-15 | 47 |
| 3. ზესტაფონი | 21 | 12 | 3 | 6 | 26-15 | 39 |
| 4. ოლიმპი | 21 | 10 | 9 | 2 | 24-11 | 39 |
| 5. სიონი | 21 | 7 | 8 | 6 | 22-19 | 29 |
| 6. ლოკომოტივი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-21 | 28 |
| 7. მესხეთი | 21 | 5 | 9 | 8 | 15-25 | 23 |
| 8. მგლები | 21 | 6 | 4 | 11 | 19-27 | 22 |
| 9. გაგრა | 21 | 4 | 4 | 13 | 14-35 | 16 |
| 10. სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 18-35 | 13 |
| 11. ბორჯომი | 21 | 2 | 6 | 13 | 16-46 | 12 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 30-7 | 28 |
| 2. ოლიმპი | 11 | 6 | 5 | 0 | 13-2 | 23 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 7 | 0 | 3 | 15-6 | 21 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 18-7 | 21 |
| 5. მგლები | 11 | 5 | 1 | 5 | 12-9 | 16 |
| 6. ლოკომოტივი | 11 | 5 | 1 | 5 | 12-8 | 16 |
| 7. გაგრა | 11 | 4 | 3 | 4 | 11-13 | 15 |
| 8. სიონი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-10 | 13 |
| 9. მესხეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 |
| 10. ბორჯომი | 11 | 1 | 4 | 6 | 8-20 | 7 |
| 11. სპარტაკი | 10 | 1 | 3 | 6 | 10-18 | 6 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 3 | 0 | 19-5 | 27 |
| 2. დინამო | 11 | 6 | 1 | 4 | 16-8 | 19 |
| 3. ზესტაფონი | 11 | 5 | 3 | 3 | 11-9 | 18 |
| 4. ოლიმპი | 10 | 4 | 4 | 2 | 11-9 | 16 |
| 5. სიონი | 11 | 4 | 4 | 3 | 10-9 | 16 |
| 6. ლოკომოტივი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 12 |
| 7. მესხეთი | 11 | 2 | 4 | 5 | 5-15 | 10 |
| 8. სპარტაკი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-17 | 7 |
| 9. მგლები | 10 | 1 | 3 | 6 | 7-18 | 6 |
| 10. ბორჯომი | 10 | 1 | 2 | 7 | 8-26 | 5 |
| 11. გაგრა | 10 | 0 | 1 | 9 | 3-22 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 11 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 9 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 9 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 8 |

# ...მხოლოდ სატურნირო მნიშვნელობით

მეოცე ჩემპიონატში გუნდების შემცირებამ რამდენიმე დადებითი ტენდენციაც მოგვიტანა; არაერთხელ ვთქვით და კიდევ უნდა გავიმეოროთ: სატურნირო ცხრილის სათავეშიც და ბოლოშიც, მართლაც რომ დამაინტრიგებელი სიტუაციაა. სამწუხაროდ, ამ ინტრიგას ვერც გულშემატკივარი შემოუტყუებია ტრიბუნებზე და ვერც ქართული საკლუბო ფეხბურთის დონე აუმაღლებია...

ჩემპიონატის დაწყებიდან ისიც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ კალენდრის მიხედვით, ტური არ გავა, პრინციპულს და ცენტრალურს რომ ვეძახით, ისეთი მატჩი არ გვქონდეს. ჰო, თითქმის იშვიათი შემთხვევის გარდა, ყველა ტურში ერთი „ბომბამატჩი" არის და იმ მცირე გამონაკლისთაგან ერთ-ერთი სწორედ ოცდამეოთხე ტურია. როგორც დავეჩვიეთ, ტური კვლავაც ორ დღეზე იქნება განაწილებული: დღეს ერთპიროვნული ლიდერი „ვიტ ჯორჯია" აუტსაიდერ „გაგრას" უმასპინძლებს, დანარჩენი ოთხი შეხვედრა კი ხვალ ჩატარდება. ჰოდა, ჩვენც მივყვეთ და თითოეულ წყვილზე საკუთარი მოსაზრება ჩამოვაყალიბოთ.

ერთი შეხედვით, დღევანდელ მატჩში ფავორიტის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს: „ვეტერინარებს" საჩემპიონო ტემპი აქვთ აღებული და მართლაც „კოშმარულ" აპრილამდე ქულების დაკარგვას ნაღდად არ აპირებენ. სხვათა შორის, წინა წლებისგან განსხვავებით, „ვიტ ჯორჯიამ" ამ სეზონში თითქმის ყველა ის შეხვედრა მოიგო, სადაც უეჭველ ფავორიტად ითვლებოდა. ამიტომაც გვგონია, **რამაზ მუმლაძის** უაღრესად სტაბილური გუნდი ამ სეზონში მესამე ჯერზეც შეძლებს დებიუტანტი „გაგრას" დამარცხებას. პირველ წრეში „ვეტერინარებმა" 2:0 გაიმარჯვეს, მეორეში კი უფრო შთამბეჭდავად — 4:0. სხვათა შორის, ზამთრის სატრანსფერო კამპანიის დროს „ვიტ ჯორჯიას" დიდად არ უაქტიურია და მხოლოდ სამი ფეხბურთელი დაიმატა. საინტერესოა, რომ სამივე... „გაგრას" ღირსებას იცავდა: **ნიკა მგელაძე, ზამორა დათუნაშვილი** და **მიხეილ ხოკერაშვილი.** ოღონდ, ამ სამეულიდან მხოლოდ მგელაძეს (ისიც — შეცვლებზე) ვხედავთ ძირითად გუნდში, დანარჩენი ორი კი პირველ ლიგაში მოასპარეზე „ვიტ ჯორჯია 2"-ში ასპარეზობს. აი, „გაგრას" კი მართლაც არასახარბიელო მდგომარეობა აქვს. რა თქმა უნდა, გასავარდნად განწირულად ვერ გამოვაცხადებთ, მაგრამ ქულებსაც რომ მოგროვება უნდა, ესეც ფაქტია. ამ დროს კი, რა ხდება — ზამთრის პაუზის მერე ახალგაზრდულმა გუნდმა ხუთი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. ამას გარდა, „გაგრა" საკმაოდ სუსტად თამაშობს სტუმრად — XVII ტურში „სპარტაკთან" ფრე ითამაშა და მორჩა, გუნდს მეტი ქულა აღარ აუღია!

დანარჩენი მატჩები ხვალ ჩატარდება და მათგან ყველაზე დიდ ინტერესს ბოლნისური მატჩი იწვევს. საერთოდაც, რაც მეორე ეტაპი დაიწყო, „სიონი" მუდამ ყურადღების ცენტრშია: ჯერ იყო და, აუტსაიდერ „სპარტაკს" შინ ვერ მოუგო; მერე, ტაიმ-ნახევარი ტოლი არაფერში დაუდო „დინამოს"; ამას „ლოკომოტივთან" საშინაო გამარჯვება და, რაც ყველაზე მთავარია, სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან" ფრე მოჰყვა! რაც შეეხება „ოლიმპთან" „ქვემოქართლურ დერბად" შერაცხილ მატჩს, იმაზე ალარაფერს ვიტყვით. საერთოდაც, დღევანდელი მდგომარეობით ყველაზე „საშინელ" დღეში ორი გუნდია: „სიონი" და „ლოკომოტივი"; ჰო, ორივე გუნდს არც მედლებზე აქვს პრეტენზია და არც გავარდნის საფრთხე ემუქრება. ამიტომაც, ჩემპიონატის დარჩენილ შეხვედრებში ძნელია, რომ ფეხბურთელებს განსაკუთრებული მოტივაციით თამაში მოსთხოვო. თანაც, ხომ შეიძლება, რომელიმე თამაში წააგო (მნიშვნელობა არა აქვს, მეტოქე ძლიერი იქნება თუ სუსტი); ჰოდა, მიდი მერე და ამტკიცე, რომ იმ ბევრად „მოტივირებულ" მეტოქესთან ნაღდ ბრძოლაში დამარცხდი თუ მომავალი სეზონისათვის (?) სამი (შესაძლოა, მეტიც) ქულა დაიბევე?!



ხვალ ბოლნისში გია ჭანტურიას ყოფილ კლუბთან მოუწევს დაპირისპირება

გავანებოთ თავი ვარაუდებს და უპირველესად, ის ვთქვათ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ამ შეხვედრას სტუმართათვის: რუსთავში მეტისმეტად სუსტად ჩატარებული მატჩის მერე „ზესტაფონის" ფეხბურთელებს სრული რეაბილიტაცია მოეთხოვებათ. ამას გარდა, სატურნირო მდგომარეობაც აიძულებს **გია გეგუჩაძის** გუნდს, რომ ბოლნისში მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქროს. სხვა შემთხვევაში ხომ მეორე ქვემოქართლურმა გუნდმა, რუსთავის „ოლიმპმა" უკვე შესაძლოა გადაასწროს კიდეც. ეს მატჩი იმითაც იქნება საინტერესო, რომ ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოუწევს ასპარეზობა „სიონის" გამოცდილ მეკარეს **გრიგოლ ჭანტურიას**, ვისაც „ზესტაფონიდან" აშკარად არცთუ ტკბილი მოგონებები გამოჰყვა. აი, რაც შეეხება „სიონის" ორ ყოფილ „შავ მარგალიტს", **ბოიმომოსა** და **ჩასემს,** ორივე კამერუნელი „ზესტაფონის" ძირითადში როდის იყო, ალბათ, თვითონაც აღარ ახსოვთ. კიდევ ერთი დეტალი ამ მატჩის ირგვლივ: ამ სეზონში „ზესტაფონმა" ორივე მატჩი მოუგო „სიონს" და ორივე ერთნაირი ანგარიშით (1:0). საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში გოლები მატჩის მიწურულს გავიდა და ორივეჯერ თავი მცველებმა (**გიორგი ხიდეშელი, როინ ონიანი**) გამოიჩინეს. თუმცა უმთავრესი ამ შემთხვევაში მაინც სხვა იყო; ეს „სხვა" კი, „ზესტაფონის" იმდროინდელი მწვრთნელის, თემურ მახარაძის ფაქტორი გახლავთ...

მესამე ადგილისათვის მებრძოლი კიდევ ერთი გუნდი რუსთავის „ოლიმპია" - **ვარლამ კილასონიას** კრებული მაქსიმალურად ეცდება წაუგებელი სერიის გაზრდას. „ოლიმპს" იოლი მეტოქე ნამდვილად არ ეყოლება: **კობა თედიაშვილის** „მესხეთმა", ყველასათვის მოულოდნელად, მეორე ეტაპზე ქულების მოგროვება დაიწყო და სახიფათო ზონასაც გვარიანად დაშორდა. თუმცა, ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „მესხეთი" გვარიან წინააღმდეგობას რომ გაუწევს ფავორიტ მეტოქეს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. მით უმეტეს, რომ ბორჯომში სათამაშოდ „ოლიმპი" მეტად და მეტად სერიოზული დანაკლისით ჩადის...

აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა ფრედ (1:1) დასრულდა, მეორეში კი „ოლიმპმა" დიდი ანგარიშით (4:0) დაამარცხა მეტოქე. თუმცა ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ იმ პერიოდში „მესხეთს" სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და გუნდიც, ფაქტობრივად, მხოლოდ მატჩის დღეებში იკრიბებოდა...

ამ ტურში ერთადერთი წყვილი, სადაც თითქმის ყველაფერი გარკვეულია, „მგლები"-„ბორჯომის" დაპირისპირებაა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: „ბორჯომი" მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნითღა ასრულებს ჩემპიონატს. სხვა მიზანი ამ ფინანსურად შეჭირვებულ გუნდს აღარ დარჩა და რა უნდა მოხდეს, რომ ზუგდიდიდან ქულა წამოიღონ. მით უმეტეს, რომ **ბესიკ შეროზიას** გუნდი ჩემპიონატის ფავორიტებს ეთამაშება ტოლი-ტოლზე (შინაც და გარეთაც) და განწირული აუტსაიდერის დამარცხება გაუჭირდება?

დაბოლოს, კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც, მეტოქეთა საპირისპირო პოლუსზე ყოფნის მიუხედავად, მაინც გარკვეულ ინტერესს იწვევს.

ჯერ ერთი, მოქმედი ჩემპიონის ყველა შეხვედრას თავისებური ელფერი აქვს. აღარაფერს ვამბობთ იმ ძველისძველ „ტრადიციაზეც", „დინამოს" წინააღმდეგ განსაკუთრებული მოტივაციით ასპარეზობა რომ ჰქვია. ჰო, მნიშვნელობა არა აქვს მეტოქის სიძლიერესა და ამბიციებს — „დინამო" ნებისმიერი მოწინააღმდეგისათვის ხომ სერიოზული „გამღიზიანებელია". „დინამო"-„სპარტაკის" მატჩი სხვა მხრივაც გვიტოვებს მცირე, მაგრამ მაინც ინტრიგას: **რაინერ ცობელის** გუნდი ჩემპიონობისათვის იბრძვის, აშკარად „მოფერიანებული" „სპარტაკი" კი — უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის. ისე, „სპარტაკს" პირველ ეტაპზეც ასე რომ ეასპარეზა, ახლა, ალბათ, ცხრილის შუაგულში ვიხილავდით. ფაქტია, რომ **სერგო გაბელაიას** ხელმძღვანელობით გუნდმა ქულების მოგროვება დაიწყო, მაგრამ რამდენად ეყოფათ საბოლოო მიზნის შესასრულებლად, ძნელი სათქმელია. აი, „დინამოს" კი, ცოტა არ იყოს, კრიტიკოსები მოუმრავლდნენ და ამ ხალხს არც გაემტყუნება: „მგლებთან" და „გაგრასთან" შეხვედრებში ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის თამაში უკეთესის შთაბეჭდილებას აშკარად ტოვებდა. რა თქმა უნდა, ყველა მატჩს შთამბეჭდავი ანგარიშით ვერ მოიგებ, მაგრამ „დინამოსგან" ყოველთვის ხომ მეტს ვითხოვთ...

მეოცე ჩემპიონატში „დინამომ" აქამდე ჩატარებული ორივე მატჩი მოუგო „სპარტაკს" (4:1, 3:0). აღსანიშნავია, რომ პირველი მატჩი მნიშვნელოვანი სხვა რამითაც იყო: 2003 წლის 21 სექტემბერს რაინერ ცობელმა საქართველოს ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა!

**გია ტუხაშვილი**

**მეორე ლიგა**
**აღმოსავლეთი XVIII ტური**
**13 მარტი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ლიახვი | 0:1 |
| ბორჯომი 2-35-ე სკოლა | 0:3 |
| ზოოვეტი-სპარტაკი 2 | 0:0 |
| დუშეთი-ნ/დინამო 2 | 2:0 |
| ჰერეთი 2-ამერი 2 | 0:2 |
| სამგორი-IBSU | 0:1 |
| ალაზანი-იმედი | 2:1 |
| გარეჯი-ალგეთი | 2:2 |
| ერთობა-არაგველები | გადაიდო |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ხვალ სიონი-ზესტაფონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრინჯაოს გზა ოქროს ქალაქზე გადის

**საქართველოში ოქრო ბოლნისში მოიპოვება და ამის გამო ამ ქალაქს ოქროს ქალაქადაც კი მოიხსენიებენ. ქვემო ქართლის ამ კოპწია ქალაქს ხვალ „ზესტაფონი" სტუმრობს. იმერლები მინიმუმ ბრინჯაოს მედლებისთვის და უეფას თასის საგზურისთვის იბრძვიან, იგივე მიზანი, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ბოლნისელთა პროგრამა მაქსიმუმია. ვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ „ზესტაფონი" და „სიონი" ცხრილში მეზობლები არიან, მეოთხე-მეხუთე ადგილზებზე არიან. შესაბამისად ამ ტურის ცენტრალური მატჩი სწორედ ბოლნისში გაიმართება.**

**საინტერესოა რა აზრისა არიან კვირის მატჩზე, მეტოქეებზე და შანსებზე მოწინააღმდეგე გუნდების გამორჩეული ფიგურები.**



რევაზ გოცირიძე

## რევაზ გოცირიძე:
## მოგების დროა!

- „ზესტაფონთან" მატჩისთვის არანაირი განსაკუთრებული სამზადისი არ გვაქვს, ჩვეულებრივ ვემზადებით.

**- ბევრი ტრავმირებული გყავდათ და კიდევ გაქვთ დანაკლისი?**

- ტრავმების გამო ჯაბა მუჯირი და რეზო ქემოკლიძე დაგვაკლდებიან. სხვა ყველა მწყობრშია და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელიც არ გვყავს. ასე რომ, ორი მცველი დაგვაკლდება, მაგრამ გუნდში გვყავს უკანა ხაზის ფეხბურთელები და მჯერა, ეს დანაკლისი არ დაგვეტყობა.

**- მეტოქეზე რას გვეტყოდით?**

- ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავს და სათანადოდ ვაფასებთ. ჩემი აზრით, გია გეგუჩაძე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. მეც მომიწია მასთან მუშაობამ და ამ მწვრთნელს კარგად ვიცნობ. მისი გუნდები ყოველთვის შემტევ და გამართულ ფეხბურთს აჩვენებენ და ბოლნისშიც იმავეს ველით.

**- „ზესტაფონიდან" ვის გამოყოფდით?**

- ლევან მელქაძეს, ზურაბ იონანიძეს, ნიკა გელაშვილს, სევასტი თოდუას, უჩა ლობჟანიძეს, გიორგი ხიდეშელს... სხვა კარგი ფეხბურთელებიც ჰყავთ, მაგრამ ყველას არ ჩამოვთვლი... „ზესტაფონი" ყველა სათამაშო რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდია. გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მოძრავი და მებრძოლი გუნდია.

**- იმერლებმა მიმდინარე სეზონში ორივე თამაში მოგიგეს. კვირის თამაშზე შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- მაინც თანაბრად. კი „ზესტაფონთან" ორივე შეხვერდრა 0:1 წავაგეთ. სხვათა შორის, ორივეჯერ მატჩის ბოლო წუთებზე გავუშვით გოლი. ხვალ ჩვენი ჯერია... დროა მოვიგოთ და ჩვენი გულშემატკივარი გავახაროთ. ჩვენი პროგრამა მინიმუმ ხუთეულში ყოფნაა და თუ კიდევ დავკარგეთ ქულები, ამ მიზნის მიღწევა, მერე გაგვიჭირდება. მით უმეტეს, გასულ ტურში ზუგდიდში დავმარცხდით. ასე რომ, ახლა ჩვენი მოგების დროა.

**- ბევრი აღნიშნავს ბოლნისურ მოედანზე თამაში ჭირსო. შეგვიძლია ეს ფაქტორი თქვენს პლუსად ჩავთვალოთ?**

- არა მგონია, ეს მომენტი ჩვენს წისქვილზე ასხამდეს წყალს. იმ მოედანზე თამაში ჩვენც გვიჭირს.

**- წინა ტურში „ზესტაფონის" დარად თქვენც დამარცხდით...**

- ჰო, ამ მხრივ ერთ ბედ ქვეშ ვართ. ვფიქრობ, ამ წაგებებმა, ორივე გუნდი გაგვაბრაზა. ასე რომ, ბოლნისში ორივე მოგებისთვის ვიბრძოლებთ. მეტოქეს დიდ პატივს ვცემ და სათანადოდაც ვაფასებ, მაგრამ ეს თამაში ჩვენ უნდა მოვიგოთ.

## სევასტი თოდუა:
## ბოლნისში მოგება ძნელია, მაგრამ უნდა შევძლოთ

- ბოლნისის მატჩისთვის გამორჩეულად ვემზადებით და ვნახოთ რა გამოვა... უფრო სწორად, ვნახოთ რა გამოვა კი არა და... უნდა გამოვიყვანოთ. ბოლნისში უნდა მოვიგოთ, თორემ ისე მესამე ადგილის დაკავება და უეფას თასის გათამაშებაზე საასპარეზო საგზურის მოპოვება გაგვიჭირდება.

**- რამდენადაც ვიცი, დანაკლისი არ გაქვთ...**

- ამ თამაშს სრული საბრძოლო შემადგენლობით ვხვდებით. დანაკლისი კი არა, პირიქით, გიორგი ჭელიძე (ნუგზარის ძე) დაგვემატება. გიორგიმ რუსთავში ჩატარებული მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ჭელიძე ჩვენთვის დიდი ძალაა.

**- მიმდინარე სეზონში „სიონთან" წარმატებული ბალანსი გაქვთ. შეძლებთ ტრადიციის გაგრძელებას?**

- დიახ, „სიონს" ამ ჩემპიონატში სტუმრადაც და შინაც ერთნაირი ანგარიშით, 1:0 მოვგეთ. ახლაც უნდა მოვიგოთ. უფრო დიდი ანგარიშით თუ ვერა, მინიმალური სხვაობით მაინც უნდა გავიმარჯვოთ.

**- მეტოქეზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- „სიონი" ჩინებული გუნდია, კარგი შემადგენლობა და მწვრთნელი ჰყავს. გარდა ამისა, ბოლნისში თამაში ყველა გუნდს უჭირს.

**- მაინც რით გამოირჩევა მეტოქე?**

- გამოცდილი ფეხბურთელებით, ბრძოლისუნარიანობით და გულშემატკივრებით. გარდა ამისა, ბოლნისში მოედნის საფარი ცუდია და სტუმრებს კი არა, თავად „სიონსაც" უჭირს თამაში. იქ ძნელია ბურთის გაგორება.

**- თუ იწვიმა...**

- წვიმა? წვიმა შესაძლოა უკეთესიც კი იყოს, ბურთი არაორდინალურად მაინც აღარ იხტუნავებს (იცინის)...



სევასტი თოდუა

**- ვის გამოარჩევდით „სიონიდან"?**

- გოცირიძე, დიდავა, დავითაშვილი, ქემოკლიძე... ბოლნისელებს ბევრი გამორჩეული, გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავთ... ერთი სიტყვით, ბოლნისში მოგება ძნელია, მაგრამ უნდა შევძლოთ.

**- მეტოქის ამდენი პლუსები ჩამოთვალე და საინტერესოა შანსებს როგორ გაანაწილებდით...**

- მაინც თანაბრად. ჩვენ სტუმრები ვართ, მეტოქესაც რეალურად ვაფასებ, ჩვენი გუნდის ძალაც ვიცი... აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ შანსები თანაბარია.

**- დაბოლოს, წინა ტურში რუსთავში წააგეთ. ზოგჯერ წაგება გუნდებზე ფსიქოლოგიურად ცუდადაც კი მოქმედებს...**

- არ მარცხმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ქულები აღარ უნდა დავკარგოთ. ამ წაგებამ გაგვაბრაზა, ახლა უფრო ალესილები ვართ და ბოლნისში ბევრად უკეთ ვითამაშებთ.

**დავით ცაბაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი. XX ტური

**ვიტ ჯორჯია 2–კახეთი 2:0**

1:0 როსტიაშვილი (45), 2:0 სვანიძე (57)

ვიტ ჯორჯია: ლურბელეიშვილი, ხურცილავა (46. გამრეკლიძე), ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, იოსელიანი, მაისაშვილი, ვასაძე, როსტიაშვილი (66. ცხოვრებაძე), დათუნაშვილი, სვანიძე (66. ხოკერაშვილი).

სათადარიგოები: ეზიეშვილი, ფურცელაძე, გურამ ლობჟანიძე, გიორგი ლობჟანიძე.

მთავარი მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

კახეთი: კობრიაშვილი, ხამხაძე, ტარუღაშვილი, მურველიშვილი, მჭედლიშვილი, ხუროშვილი (35. ნინიკელაშვილი, 79. ლებანიძე), კევლიშვილი, იმერლიშვილი, ლ. აბდუალევი, ძამუკაშვილი, ბიძინაშვილი (79. ხიტიშვილი).

სათადარიგოები: ბორჩაშვილი, ახალბედაშვილი

მთავარი მწვრთნელი: გივი კობაიძე

გაფრთხილება: ლ. აბდულაევი, ვეკუა

არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ნ. დინამო–სიონი 2 2:0**

1:0 ლაპარტყავა (66), 2:0 აფხაზავა (74).

ნ. დინამო: სეფიაშვილი, დაბრუნდაშვილი (46. ედიშერაშვილი), ტოსტიაშვილი, დარასელია, ღვთისავრიშვილი, გურაბანიძე, ა. კალაძე, ბოკუჩავა, ლაპარტყავა, ქემუხტაშვილი (46. აფხაზავა), მათნაძე (68. კობახიძე).

სათადარიგოები: თურმანიძე, სეხნიაშვილი, მიქელაძე, ჩუთლაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: რეზო ბარამიძე.

სიონი 2: გურგენიძე (46. ბ. მესხი), ყიფშიძე (57. ასლანიკაშვილი), პატარქალიშვილი, გიორბელიძე, კახნიაშვილი, დემურაძე, ქობულაძე, ალფაიძე, გოგიბერიშვილი, ლ. ჩხეტიანი, ჯოხაძე.

სათადარიგოები: ჭაველაშვილი. ლ. უგულავა, გაბრიჭიძე, ბუბუტეიშვილი, არღვლიანი.

მთავარი მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

არბიტრი: ვ. გუმბერიძე (თბილისი)

**ჰერეთი–დილა 1:1**

1:0 თადაშვილი (57), 1:1 ტიელიძე (71)

ჰერეთი: ჯალიაშვილი, გ. მაჭარაშვილი, ა. აბაშიძე, ტაკაშვილი, ხარაიშვილი, კობერიძე (82. რეხვიაშილი), ყორლანაშვილი, გერმანიშვილი, ი. ტაბატაძე (56. ბ. ფოფხაძე), თანდაშვილი, თ. ყაველაშვილი (65. ოქრუაშვილი).

სათადარიგოები: კურტანიძე ნადირაძე, წვერავა, გვარაძე.

მთავარი მწვრთნელი: კარლო წვერავა.

დილა: დგებუაძე, ცოცხალაშვილი, სორდია, თარგამაძე, თოდუა, კანდელაკი, ცერცვაძე, მაჭავარიანი (61. ებანოიძე), სეფიაშვილი (78. ფოცხვერია), ანდღულაძე, იჩქითი (65. ტიელიძე)

სათადარიგოები: მაისურაძე, მსხვილაძე, სურმავა, მეტონიძე.

მთავარი მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

გაფრთხილება: ცერცვაძე, ფოცხვერია

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ჩიხურა–დინამო 2 1:1**

0:1 ქანთარია (23 პ), 1:1 რ. ბარაბაძე (57)

ჩიხურა: დოლაძე, დოლონაძე, რ. ბარაბაძე, ცარციძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე (88. ჩიკვაძე), ჭილლაძე, ზ. ნოზაძე (88. ივანიშვილი), დ. ქამუშაძე, ენუქიძე (79. ბ. პეტრიაშვილი), ლ. კობახიძე.

სათადარიგოები: მწყერაშვილი, როგავა, ხვედელიძე, ენუქიძე.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე.

დინამო 2: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ქავთარაძე, კეკელია, ზ. ლობჟანიძე (66. ლეკვთაძე), ვ. ნემსაძე, ბოლქვაძე, ჯიშკარიანი (90. ჯაფარიძე), სიხარულიძე, ქანთარია (90. წენგუაშვილი).

სათადარიგოები: ნადირაძე, ჩიკვაიძე, იამანიძე, ოთარაშვილი

მთავარი მწვრთნელი: დავით კევლიშვილი.

გაფრთხილება: ზ. ლობჟანიძე, ჭილლაძე, ზ. ნოზაძე, ცარციძე.

არბიტრი: ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**თბილისი–გაგრა 2 1:0**

1:0 ტორონჯაძე (56)

თბილისი: გიორგობიანი, სარაჯიშვილი, ამისულაშვილი, ჭაფოძე, სებისკვერაძე, ხოხონიშვილი, გოგოხია, კორიფაძე, გ. ჯაში (90. დევდარიანი), ზვიადაძე (61. კბილცეცხლაშვილი, 85. ბროლაძე), ტორონჯაძე.

სათადარიგოები: ოთარაშვილი, ბაბუნაშვილი, ოდიშარია, შუშიაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: გელა გომელაური

გაგრა 2: ხომერიკი, ტეტუნაშვილი, ჭანკვეტაძე, სეფიაშვილი, გედენიძე, დემეტრაშვილი (66. ოქრიაშვილი), კილაძე, ფილია, სეთურიძე (46. გავაშელიშვლი), ჩხაიძე, მოსიაშვილი (46. ჯარმელაშვილი).

სათადარიგოები: ა. კოტრიკაძე, ბაგალიშვილი, ფანცხავა.

მთავარი მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე

გაფრთხილება: ამისულაშვილი, სეფიაშვილი

არბიტრი: ზვ. ასკაროლლი (ქარელი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 19 | 13 | 3 | 3 | 38-13 | 42 |
| 2. ამერი | 18 | 12 | 4 | 2 | 30-7 | 39 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 5 | 2 | 29-6 | 38 |
| 4. დინამო 2 | 18 | 6 | 7 | 2 | 27-13 | 34 |
| 5. დილა | 18 | 7 | 6 | 5 | 24-15 | 27 |
| 6. თბილისი | 18 | 6 | 3 | 9 | 26-27 | 21 |
| 7. სიონი 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 22-39 | 19 |
| 8. გაგრა 2 | 19 | 5 | 3 | 11 | 27-40 | 18 |
| 9. ნ/დინამო | 18 | 2 | 7 | 9 | 19-31 | 13 |
| 10. კახეთი | 18 | 2 | 5 | 11 | 9-30 | 11 |
| 11. ჰერეთი | 17 | 1 | 7 | 10 | 13-39 | 10 |

**მომდევნო ტური**

**16 მარტი, ორშაბათი**

დინამო 2-ჰერეთი
დილა-ვიტ ჯორჯია 2
კახეთი-ნორჩი დინ.
სიონი 2-თბილისი
გაგრა 2-ამერი

*ჩიხურა ისვენებს*

### დასავლეთი. XX ტური

**ხობი–გურია 2:0**

1:0 ო. შენგელია (10), 2:0 გ. ლომაია (78)

ხობი: ჭურლულია, შონია (75. ჯამბურია), კვირკველია, გ. გომენია, ჩაჩიბაია, ალანია, ლეფსაია, კ. გომენია, ო. შენგელია (69. ფირცხალავა), გ. ლომაია, გაგუა (46. წულაია).

სათადარიგოები: გელაშვილი, ლ. გომენია, გრიგოლია, ჩიტაია.

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია.

გურია: კეკელიძე, იმნაიშვილი, ცინცაძე, ბრეგაძე, გოგიბერიძე, უგულავა (72. ქურიძე), შენირული (65. მგელაძე), კილაძე, კუკულაძე (65. კვერენჩხილაძე), ჯაყელი, ურუშაძე.

სათადარიგოები: გოგუაძე, იმნაძე, ლ. ციკოლია, ფირცხალაიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი.

გაფრთხილება: ლეფსაია, წულაია, გ. ლომაია, უგულავა.

არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ზესტაფონი 2–კოლხეთი 2:1**

1:0 ჭანკოტაძე (36), 2:0 ჭანკოტაძე (56), 2:1 გულუა (73)

ზესტაფონი 2: ძაძამია, ბერუაშვილი, კაჭკაჭიშვილი, ხიხაძე, ი. ხვადაგიანი, ლაბაძე (72. დ. ჭელიძე), არეშიძე (84. ხაჩიძე), ჯულელი, ჭანკოტაძე (89. კვიკვინია), კვირიკეიშვილი, კენჭოშვილი.

სათადარიგოები: დოგრაშვილი, გაბუნია, კირკიტაძე, ტაბატაძე.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე.

კოლხეთი: ჩემია, ლუსტა, თურქია, ღვანია, გელაჭეიშვილი, აბურჯანია, გოგონაია (53. გვიჩია), გვალია (60. გულუა), გ. ციკოლია, გოგნაძე (54. ლემონჯავა), ნიქარიშვილი.

სათადარიგოები: გ. შენგელია, გეგელია, ცხვიტარია, ქნნდავაძე.

მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ თვარაძე.

გაფრთხილება: აბურჯანია

არბიტრი: ხ. გაგნიძე

**ბაია–ჭიათურა 3:0**

1:0 ვართაგავა (22) 2:0 ეხვაია (34), 3:0 ქირია (56. პ.)

ბაია: ზარქუა, პაჭკორია, ჟვანია, ქვარცხავა, გუგუჩია, ეხვაია (71. კუტალია), რაფავა (71. სიხარულია), ვარგათავა (58. ნ. შონია), წურწუმია, ქირია, სვირავა.

სათადარიგოები: მაქაცარია, კ. შონია, ქაშაკაშვილი, კაკუშაძე.

მთავარი მწვრთნელი: ჰ. ცანკერი.

ჭიათურა: ბადურაშვილი (46. დარბაიძე), გაფრინდაშვილი, სამხარაძე, ბრეგვაძე, თემირი მიშველიძე, ვაშაძე, ტყემალაძე, რობაქიძე, სარალიძე (71. გოგბერაშვილი), ლაშხი, ბარათაშავილი (78. ასანიძე).

მთავარი მწვრთნელი: დავით იობაშვილი

გაფრთხილება: თემირ მიშველიძე

არბიტრი: თ. გვანცელაძე (სამტრედია)

**ბათუმი–ტორპედო 1:0**

1:0 ბეგლარ თედორაძე (79).

ბათუმი: თოთლაძე, ფარტენაძე, ლ. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, ლ. რამიშვილი, ლ. კალანდაძე (75. მალაზონია), გოგიტიძე, ჯორბენაძე, ზოიძე (50. ბ. მახარაძე), დემურაძე, ტულუში (57. მამეიშვილი).

სათადარიგოები: კაკალაძე, გოგიტაური, გრიგალაშვილი, მერაბიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე.

ტორპედო: გიგინეიშვილი, ხარებავა, ბიბილაშვილი, ჩხარტიშვილი, ჭანკვეტაძე, ბესარაშვილი, გურული, მ. კობერიძე, ბ. ჩხეტიანი (85. კირკიტაძე), იმედაძე, ცაგარეიშვილი (46. ღლონტი).

სათადარიგოები: კუჭუხიძე, ვაჩიბერაძე, დანელია, ქაშიბაძე, ფიფია.

მთავარი მწვრთნელი: კახა კარანაძე

გაფრთხილება: ზოიძე, ლ. მახარაძე, იმედაძე.

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 18 | 12 | 4 | 2 | 32-8 | 40 |
| 2. სამტრედია | 18 | 12 | 2 | 4 | 32-15 | 38 |
| 3. მარტვილი | 18 | 11 | 5 | 2 | 29-15 | 38 |
| 4. კოლხეთი | 18 | 8 | 4 | 6 | 22-16 | 28 |
| 5. ხობი | 18 | 8 | 3 | 7 | 22-27 | 27 |
| 6. ჭიათურა | 19 | 7 | 2 | 10 | 26-28 | 23 |
| 7. ტორპედო 2008 | 18 | 7 | 1 | 10 | 16-14 | 22 |
| 8. გურია | 18 | 6 | 3 | 9 | 26-30 | 21 |
| 9. ზესტაფონი 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 16-26 | 19 |
| 10. ბათუმი | 18 | 5 | 4 | 9 | 24-31 | 19 |
| 11. მეშახტე | 17 | 1 | 2 | 14 | 9-41 | 5 |

**მომდევნო ტური**

**16 მარტი, ორშაბათი**

ტორპედო 2008-მერანი
მეშახტე-ზესტაფონი 2
კოლხეთი-ხობი
გურია-ბაია
ჭიათურა-სამტრედია

*ბათუმი ისვენებს*

ინტერვიუ

პაატა დათუნაიშვილთან



# კარგი ფეხი მქონია...

## დათუნაიშვილი ლატვიაში სიტუაციის გამოსწორებას ელოდება

გასულ ტურში ზუგდიდის „მგლებში“ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა - ნახევარმცველი პაატა დათუნაიშვილი. ის ერთ დროს ძმის, გიორგის მხარდამხარ თამაშობდა „ვიტ ჯორჯიაში“, მერე კი ლატვიას მიაშურა და თამაზ პერტიას „დინაბურგშიც“ გამორჩეული ფიგურა იყო.

როგორ აღმოჩნდა დათუნაიშვილი ლატვიიდან ზუგდიდში, რამდენ ხანს დარჩება „მგლებში“, რა აზრისაა თავის დღევანდელ გუნდსა და რას ფიქრობს მომავალზე... პაატას სწორედ ამ თემებზე გავესაუბრეთ...

**- საინტერესოა როგორ აღმოჩნდით ლატვიიდან ზუგდიდში?**

- ეს იმ ფინანსური კრიზისის დამსახურებაა, რომელიც ბევრ ქვეყანაში მძვინვარებს და ლატვიასაც ძლიერ დაეტყო. ამის გამო ლატვიურ ფეხბურთს ძალიან გაუჭირდა. როგორც გავიგე, ზოგიერთ გუნდში ხელფასებს ძლივს არიგებენ... ჩემი ყოფილი გუნდი „დინაბურგი“ იმავე ქალაქის მეორე კლუბთან გაერთიანდა, რათა ამ კრიზისისგან თავი დაეხსნა. თამაზ პერტია ახლა მთავარი კი არა, მეორე მწვრთნელია... მოკლედ, ხელფასების შემცირების გამო ლატვიაში გაჩერება აღარ შეიძლებოდა და ამიტომაც დავბრუნდი თბილისში. აქ ყაზახეთის ვარიანტზე მითხრეს. ანთალიაში ჩავედი და ყარაღანდის „შახტიორში“ ოთხი დღე ვივარჯიშე, ერთი ამხანაგური მატჩიც ვითამაშე, რუმინული გუნდი 3:1 დავამარცხეთ, მაგრამ... მერე აღმოჩნდა, რომ „შახტიორი“ უკვე დაკომპლექტებული იყო და უკან გამოვბრუნდი... რაც შეეხება იმას, ზუგდიდში როგორ აღმოვჩნდი... გავიგე, რომ „მგლებს“ განაცხადში ადგილი ჰქონდა და...

**- სხვა ვარიანტი არ გქონდათ?**

- ლატვიიდან წამოსვლა არ მინდოდა. შეგვპირდნენ, ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდებაო... ლატვია მაინც ევროპაა და მინდოდა, იქ მეთამაშა. ამის გამო თბილისის „დინამოში“ თამაშზე უარი ვთქვი, აზერბაიჯანის ორი კლუბიც უარით გავისტუმრე. სხვა ვარიანტი არ მქონდა და ისევ ეროვნულ ჩემპიონატში დავბრუნდი.

**- „მგლებში“ რამდენ ხანს დარჩებით?**

- მიმდინარე სეზონს ჩავამთავრებ და მერე ისევ უცხოეთში წასვლაზე ვიზრუნებ. იქნებ, მანამდე ფინანსური კრიზისიც ჩაცხრეს და ლატვიაშიც გამოსწორდეს სიტუაცია...

**- ახალ გუნდზე რა აზრის ხართ?**

- სხვათა შორის, ჩინებული შემადგენლობა გვყავს. ზუგდიდში თამაში ყველას უჭირს, აქ მებრძოლი, ჟინიანი ბიჭები არიან... „მგლებს“ ადვილად შევეჩვიე.

**- „ვიტ ჯორჯიასა“ და ძმის წინააღმდეგ თამაში ვერ მოასწარით...**

- სატრანსფერო ფორმალობა არ მქონდა მოგვარებული და ჩემს ყოფილ გუნდთან თამაში ვერ მოვასწარი. ვიტელებმა ზუგდიდში მოიგეს. ჩემს ძმას, გიორგის ვუთხარი - მე რომ მეთამაშა, ვერ მოიგებდით, გადამირჩით-მეთქი... თუმცა ამ სეზონის ბოლო ტურებში ძმის წინააღმდეგ მაინც მომიწევს თამაში...

**- „მგლებში“ დებიუტი „სიონთან“ მატჩში გქონდათ. როგორ გაიხსენებთ ამ თამაშს?**

- რამდენიმე თვის უთამაშებელი ვარ და ამის გათვალისწინებით ურიგო დებიუტი არ მქონია, ამ ფონზეც კარგადაც წარმოვჩნდი - ტემპიან თამაშში 90 წუთი ვიბრძოლე. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ უკეთაც შემიძლია თამაში და ამას მომდევნო მატჩებში ნახავთ.

**- სეზონის დასაწყისში „მგლების“ პროგრამა-მინიმუმი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო. დღეს ზოგი უკვე თვლის, რომ ზუგდიდელებს უმაღლესი ლიგის დატოვება აღარ მოუწევთ. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- „სიონთან“ მოგება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. აქამდე, „მგლებს“ შინ მოგებული არ ჰქონდა და ბიჭებმა მითხრეს, კარგ ფეხზე ჩამოხვედიო. სატურნირო ცხრილშიც გავიმყარეთ პოზიციები და საკუთარ ძალებში რწმენაც მოგვემატა. ისეთი შემადგენლობა გვყავს, არ გავვარდებით.

**- მოედანზე ყველაზე უკეთ ვის შეეწყვეთ?**

- გუჩუას, ჭედიას, თოდუას... ყველას ვერ ჩამოვთვლი... მწვრთნელიც ჩინებული გვყავს. ადრე „მგლებში“ რომ არ ვთამაშობდი, მასზე ასეთი წარმოდგენა არ მქონდა. ზუგდიდში ვთამაშობ და ნათლად ჩანს, რომ ბესიკ შეროზიამ ჩინებულად იცის თავისი საქმე.

**- მაინც რითი მოგხიბლათ შეროზიამ?**

- მეტოქის შესწავლით, შესაბამისი კონტრტაქტიკის შემუშავებით. არ ემლება ფეხბურთელის ამოცნობა და დამსახურებასაც არავის უკარგავს. ასაკოვანი ზუგდიდელი გულშემატკივრები მას ძლიერ ემადლიერებიან. როცა მწვრთნელსა და გუნდს ქომაგისგან ნდობა აქვთ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- მომდევნო მატჩებში რა შედეგებს ელოდებით?**

- კვირას „ბორჯომს“ ვუმასპინძლებთ, მერე „გაგრა“, „ლოკომოტივი“... რთული თამაშები გველის და შედეგების პროგნოზირება წარმოუდგენელია.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები

# კუპერმა გელაშვილი მოინიშნა, კახელიშვილიც?

წინა ნომერში ეროვნული ნაკრების თავკაც **ექტორ კუპერის** სასამშაბათო გეგმაზე გამცნეთ. ისიც გითხარით, რომ არის შანსი, ახალგაზრდულის თავკაცმა **კახა ცხადაძემაც** სწორედ სამშაბათს, 17 მარტს დანიშნოს 21-წლამდელთა ვარჯიში. ასეც მოხდა - გუშინ შევიტყვეთ, რომ კუპერი და ცხადაძე სამშაბათს ნაკრები გუნდების წევრკანდიდატთა წვრთნას ჩაატარებენ. თუმცა ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ეს ვარჯიშები ერთად ჩატარდება, თუ ცალ-ცალკე.

კუპერი 17 მარტს ფეხბურთელებს ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეკრებს და საგურამოს ბაზაზე ავარჯიშებს. ეროვნულის თავკაცს გამოსაძახებელთა გარკვეული ბირთვი უკვე აქვს მოხაზული და საბოლოო სიას ამ საჩემპიონატო უქმეების შემდეგ დაასახელებს.

გასულ შაბათს კუპერი „ლოკომოტივი“-„ზესტაფონის“ (1:2) მატჩს დაესწრო. ეს შეხვედრა სტუმრებმა **ნიკა გელაშვილის** დუბლის წყალობით მოიგეს. ჩვენი ინფორმაციით, კუპერმა სამშაბათობისთვის სწორედ გელაშვილი მოინიშნა. გავიგეთ ისიც, რომ იმავე მატჩიდან, არგენტინელ მწვრთნელს „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი **გიორგი კახელიშვილიც** მოუვიდა თვალში.

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა გელაშვილი

გაგრა

# არის თუ არა მწვრთნელი მიქსტურა?

„გაგრას“ პრეზიდენტი **ბესო ჩიხრაძე** გუშინ უნდა ჩამოსულიყო უკრაინიდან თბილისში, მაგრამ კლუბში გვითხრეს, პრეზიდენტმა ჩამოსვლა მომავალი კვირისთვის გადადოო. პრეზიდენტის აქ ყოფნა იმიტომ გახდა აქტუალური, რომ „გაგრაში“ მწვრთნელის შეცვლაზე სერიოზულად დაფიქრდნენ.

**ვლადიმერ ხაჩიძე** საქართველოს ჩემპიონატში ჭიპმოჭრილი სპეციალისტია, სამწვრთნელო საქმე უკრაინაშიც შეისწავლა და დიპლომიც აქვს, გუნდი კი არ უვარგა - „გაგრა“ მეცხრე ადგილზე, ანუ გასავარდნ ზონაშია. ხაჩიძეს აქვს შანსი, დარჩეს „გაგრაში“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენებენ, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათი იქნება გუნდისთვის, რომელიც უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის.

„გაგრა“ 2004 წელს შეიქმნა და მუხრანში დაიდო ბინა, იქ აქვს სტადიონი და გასახდელი, სტადიონის გვერდით კი მინდორი და ტყეა, ანუ, პერსპექტივა - ინფრასტრუქტურის გაფართოებისთვის. უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი პლეი ოფი „გაგრამ“ შარშან, ჭიათურის „მაღაროელთან“ ითამაშა და დამარცხდა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ იმერლებს უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ ფული არ ჰქონდათ და მათი ადგილი პლეი ოფში დამარცხებულმა მეტოქემ დაიკავა. სასაცილო ამბავი კი გამოვიდა - ჭიათურლებს უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ პირობითი ლიცენზიაც (დღემდე უცნობია, რას ნიშნავდა ეს) კი მისცეს, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა.

ეს კარგი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო „გაგრასთვის“ - თინეიჯერები მოუმზადებელ, მაგრამ მათზე გამოცდილ ფეხბურთელებთან დამარცხდნენ. ნათელი გახდა, რომ იმ კონტინგენტით „გაგრას“ უმაღლეს ლიგაში ძალიან გაუჭირდებოდა, მაგრამ გუნდის შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა - უმაღლეს ლიგაში ჩაერთო და პირველივე ტურში თვით თბილისის „დინამო“ დაამარცხა.

იმ ხმაურიანი გამარჯვებით ხაჩიძის გუნდმა მყის საინტერესო კრებულის სახელი დაიგდო, მაგრამ იმიჯი ვეღარ შეინარჩუნა. გუნდს სტაბილურობა, გამოცდილება აკლდა და ახლა არგავარდნისთვის უნდა იომოს.

„გაგრაში“ არაერთი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა. „ვიტ ჯორჯიამ“ ჯერ გაგრელთა 23 წლის კაპიტანი **ნიკა მგელაძე** გადაიბირა, მერე კი ჯეელებიც აიყვანა - **ზამორა დათუნაშვილი და მიხეილ ხოკერაშვილი.** თუმცა გაგრელებს სატრანსფეროდ ყველაზე მიმზიდველი ფეხბურთელი **გიორგი გაბედავა** ჰყავთ - ღონიერი, აგრესიული შემტევი.

ერთი პერიოდი, „გაგრაში“ ტექნიკურ დირექტორად **გია გეგუჩაძე** მუშაობდა - ანუ, კლუბის სურვილი იყო, განვითარების პოლიტიკისთვის გამოცდილ სპეციალისტს ეხელმძღვანელა, მაგრამ ეს საკმარისი ვერ იქნებოდა - წინსვლას ბიუჯეტის ზრდაც სჭირდება, მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ფეშქაშად გადასვლა ვერ წაადგება საქმეს.

„გაგრა“ თბილისში, „ამერის“ სტადიონზე თამაშობს საშინაო მატჩებს. გულშემატკივარი ბევრი არა, მაგრამ ზოგიერთ გუნდზე მეტი ჰყავს. და რა გეზი აქვს აღებული „გაგრას“? აქ უკვე მთავარ პრობლემას მივადექით - აქცენტი ახალგაზრდებზე კი კეთდება, მაგრამ თუ გუნდი პირველ ლიგაში ჩაეშვა, ყველაფერი თავიდან იქნება გასაკეთებელი - ქვედა ლიგიდან კიდევ უფრო ძნელია, ფეხბურთელების ექსპორტიორი კლუბი გახდე... „გაგრამ“ ამ სეზონის მეორე ეტაპისთვის უკრაინელი **კოზლენკო** დაიმატა, მაგრამ ის ჯერ ვერაფრით გამოირჩევა სხვებისგან და რა აზრი აქვს ასეთი ლეგიონერის აყვანას?

კარგი მრჩეველი და მეტი ფული - ვფიქრობთ, კლუბს ყველაზე უფრო ეს სჭირდება, თორემ არა გვგონია, მწვრთნელის შეცვლამ საქმეს უშველოს. გაგრის „დინამო“, გაგრის „სიხარული“ - მანამდე ამ ლამაზ ქალაქს ეს გუნდები ჰყავდა, ახლა კი არის „გაგრა“, რომელიც არც „დინამოს“ სამართალმემკვიდრეა და არც „სიხარულის“. ხელისუფლებამ თუ იზრუნა ცხინვალის „სპარტაკის“ შექმნაზე, რომელიმე აფხაზური გუნდის „რემიქსისთვის“ არ მოიცალა - „გაგრა“ კერძო კლუბია, რომლის სახელწოდების უკან უამრავი განცდა და ემოციაა...

**დავით თავართქილაძე**

# SOS!
# რა მოხდა გაგრაში?

1 მარტს, გაგრაში შედგა ოკუპანტების მიერ ორგანიზებული მატჩი ფეხბურთში სოხუმი „ნართასს“ და გალის „სამურზაყანოს“ შორის, როდესაც ნათელი გახდა, რომ მატჩს გალელები იგებენ, მოედანზე გამძვინვარებული მთვრალი ბრბო შეიჭრა (მათ შორის, ე.წ. სამართალდამცავები). ისინი სასტიკად გაუსწორდნენ ქართველ სპორტსმენებს. იმ სამ ფეხბურთელს კი, რომლებმაც მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს, ფეხები ტყვიებით დაუცხრილეს.

ფეხბურთელთა ასეთი გმირობის ფაქტი შორეულ 1942 წელს მოხდა ოკუპირებულ კიევში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნაცისტები (21-ე საუკუნის ჯალათებისაგან განსხვავებით), მოგებულებს სტადიონზე კი არა, ქალაქგარეთ გაუსწორდნენ. ამ თემაზე ორი ფილმია შექმნილი - ამერიკული „გამარჯვება“ (პელესა და სილვესტერ სტალონეს მონაწილეობით) და უკრაინული „მესამე ტაიმი“.

საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციას მიაჩნია, რომ პროექტის (სავარაუდოაის საერთაშორისო გახდეს) განხორციელების შემთხვევაში უკვდავყოფილი იქნება ქართველი სპორტსმენების გმირობა და მათი თავგანწირვა საუკეთესო მაგალითი გახდება ახალგაზრდა თაობისათვის.

მოგმართავთ თხოვნით: ვისაც აქვს რაიმე მასალა, ცნობა, ვიდეოჩანაწერი ამ მატჩის შესახებ, მოგვაწოდოს „ლელოს“ რედაქციაში (ისარგებლეთ „ლელოს“ მეორე გვერდზე საცნობარო ბლოკში გამოქვეყნებული კავშირის საშუალებებით). ვინც მოისურვებს ფილმის შემქმნელებთან გასაუბრებას, მათ მიეცემათ ამის საშუალება.

ლეგიონი

ინტერვიუ გიორგი განუგრავასთან

# ორი წელია, ნაკრებში არ მითამაშია და ძალიან ვნერვიულობ...

## ნაკრებში მიწვევის გამო განუგრავა ლონდონში მოლაპარაკებებზე არ ჩავიდა

კახა ცხადაძემ გიორგი განუგრავა საქართველოს დაუბრუნა. იყო დრო, გიორგის და კიდევ ორიოდ მის კბილა ბიჭს ერთბაშად ეროვნულ, ახალგაზრდულ და 19-წლანდელთა გუნდებში ათამაშებდნენ, პლუს „ზესტაფონსა" და „ზესტაფონი 2-ში"...

თუმცა ის ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ მოვიდოდა დრო, როცა მისი ადგილი არც ერთ ნაკრებში აღარ იქნებოდა. მკითხაობას ვერ დავიწყებთ, რა იყო ამის მიზეზი - ვინ ვისთან რა ვერ გაიყო, ან გასაყოფად იყო თუ არა საერთოდ საქმე, მაგრამ ნიჭიერი და საჭირო ფეხბურთელი რომ თამაშგარეში დარჩა, ფაქტია.

თითქოს, მიზეზი განუგრავას უთამაშებლობა იყო - მართლაც, ჩეხეთის უმაღლესი ლიგის კლუბ „მლადა ბოლესლავის" ქართველი საყრდენი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. ის ახლა საერთოდ უგუნდოდაა, მაგრამ კახა ცხადაძემ ნაკრებში მაინც მიიწვია. მას არც ერთი კრიტიკოსი არ შეედავება, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება ნიჭიერ ბიჭს, რომლის დაკარგვა გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა...

...გიორგი განუგრავას ჩეხეთში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.

**- გიორგი, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოგიძახეს...**

- სიტყვებით გამიჭირდება იმ ემოციის გადმოცემა, რასაც განვიცდი. კახა ცხადაძის გადაწყვეტილებამ ძალიან გამახარა. ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახება ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. კარგია ჩეხეთში, ევროპული კლუბში თამაში, მაღალი კლასის ფეხბურთელების გვერდით, მაგრამ ქართველებთან ერთად ბურთაობა ჩემთვის მაინც ყველაზე დიდი სიამოვნებაა, ისევე, როგორც საქართველოს ჰიმნზე, ჩემი ქვეყნის ფორმით გამოსვლა. ვეცდები, ცხადაძის ნდობა გავამართლო და ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრო. თუმცა ახლა საუკეთესო ფორმაში არ ვარ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თავი დავიზღვიო.

**- უგუნდობას რაღა ეშველება?**

- არის კონკრეტული წინადადებები, მაგრამ ნაკრების გამო, მოლაპარაკებები დროებით გადავდე. მენეჯერს ლონდონში უნდა შევხვედროდი, სადაც მან ერთ-ერთ კლუბთან მოლაპარაკება დაიწყო და ყველაფერზე დეტალურად უნდა გვესაუბრა...

**- რომელ კლუბთან დაიწყო მოლაპარაკება?**

- კლუბს ჯერ ვერ გავამხელ და აზრიც არ აქვს. ვიზა უნდა ამეღო, მაგრამ ამ დროს ახალგაზრდულში მიმიწვიეს და ბრიტანეთის საელჩოდან საბუთები გამოვიტანე. ბრიტანელები ვიზას ორ სამუშაო კვირაში აკეთებენ, ამის დრო კი არ მქონდა - სხვაგვარად, კვიპროსის საელჩოში პასპორტს ვერ მივიტანდი.



განუგრავა ჯერჯერობით მხოლოდ ვარჯიშობს

უგუნდოდ დარჩენილს, დამოუკიდებლად საბუთების შეგროვება პირველად მომიხდა. მიჩვეული არ ვარ, ამას ყოველთვის კლუბის ან ნაკრების მენეჯერი აკეთებდა.

**- რაც შეეხება უცხოურ კლუბთან მოლაპარაკებას...**

- არ ვიცი, ეს ყველაფერი როგორ დასრულდება. მოლაპარაკება რამდენიმე კლუბთან მიმდინარეობს.

**- აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე კლუბში გადასვლას ხომ გთავაზობენ?**

- არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ მე ევროპაში დარჩენა მსურს. აქ არის ნაღდი ფეხბურთი, სურვილისა და მონდომების შემთხვევაში, აუცილებლად აიმაღლებ კლასს და განვითარდები. ამიტომაც მირჩევნია, არ ვიჩქარო და ნორმალურ ევროპულ კლუბში გადავიდე. მენეჯერი კი აქტიურობს და ვნახოთ...

**- ჩეხეთში დარჩენას გამორიცხავ?**

- სიმართლე გითხრათ, აქ დარჩენის სურვილი არ მაქვს. ჩეხების სტილს ვერ შევეგუე და მიმაჩნია, რომ აქ „ჩემს" ფეხბურთს ვერ ვითამაშებ. ჩეხებს ჯახი, რქებით მიწოლა და ბრძოლა უყვართ, ტექნიკურ ფეხბურთს კი გასაქანს არ აძლევენ. ალბათ, ჩეხეთში ფეხი ამიტომაც ვერ მოვიკიდე. ისე არ გამიგოთ, თითქოს ამათ ფეხბურთს ვუწუნებ - საკმაოდ მაღალი დონის ლიგაა, არის თანამედროვე ბაზები, სტადიონები, აწყობილი სისტემა... მაგრამ ამათ სტილზე გადასვლა არ მსურს. პრაღის „სლავია", „სპარტა" და ჩემი ყოფილი კლუბი - „მლადა ბოლესლავი", მაღალი დონის არიან. თუმცა ბოლო წლებში ჩავარდნა აქვთ და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა უჭირთ.

**- ბოლოს ნაკრებში როდის ითამაშე?**

- დიდი ხნის წინათ, ორი წელი გავიდა... ბოლოს, თუ არ მეშლება, ახალგაზრდულში მიმიწვიეს. ისე, რაღა დაგიმალოთ და, ამდენი ხნის უთამაშებლობის გამო, საკმაოდ ვნერვიულობ. არ მინდა, ცხადაძეს იმედები გავუცრუო. იმედია, ბიჭების დახმარებას შევძლებ.

**- ფორმის შესანარჩუნებლად ახლა სად ვარჯიშობ?**

- მართალია, კონტრაქტი გავწყვიტეთ, მაგრამ კლუბმა ვარჯიშის უფლება მომცა. თუმცა ბოლო სამი დღის განმავლობაში მაღალი ტემპერატურა მქონდა, ახლა ვიზებზე სირბილი მომიწია და რამდენიმე დღე გამიცდა...

**მერაბ მამულაშვილი**

---

ინტერვიუ დავით ოდიკაძესთან

# უნგრელები ქართული დროშით გვქომაგობენ




დავით ოდიკაძე (№17)

**დავით ოდიკაძე „დიორი ეტოს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდა. თუმცა 27 წლის ნახევარმცველი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კლუბის შემადგენლობაში არ ჩანდა. ეს და მოახლოებული სანაკრებო შეხვედრები მასთან გასაუბრების მიზეზი გახდა...**

**- დავით, „დიორი ეტოს" განაცხადში ვერ ხვდებოდი. რა იყო ამის მიზეზი? მწვრთნელი არ გენდობოდა?**

- განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. როგორც გავიგე, საქართველოში თურმე დაიწერა, ოდიკაძემ ორი თამაში გამოტოვაო. სინამდვილეში, მხოლოდ ერთ მატჩში ვერ ვითამაშე და ისიც იმის გამო, რომ ვირუსი შემეყარა, ავად ვიყავი. სხვა ყველა შეხვედრა ძირითადში ჩავატარე. ამჟამად უკვე კარგად ვარ და მორიგი ტურის მატჩისთვის ვემზადები. ბუდაპეშტში სერიოზული შეხვედრა გველის, რომლის ბედიც „დიორი ეტოს" მომავალზე აუცილებლად აისახება...

**- მეორე წრეში ცოტათი წინ წაიწიეთ...**

- კლუბის ხელმძღვანელობამ მიზნად უეფას თასის ზონაში მოხვედრა დაგვისახა. დააკვირდით, ლიდერთა ჯგუფსა და აუტსაიდერებს შორის სხვაობა დიდი არ არის. თასის გათამაშების შემდეგ წრეშიც გავედით და სატურნირო მდგომარეობაც ოდნავ გავიუმჯობესეთ, ამას გარდა, ერთი მატჩით ნაკლები გვაქვს ჩატარებული... სიმართლე გითხრათ, „დიორი ეტოს" მთავარი მიზანი თასის მოგებაა. ისე, გუნდში მისვლის დღიდანვე მიკვირდა - ასეთი ძლიერი ფეხბურთელებით აუტსაიდერებში როგორ მოხვდნენ-მეთქი. სულ მცირე, სამეულის გუნდი გვყავს. თურმე, გუნდში რაღაც დაჯგუფებები იყო, მერე ფეხბურთელებს მწვრთნელთან ურთიერთობა დაეძაბათ და ბუნებრივია, ამ ყველაფერმა შედეგზე გავლენა იქონია.

**- საინტერესოა, ვარჯიშისა და თამაშის დროს რა ენაზე საუბრობთ?**

- კლუბის პრეზიდენტის მრჩეველი ლაშა ოდილაძე მეხმარება, თანაც, ჩვენი მწვრთნელი სერბია და რუსული კარგად იცის. ასე რომ, პრობლემა არ მაქვს.

**- კლუბს იოლად შეეწყვე?**

- უნგრეთსა და „დიორი ეტოს" ძნელად შესაგუებელი არაფერი სჭირს. არანაირი პრობლემა არ მქონია! თავად უნგრელებიც კარგი ბიჭები არიან. ამას გარდა, 12 ლეგიონერი ვართ და ერთმანეთთან საერთოს იოლად ვპოულობთ. შეიძლება ითქვას, „დიორი ეტო" პატარა საბჭოთა კავშირია - 3 ქართველი, 2 ესტონელი და ერთიც ლიტველია.

**- ერთი თვე საკმარისია იმის სათქმელად, თუ რა განსხვავებაა უნგრულ და ქართულ ფეხბურთს შორის?**

- თითქმის ყველაფერში გვისწრებენ, თანაც ბევრით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო პირობებშია უდიდესი სხვაობა. საქართველოში ორ ხეირიან მოედანს ვერ იპოვი სათამაშოდ, სავარჯიშოზე ხომ აღარაფერს ვამბობ. ორ მაგარ მოედანს უნგრეთის ნებისმიერ სოფელში ნახავ. მარტო ჩვენს გუნდს 8 სავარჯიშო სტანდარტული მოედანი აქვს, წარმოგიდგენიათ?! აქედან ორი - დარბაზშია. სხვათა შორის, უეფას თასზე „ზესტაფონს" რომ შეხვდნენ, მაშინ ახალი სტადიონის მშენებლობა დასრულებული არ ჰქონდათ. ახლა სტადიონი უკვე გახსნეს და უნდა ნახოთ, რა დონის არენაა - თანამედროვე, კოხტა... ასეთ ქვეყანასთან შეგუება გამიჭირდებოდა?! შეგუება ქართულ ფეხბურთს სჭირდება. სამწუხაროდ, საქართველოში მოთამაშეებს ელემენტარული პირობები ენატრებათ. გული იმაზე მწყდება, რომ ამის გამო უამრავი ნიჭიერი ბავშვი იკარგება.

**- შეგიძლია თქვა, რომ „დიორი ეტოს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ხარ?**

- ძირითადის ფეხბურთელობას რომ იმსახურებ, ეს ლეგიონერმა ყოველ თამაშში უნდა დაამტკიცოს. ჩემი მხრივ, ვგრძნობ, რომ მწვრთნელი მენდობა.

**- „დიორი ეტოს" ქართველები ექტორ კუპერმა ნაკრებში თუ გამოგიძახათ?**

- კლუბში ჯერ მიწვევა არ მოსულა, მაგრამ იმედია, მწვრთნელი გამომიძახებს. დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩამოვიდე და ვითამაშო.

**- რატი ალექსიძე უფრო შეცვლაზე თამაშობს...**

- რატი თავიდან არ იყო ფორმაში. ჯერ ერთი, ტრავმის გამო, და მეორეც - გვიან შემოგვიერთდა. მწვრთნელმა ინდივიდუალური ფიზმომზადების პროგრამა შეუდგინა და ნელ-ნელა ფორმა აღიდგინა. მერე ლიგის თასზე მეორეადგილოსან „უიპეშტთან" 3:2 რომ მოვიგეთ, ძალიან კარგად ითამაშა, გოლი გაიტანა და მწვრთნელს თავი მოაწონა. ამის შემდეგ ჩემპიონატშიც შეცვლაზე ათამაშა, მესამე შეხვედრაში კი მწვრთნელმა ძირითადში დააყენა და უთხრა კიდეც - შენი დიდი იმედი მაქვსო.

**- მართალია, რომ „დიორი ეტოს" გამორჩეულად ემოციური გულშემატკივრები ჰყავს?**

- შეიძლება, ევროპაში მსგავსი რამ არავის უკვირს, მაგრამ მე კი ძალიან გამიკვირდა, როცა ჩვენი ქალაქიდან 500 კმ-ში ვატარებდით მატჩს და 300 ფანი გამოგვყვა... და თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრი იყო ქართული დროშით. თავი თბილისურ მიტინგზე მეგონა. საშინაო შეხვედრებისას კი ჩვენი სტადიონი ყოველთვის ივსება, 20-25 ათასი მაყურებელი დადის...

**- უნგრეთშია დავით იმედაშვილიც. მისი თამაში თუ ნახე?**

- დათოს გუნდმა ორი შეხვედრა წააგო, მაგრამ ერთ-ერთში ვნახე და ძალიან მომეწონა - გადაუჭარბებლად ვამბობ, რომ ის მოედანზე საუკეთესო იყო. სხვათა შორის, „დიორი ეტოს" დუბლებიდან ძირითადში გადმოყვანას უპირებენ თემურ შარაშენიძეს. ის უკვე ჩვენთან ერთად ვარჯიშობს. ასე რომ, მალე უნგრეთის უმაღლეს ლიგაში ოთხი ქართველი ვიქნებით.

**მერაბ მამულაშვილი**

---

# რევიშვილი დუბლებით იწყებს

გუშინ რუსეთის პირველობა დუბლშემადგენლობათა მატჩებით დაიწყო. ყაზანში „რუბინის" ახალგაზრდულმა გუნდმა კრასნოდარის „ყუბანის" დუბლები 4:1 გაანადგურა. მეორე ტაიმი ითამაშა **ნუკრი რევიშვილმა**, რომელმაც **ევგენი ჩერემისინი** შეცვალა, 81-ე წუთზე გოლიც გაუშვა. რევიშვილი ამ მატჩის მონაწილე ერთადერთი ქართველი არ ყოფილა - სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა მცველმა **ირაკლი კვეკვესკირმა**, რომელმაც 62-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. „დინამოსა" და „მოსკვას" დუბლიორთა შეხვედრაში (0:1), მასპინძელთა შორის ითამაშეს ქართული წარმოშობის ნახევარმცველმა **ვახტანგ მორგოშიამ** (პირველი 60 წუთი) და თავდამსხმელმა **ირაკლი ლოგუამ** (ბოლო 14 წუთი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნუკრი რევიშვილი

# კობიაშვილი დაშავდა

წუხელ ბუნდესლიგის მორიგი ტურის სასტარტო მატჩში **ლევან კობიაშვილი კრისტიან პანდერით** შეცვალეს. ეს 52-ე წუთზე მოხდა. მიზეზი ტრავმაა. თუ რამდენად სერიოზულად დაშავდა კობიაშვილი, გუშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. არადა, 28 მარტსა და 1 აპრილს საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის. ამ მომენტისთვის დანაკლისი ისედაც გვქონდა - ტრავმირებულები არიან **კახა კალაძე** და **ლევან ყენია**. იმედია, ნაკრების ვიცე-კაპიტანს სერიოზული არაფერი სჭირს...

კობიაშვილის შეცვლის მომენტში „შალკე" „ვოლფსბურგთან" სტუმრად 1:2-ს აგებდა, საბოლოოდ კი 3:4 დამარცხდა, არადა პირველ ტაიმში თავად დაწინაურდა. კობიაშვილის გუნდი 37 ქულით მერვე ადგილზე დარჩა.

მეორე ლიგაში „მიუნხენი" შინ „ფრანკფურტს" დაუზავდა (1:1). მასპინძელთა მცველი **მათე ღვინიანიძე** ჯერაც ტრავმირებულია.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში კვლავ წარუმატებლად თამაშობს „შტურმი". ქართველთა კლუბმა საკუთარ მოედანზე „რიდს" ვერ აჯობა - 1:1. ჩვენებურთაგან ითამაშა მხოლოდ **ილია კანდელაკმა**, რომელმაც 23-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. 52-ე წუთზე მისი ფლანგური ჩაწოდების შემდეგ საგოლე მომენტი შეიქმნა, თუმცა **ბაიხლერმა** 5 მეტრიდან ვერ შეძლო გატანა. „შტურმი" 43 ქულით მეოთხე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ A. XXVIII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲢᲣᲠᲘ ᲔᲕᲠᲝᲗᲐᲡᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

## ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲔᲐᲪᲐᲖᲔ

| დღეს | |
|---|---|
| კალიარი-ჯენოა | 21:00 |
| იუვენტუსი-ბოლონია | 23:30 |
| **ხვალ** | |
| ატალანტა-ტორინო | 18:00 |
| ლაციო-კიევო | 18:00 |
| პალერმო-ლეჩე | 18:00 |
| რეჯინა-ნაპოლი | 18:00 |
| სამპდორია-რომა | 18:00 |
| სიენა-მილანი | 18:00 |
| უდინეზე-კატანია | 18:00 |
| ინტერი-ფიორენტინა | 23:30 |

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურმა ეტაპმა, სერია A-ს დიდი ჩრდილი მიაყენა და რეპუტაციაც შეურყია, თუმცა ამით იტალიის ჩემპიონატისადმი ინტერესი ნამდვილად არ განელებულა. ამ უქმეებზე აპენინებზე 28-ე ტურის შეხვედრები გაიმართება და თქვენს ყურადღებას სწორედ მოახლოებულ პაექრობებზე მივაპყრობთ.

დღეს „კალიარი“-„ჯენოას“ უმასპინძლებს, „იუვენტუსი“ კი „ბოლონიას“. „ჩელსისთან“ ნაწნევი წარუმატებლობის შემდეგ, „იუვეს“ გარშემო არაერთი ხმა დაირხა. ბევრმა ისიც კი განაცხადა, რომ **რანიერი** მწვრთნელის პოსტს უახლოეს მომავალში დატოვებდა. თუმცა კლუბის მმართველმა დირექტორმა, **ჯოვანო კობოლი ჯილიმ** გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. ჯილის განცხადებით შეგულიანებულმა კლაუდიომ კი პრესას შემდეგი კომენტარი მისცა:

*„ლონდონელებთან განცდილი წარუმატებლობა უკვე დავიწყებულია. შემდეგ ეტაპზე გასვლას მეტოქეზე არანაკლებად ვიმსახურებდით, თუმცა ახლა ამაზე საუბარი უბრალოდ სისულელეა. რაც იყო, იყო, ჩვენ კიდევ არაერთხელ ვიტყვით ჩვენს სიტყვას. ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას ვიაქტიურებთ და შევეცდებით, რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი გადავიბიროთ, თუმცა ახლა მთავარი ჩემპიონატის დარჩენილი შეხვედრების მაღალ დონეზე ჩატარებაა, სკუდეტოს მოპოვების შანსი არ დაგვიკარგავს და მიზნის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლებთ. რაც შეეხება ჩვენს მომავალ მეტოქეს, „ბოლონია“ ძალიან კარგი გუნდია და ამაში არაერთხელ დავრწმუნდი. სტუმრები ყრუ დაცვაში არ ჩაჯდებიან და აუცილებლად შემოგვიტევენ, ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ და მეტოქეს თავს საკუთარი თამაში მოვახვიოთ“.*

რანიერი 4-4-2 ტაქტიკას არც ამჯერად უღალატებს და მეტოქეს წყვილი თავდამსხმელებით შეერკინება. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ კლაუდიო **ალექს დელ პიეროს** დასვენების საშუალებას მისცემს. კაპიტანს მუხლი აწუხებს და მცირე პაუზა სჭირდება. სასტარტოში სავარაუდოდ **კარვალიო ამაური** და **ვინჩენცო იაკვინტა** იქნებიან. განაცხადს მიღმა რჩება რჩება **დავიდ ტრეზეგე**, რომელსაც მწვრთნელთან კონფლიქტი მოუვიდა. ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე წესით **ჯოვინკომ** უნდა ითამაშოს, მარჯვნივ **სალიჰამიჯიჩმა**, ცენტრში კი **სისოკომ** და **პოულსენმა**. ტრავმირებულია **პაველ ნედვედი** და „ბოლონიასთან“ პაექრობას თვალს ტრიბუნებიდან მიადევნებს.

ყურადღების ცენტრში რჩება ბოლონიელი **მარკო დი ვაიო**. ვეტერანი თავდამსხმელი მიმდინარე სეზონს ფანტასტიკურად ატარებს და პირველობის ერთპიროვნული ბომბარდირის სტატუსს, აგერ უკვე მერამდენე ტურია ინარჩუნებს. მარკოსგან ასეთ რამეს მართლაც არავინ ელოდა. დი ვაიო პრესას მოახლოებულ პაექრობაზე გაესაუბრა და მეტოქის მიმართ ერთგვარი შიშიც გამოხატა. დაგვეთანხმებით, მატჩის წინ ასეთი პათოსის გამოსვლა არც თუ ჩვეულებრივი მოვლენაა:

*„წინ ძალიან რთული შეხვედრა გველის და ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული. „იუვენტუსი“ ძალიან მომწონს და ვთვლი, რომ ამ გუნდს სკუდეტოს მოპოვება ჯერ კიდევ შეუძლია. გულშემატკივრებს ვპირდებით, რომ მეროქეს დიდ ბრძოლას გავუმართავთ. უეჭველ მოგებაზე საუბარი კი ნამდვილად ზედმეტია, მეტიც, ფავორიტი „ვეკია სენიორაა“ და გამარჯვების მეტი შანსი სწორედ ტურინელებს აქვთ. რატომღაც მგონია, რომ „იუვე“ ჩვენთვის“ ყველაზე უხერხული მეტოქე იქნება“.* მოკლედ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვნახოთ რა მოხდება.

კვირის შეხვედრებიდან ლიდერის პაექრობა უნდა გამოვარჩიოთ. სწორედ „ინტერი“ - „ფიორენტინას“ შეხვედრით დასულდება 28-ე ტური. „ნერაძურის“ გარშემო აპენინებზე კვლავ დიდი ამბებია. მთავარი გმირი რა თქმა უნდა ჟოზე მოურინიოა, ვინც მანჩესტერული პაექრობის შემდეგ სკანდალში გაეხვია. პორტუგალიელმა სპეციალისტმა ნამატჩევს ინგლისელ გულშემატკივარს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს არ გამოპარვიათ. ინციდენტს მალე გამოიძიებენ და შესაძლოა ჟოზეს გარკვეული სანქციებიც დაუწესონ.

იტალიაში დაბრუნებულმა მოურინიომ პრესასთან მისთვის ჩვეულ ტონალობაში ისაუბრა და მასმედია კიდევ ერთხელ გააკრიტიკა:

*„დარწმუნებული ვარ, რომ ჟურნალისტებს „ინტერის“ მარცხი ძალიან გაუხარდათ. ასეთ განწყობას შეხვედრის დაწყებამდეც ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ. არაუშავს, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და მძიმე წუთები ღირსეულად უნდა გადაიტანო, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და დარწმუნებული ვარ, სულ მალე დიდ გამარჯვებას ვიზეიმებთ. ჩემპიონთა ლიგიდან გამოვვარდით, თუმცა სერია A-ში კარგი პოზიციები გვაქვს და სკუდეტოს დათმობას არავისთვის ვაპირებთ“.*

პრინციპული პაექრობის წინ, „ინტერს“ დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს. მოურინიო სამ უკანახაზელს მოისაკლისებს: **კრისტიან კივუს, მარკო მატერაცის** და **ნიკოლა ბურდისოს**. დაცვის ცენტრში ალბათ **ივან კორდობასა** და **ვალტერ სამუელის** ტანდემს ვიხილავთ. მარცხნივ **სანტონი** გაირჯება, მარჯვნივ კი **მაიკონი**. ნახევარდაცვაში პროგნოზის გაკეთება ერთობ რთული საქმეა და ჩვენც ზედმეტი კონკრეტიკისგან თავს შევიკავებთ. სასტარტოში შესაძლოა **ლუიშ ფიგუ** ან **პატრიკ ვიეირა** ვიხილოთ, ეს ფეხბურთელები ძირითადში იშვიათად ხვდებიან. რაც შეეხება თავდასხმას, აქ **ადრიანო-იბრაჰიმოვიჩის** წყვილს უნდა ველოდეთ, სასტარტოში მოხვედრის შანსი **მარიო ბალოტელისაც** აქვს, თუმცა ახალგაზრდა შავკანიანი ალბათ მაინც სათადარიგოთა სკამზე დარჩება.

ბოლო დროს, „ფიორენტინა“ არც თუ კარგ ფორმაშია, თუმცა სატურნირო ცხრილში მეოთხე პოზიციას მაინც ინარჩუნებს. ლიდერთან პაექრობას „ვიოლა“ ფაქტობრივად უდანაკარგოდ ხვდება. ერთადერთი, ვინც „ნერაძურის“ ვერ შეერკინება, ტრავმირებული **დაინელი** გახლავთ. სრულ მზადყოფნაშია **მუტუ-ჯილარდინოს** შემტევი ტანდემი. მათ უკან სავარაუდოდ **ფელიპე მელო** ითამაშებს, ვინც **კარლოს დუნგას** ყურადღება მიიპყრო და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში ალბათ მომავალშიც იასპარეზებს. მელოს ზურგს **მონტოლივო, იორგენსენი** და **კუჟმანოვიჩი** გაუმაგრებენ. საერთოდ, „ფიორენტინას“ ნახევარდაცვა ძალიან იმედისმომცემია, აპენინებზე ამ გუნდს მართლაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. **ჩეზარე პრანდელი** კი მეოთხე პოზიციის დათმობას არ აპირებს და ლიდერს ბრძოლას ჰპირდება.

„მილანი“ „სიენას“ ესტუმრება და შეეცდება სამი ქულა მოიპოვოს. „როსონერი“ მორიგ ტურს ბევრი სიახლით ხვდება. გუნდის გულშემატკივრებისთვის მართლაც კარგი ამბები გვაქვს. გამოჯანმრთელდნენ **კაკა** და **რონალდინიო**. ბრაზილიელები ტოსკანაში აუცილებლად ჩავლენ, თუმცა სავარაუდოდ სათადარიგო სკამზე მოუწევთ ჯდომა. **ანჩელოტი** მათ ალბათ მეორე ტაიმში მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას და ვნახოთ, ეს რა შედეგს გამოიღებს. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ სათადარიგო სკამზე გადაინაცვლებს **კლარენს ზეედორფიც**, კარლეტო კი ერთგვარ ექსპერიმენტს ჩაატარებს. გამთამაშებლის პოზიციაზე შესაძლოა **დევიდ ბექჰემმა** ითამაშოს, ვინც ტრავმისგან სრულად განიკურნა და სათამაშოდ მზად არის. ინგლისელს ბოლო პასის გაკეთება შესანიშნავად შეუძლია, რაც ალბათ ფლეიმეიქერობისას დიდად წაადგება. თავდასხმაში **პატო-ინძაგის** დუეტს ვიხილავთ, ამ უკანასკნელმა გასულ ტურში „ატალანტას“ ჰეთ-თრიკი შეუსრულა და თავის გამოჩენას ტოსკანაშიც შეეცდება.

„სიენამ“ გასულ ტურში „კატანია“ მისსავე მოედანზე გააკრა ბეჭებზე და თავის შერცხვენას არც ლომბარდიულ გრანდთან აპირებს. მასპინძლებს ყველაზე მეტად **მასიმო მაკარონეს** იმედი აქვთ. ის მიმდინარე სეზონს შესანიშნავად ატარებს. მოკლედ, წინ საინტერესო თამაშები გველის და ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით ალვივსოთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 27 | 19 | 6 | 2 | 49-21 | 63 |
| 2. იუვენტუსი | 27 | 17 | 5 | 5 | 43-21 | 56 |
| 3. მილანი | 27 | 15 | 6 | 5 | 46-27 | 51 |
| 4. ფიორენტინა | 27 | 14 | 4 | 9 | 38-27 | 46 |
| 5. ჯენოა | 27 | 12 | 9 | 6 | 36-27 | 45 |
| 6. რომა | 27 | 13 | 6 | 8 | 41-35 | 45 |
| 7. ლაციო | 27 | 12 | 5 | 10 | 39-37 | 41 |
| 8. კალიარი | 27 | 11 | 6 | 10 | 33-28 | 39 |
| 9. პალერმო | 27 | 12 | 3 | 12 | 34-35 | 39 |
| 10. ატალანტა | 27 | 11 | 3 | 13 | 31-31 | 36 |
| 11. ნაპოლი | 27 | 10 | 5 | 12 | 32-32 | 35 |
| 12. უდინეზე | 27 | 9 | 8 | 10 | 37-38 | 35 |
| 13. კატანია | 27 | 9 | 6 | 12 | 28-33 | 33 |
| 14. სამპდორია | 27 | 8 | 8 | 11 | 26-33 | 32 |
| 15. სიენა | 27 | 8 | 7 | 12 | 22-26 | 31 |
| 16. ბოლონია | 27 | 6 | 8 | 13 | 30-42 | 26 |
| 17. ტორინო | 27 | 5 | 9 | 13 | 25-40 | 24 |
| 18. კიევო | 27 | 5 | 9 | 13 | 21-36 | 24 |
| 19. ლეჩე | 27 | 4 | 11 | 12 | 22-41 | 23 |
| 20. რეჯინა | 27 | 3 | 10 | 13 | 21-44 | 19 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲜᲢᲔᲠᲘ

# ᲟᲝᲖᲔ, ᲬᲐᲓᲘ!

## ᲢᲘᲤᲝᲖᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲣᲠᲘᲜᲘᲝᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ

„ინტერის“ გუშინდელი ვარჯიში იტალიური სპორტული პრესის განსახილველი თემა გახდა. უფრო სწორად, არა ვარჯიში, არამედ ის, რაც წინ უსწრებდა წვრთნის დაწყებას. „აპიანო ჯენტილეს“ „ნერაძურის“ ტიფოზები ესტუმრნენ და **მოურინიოს** საწინააღმდეგო ბანერი გამოფინეს. ქომაგებმა პორტუგალიელს პოსტის დატოვება და მილანიდან აბარგება მოსთხოვეს. ეს ბანერი იქამდე იყო გამოფენილი, სანამ თავად მოურინიო არ გამოჩნდა. ჟოზე საწვრთნელ ბაზას **რომან აბრამოვიჩის** ნაჩუქარი შავი ფერარით ესტუმრა და უმალ შეიქნა გულშემატკივრების აგრესიის ობიექტი. პირენეელს სახეზე ეწერა, რომ ასეთ რამეს უბრალოდ არ მოელოდა.

იტალიელი ჟურნალისტები კი მოურინიოს „ინტერიდან“ წასვლას ნამდვილად არ გამორიცხავენ. როგორც ამბობენ, არც პორტუგალიელია გუნდის გამოცვლის წინააღმდეგი და შესაძლოა, სეზონის ბოლოს ლომბარდია დატოვოს კიდეც. ვრცელდება ხმები, რომ ჟოზეს საკუთარ კლუბში ხილვა მადრიდის „რეალის“ და „მანჩესტერ სიტის“ მესვეურებს სურთ, სახელდება „ჩელსის“ ვარიანტიც, ამ გუნდს ხომ ჯერ კიდევ დროებითი მწვრთნელი თავკაცობს.

ამ საკითხზე მოურინიოს კომენტარი არ გაუკეთებია, სამაგიეროდ **მასიმო მორატიმ** ისაუბრა და გავრცელებულ ხმებს ჭორი უწოდა:

*„შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მოურინიო და „ინტერი“ ჯერ არ დასრულებულა. პორტუგალიელის საქმიანობით კმაყოფილები ვართ და მასთან განშორებას არ ვაპირებთ. „მანჩესტერთან“ ცუდად ნამდვილად არ გამოვიყურებოდით და ცოტა რომ გაგვმართლებოდა, შესაძლოა, დუელი სხვაგვარად დასრულებულიყო. მჯერა, რომ ამ ფორმაციის „ინტერს“ კიდევ ბევრი წარმატების მიღწევა შეუძლია. მომავალ წელს, ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით უკეთესად უნდა ვიასპარეზებთ, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული“.*



**ამასობაში, მოურინიოს ერთ-ერთი გულშემატკივრის შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ...**

»»» 8

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ

# ᲠᲐᲜᲘᲔᲠᲘᲛ ᲢᲠᲔᲖᲔᲒᲔ ᲓᲐᲡᲐᲯᲐ

„ბოლონიასთან“ გასამართი შეხვედრისთვის, ტურინის „იუვენტუსის“ განაცხადში ვერ მოხვდა **დავიდ ტრეზეგე**. ფრანგი თავდამსხმელი **კლაუდიო რანიერიმ** დასაჯა და შემადგენლობიდან ამოაგდო. ამის მიზეზი მწვრთნელს და ფეხბურთელს შორის არსებული კონფლიქტია.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის განმეორებით შეხვედრაში, „ვეკია სენიორა“ „ჩელსის“ 2:1-ს უგებდა, როდესაც რანიერიმ ტრეზეგეს შეცვლა გადაწყვიტა და ასეც მოიქცა. კლაუდიოს გადაწყვეტილებამ ფრანგის აღშფოთება გამოიწვია, რაც მატჩის შემდგომ არც პრესასთან დაუმალავს. თუმცა იქამდე მწვრთნელთან სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა და სათქმელი პირში მიახალა. მასმედიას კი დავიდმა შემდეგი განუცხადა:

*„რანიერის გადაწყვეტილებებს ვერაფრით ვხსნი და მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის ფეხბურთში კარგად ჩახედული არ გახლავთ. შეხვედრას 2:1-ზე ვიგებდით და გოლის გატანა გვესაჭიროებოდა, მან კი აბსოლუტურად გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო. იმის მაგივრად, რომ თავდასხმა გაეძლიერებინა, სრულიად სხვაგვარად მოიქცა და მოედნიდან გამიყვანა. იმედი მაქვს, რანიერი გონს მოეგება და მომავალში უფრო ადეკვატურად მოიქცევა“.*

კლაუდიო რანიერი ფრანგის საქციელით განაწყენებულია, რაც მისი სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს:

*„დავიდის მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილი ვიყავი. მძიმე პერიოდში გვერდში ვუდექი და ეს თავადაც კარგად იცის. მისი დაბრუნება ძალიან გამიხარდა და ეს არც პრესასთან დამიმალავს. სანაცვლოდ კი ძალიან მძიმე სიტყვები მივიღე და ამას ნამდვილად არ ველოდი. როგორც ჩანს, ტრეზეგე გათამამებული ადამიანია, რომელსაც აქამდე ყველაფერი გასდიოდა. დღეს, „იუვენტუსში“ სულ სხვა სიტუაციაა და ეს კარგად უნდა ესმოდეს“.*

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა



ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტურის წინ

# მანჩესტერი ზედიზედ მესამედ?

| დღეს | |
|---|---|
| მანჩესტერ იუნ.-ლივერპული | 16:45 |
| არსენალი-ბლეკბერნი | 19:00 |
| ბოლტონი-ფულჰემი | 19:00 |
| ევერტონი-სტოკ სიტი | 19:00 |
| ჰალი-ნიუკასლი | 19:00 |
| მიდლსბრო-პორტსმუთი | 19:00 |
| სანდერლენდი-უიგანი | 19:00 |
| **ხვალ** | |
| ჩელსი-მანჩესტერ სიტი | 17:30 |
| ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 20:00 |
| **ზეგ** | |
| ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 00:00 |

დღეს მანჩესტერში დიდი მატჩია. ამიტომ დღევანდელ წინასატურო მიმოხილვაში მხოლოდ ამ შეხვედრით შემოვიფარგლებით. თუ „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ლივერპულის" დღევანდელ შეხვედრაში „ეშმაკები" გაიმარჯვებენ, ფაქტობრივად გაინაღდებენ კიდეც ზედიზედ მესამე საჩემპიონო ტიტულს. სადღეისო მდგომარეობით, ისინი მდევარ „ჩელსისა" და „ლივერპულს" შვიდი ქულით აღემატებიან, ამას გარდა, ერთი მატჩი თადარიგში აქვთ.

არადა, ორთვენახევრის წინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. გასული წლის მიწურულს, როდესაც „ეშმაკები" საკლუბო მუნდიალზე გაემგზავრნენ, ხოლო „ჩელსის" კრიზისი დაეწყო, „ლივერპულმა" პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ინგლისში დაბრუნებულმა „იუნაიტედმა" მდგომარეობას სერიოზულად მოჰკიდა ხელი და მოგებათა 11-მატჩიანი სერიის შედეგად, კუთვნილი ადგილი დაიბრუნა.

„ლივერპულთან" მატჩისათვის განსაკუთრებული მონდომებით ემზადება **უეინ რუნი**. მოგეხსენებათ, ის „ევერტონის" აღზრდილია. რუნი ამბობს, რომ მთელი მისი ოჯახი „ევერტონს" გულშემატკივრობს. მას ბავშვობიდანვე უნერგავდნენ თანაქალაქელი „ლივერპულის" სიძულვილს. რუნის თქმით, მას „ლივერპული" ისევე სძულს, როგორც ბავშვობაში. ამიტომ ყველაფერს იღონებს მეტოქის დასამწუხრებლად.

შუა კვირაში „მანჩესტერმა" „ინტერს" მოუგო და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაალწია. დიდი დღე ჰქონდა „ლივერპულსაც". მან „რეალი" გაacamტვერა. ვინც „რეალთან" მატჩი ნახა, ვერ დაიჯერებს, რომ მერსისაიდელებს პრობლემები აქვთ. მაგრამ **რაფა ბენიტესის** შეგირდებმა წესად აქციეს ევროპულ სარბიელზე შთამბეჭდავი გამარჯვებების შემდეგ პრემიერლიგის მატჩის ჩაგდება. შორს რომ არ წავიდეთ, „რეალთან" პირველი მატჩი გავიხსენოთ. მერსისაიდელებმა მადრიდში მინიმალური ანგარიშით მოიგეს, შემდეგ კი ინგლისში დაბრუნდნენ და სეზონის უსუსტესი შეხვედრა ჩაატარეს „მიდლსბროსთან" და 0:2 დამარცხდნენ. ინგლისელ მიმომხილველებს რომ ჰკითხოთ, „ლივერპულს" დღესაც ანალოგიური რამ გადახდება.

ბოლო წლებში „ლივერპული" „ოლდ ტრეფორდზე" სუსტად ასპარეზობს. მანჩესტერელთა მოედანზე მათი უკანასკნელი გამარჯვება 2004 წლით თარიღდება. სამაგიეროდ, მიმდინარე სეზონში, ლივერპულელებს დიდი ოთხეულის გუნდებთან ჯერ არ წაუგიათ. პირველ წრეში, „მანჩესტერთან" შინ ჩატარებულ შეხვედრაში კი 2:1 გაიმარჯვეს.

დეკემბრის მიწურულს „ლივერპულმა" „ნიუკასლი" გაანადგურა, 5:1, თუმცა მას მერე გუნდმა პრემიერლიგაში მხოლოდ სამჯერ მიაღწია წარმატებას. ასეთმა სუსტმა ასპარეზობამ ბენიტესის შეგირდებს გაჩემპიონების შანსი ფაქტობრივად დაუკარგა. სტუმ-



რებს ძირითადში ეყოლებათ **ალბერტ რიერა**. მან „რეალთან" მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. რიერა **რაიან ბაბელს** შეცვლის, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა მადრიდელებთან ბრწყინვალედ ითამაშა. **დანიელ აგერი** კვლავ ზურგს იტკიებს. **იოსი ბენაიუნის** თამაშიც საეჭვოა. ამ უკანასკნელს მუხლის ტრავმა აქვს.

„მანჩესტერ იუნაიტედს" კვლავ პრობლემები აქვს დაცვის ხაზში. ტრავმებს იშუშებენ **გარი ნევილი, ვესლი ბრაუნი** და **რაფაელ და სილვა**. ძირითადში ვიხილავთ **რიო ფერდინანდს**. ხოლო ახალგაზრდა მცველ **ჯონი ევანსს** სავარაუდოდ ტრიბუნაზე მიაბრძანებენ. მიმომხილველები თავდასხმაში კვლავ **დიმიტარ ბერბატოვისა** და **უეინ რუნის** თამაშს ელოდებიან. **კარლოს ტევესი**, რომელმაც „ენფილდზე" გამართულ შარშანდელ შეხვედრაში გოლი შეაგდო, მატჩს თადარიგში დაიწყებს. დასასრულს, გუნდების სავარაუდო შემადგენლობებს გაეცანით:

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ოში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, კრისტიანო რონალდო, ქერიკი, სქოულზი, გიგზი, ბერბატოვი, რუნი.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, აურელიო, მასკერანო, ჩაბი ალონსო, კუიტი, ჯერარდი, რიერა, ტორესი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 27 | 20 | 5 | 2 | 48-12 | 65 |
| 2. ჩელსი | 28 | 17 | 7 | 4 | 48-16 | 58 |
| 3. ლივერპული | 28 | 16 | 10 | 2 | 45-20 | 58 |
| 4. ასტონ ვილა | 28 | 15 | 7 | 6 | 42-29 | 52 |
| 5. არსენალი | 28 | 13 | 10 | 5 | 41-26 | 49 |
| 6. ევერტონი | 28 | 12 | 9 | 7 | 36-28 | 45 |
| 7. ვესტ ჰემი | 28 | 11 | 6 | 11 | 34-34 | 39 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 28 | 10 | 5 | 13 | 45-36 | 35 |
| 9. უიგანი | 28 | 9 | 8 | 11 | 27-27 | 35 |
| 10. ფულჰემი | 28 | 8 | 10 | 10 | 25-25 | 34 |
| 11. ბოლტონი | 28 | 10 | 3 | 15 | 30-40 | 33 |
| 12. ტოტენჰემი | 28 | 8 | 8 | 12 | 33-33 | 32 |
| 13. სანდერლენდი | 28 | 8 | 8 | 12 | 28-36 | 32 |
| 14. ბლეკბერნი | 28 | 7 | 9 | 12 | 32-44 | 32 |
| 15. ჰალ სიტი | 28 | 8 | 8 | 12 | 34-50 | 32 |
| 16. სტოკ სიტი | 28 | 7 | 8 | 13 | 27-44 | 29 |
| 17. ნიუკასლი | 28 | 6 | 10 | 12 | 34-45 | 28 |
| 18. პორტსმუთი | 27 | 7 | 7 | 13 | 29-44 | 28 |
| 19. მიდლსბრო | 28 | 6 | 8 | 14 | 20-40 | 26 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 28 | 6 | 4 | 18 | 25-54 | 22 |

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის წინ

# მარათონი გრძელდება

| გუშინ | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-შალკე | 4:3 |
| **დღეს** | |
| ბოხუმი-ბაიერნი | 18.30 |
| ჰერტა-ლევერკუზენი | 18.30 |
| ჰანოვერი-ბორუსია (დ) | 18.30 |
| კარლსრუე-არმინია | 18.30 |
| კიოლნი-ბორუსია (მ) | 18.30 |
| აინტრახტი-ჰოფენჰაიმი | 18.30 |
| **ხვალ** | |
| ვერდერი-შტუტგარტი | 20.00 |
| ჰამბურგი-კოტბუსი | 20.00 |

გერმანიის ჩემპიონატში დრამატული საჩემპიონო მარათონის მოწმენი ვხდებით. პირველ ხუთ გუნდს ერთმანეთისაგან ოთხი ქულა ჰყოფს (გუშინდელი თამაშის შედეგი შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში). ამიტომ თითოეულ მატჩსა და ქულას, შეიძლება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმოაჩნდეს. ტურის უმთავრესი მატჩი ბერლინში გაიმართება. „ჰერტა" „ლევერკუზენს" უმასპინძლებს. დღევანდელი შედეგის მიუხედავად, დედაქალაქური კლუბი პირველ ადგილს შეინარჩუნებს, რადგან ის უახლოეს მდევარს ოთხი ქულით აღემატება. ბერლინელთა ასეთი თამაში სიურპრიზია. გუნდის ხელმძღვანელობა ევროპული საგზურისათვის აპირებდა ბრძოლას. მისთვის ხუთეულში მოხვედრაც წარმატება იქნებოდა. სამეულში მოხვედრა, რაც ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას ნიშნავს, ოცნებაზე მეტია. ხოლო თუ გუნდი ვერცხლის სინს დაეუფლება, დაამტკიცებს, რომ ამქვეყნად სასწაულები ნამდვილად ხდება.

ბერლინელთა თავკაცი **ლუსიენ ფავრი** ზედიზედ მეოთხე მატჩში იგივე შემადგენლობის გამოყვანას აპირებს. ტრავმით გამოწვეული 12-კვირიანი პაუზის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე ვიხილავთ **გოიკო კაჩარს**. ფავრის ვიზავის, **ბრუნო ლაბადიას არტურო ვიდალი** გამოაკლდება. მან თვალი დაიზიანა. დაშავებულია **მანუელ ფრიდრიხი**. ამ უკანასკნელის ნაცვლად ისევ **ლუკას ზინკივიჩი** ითამაშებს.

გასულ უქმეებზე, „ჰანოვერთან" საშინაო მატჩის წინ **იურგენ კლინსმანმა** განაცხადა, რომ ეს შეხვედრა მისი გუნდისათვის გარდამტეხი უნდა გამხდარიყო. მიუნხენელებმა 5:1 გაიმარჯვეს. შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში უფრო დიდი ანგარიშით, 7:1 გაანადგურეს ლისაბონის „სპორტინგი". და აი, დღეს ბავარიელები „ბოხუმს" ეთამაშებიან. „ბაიერნს" კვლავ ვერ დაეხმარებიან **ლუკა ტონი, ჰამით ალთინტოფი** და **ტიმ ბოროვსკი**. ბრუნდება **ფრანკ რიბერი**. კვლავ ძირითადში ითამაშებს **დანიელ ვან ბუიტენი**, რომელმაც ბოლო შეხვედრები უმაღლეს დონეზე ჩაატარა.

„ბოხუმი" ძალას იკრებს. მისი დამარცხება ადვილი როდი იქნება. **მარსელ კოლერის** შეგირდებმა ბოლო ექვს მატჩში 11 ქულა მოიპოვეს და მე-14 საფეხურამდე ამაღლდნენ. „ბაიერნის" წინააღმდეგ გამორიცხულია **დიეგო კლიმოვიჩის**, ხოლო საეჭვოა **მარსელ მალტრიცისა** და **შინჯი ონოს** ასპარეზობა.

დიდი ხნის განმავლობაში „ჰამბურგი" ბუნდესლიგის ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრებოდა, მაგრამ ის მიონხენგლადბახის „ბორუსიასა" და „ვოლფსბურგთან" დამარცხდა, რითაც მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესა. ხუთშაბათს ჰამბურგელებმა „გალათასარაისთან" უეფას თასის პირველი მერვედფინალური მატჩი ჩაატარეს (1:1). გუნდმა დიდძალი ენერგია დახარჯა. მას ძირითადის რამდენიმე მოთამაშე - ატუბა, დემელი, კასტელენი და რაინჰარდტი არ ეყოლება.




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 23 | 14 | 4 | 5 | 38-27 | 46 |
| 2. ვოლფსბურგი | 24 | 13 | 6 | 5 | 50-31 | 45 |
| 3. ჰოფენჰაიმი | 23 | 12 | 6 | 5 | 49-31 | 42 |
| 4. ბაიერნი | 23 | 12 | 6 | 5 | 49-31 | 42 |
| 5. ჰამბურგი | 23 | 13 | 3 | 7 | 35-35 | 42 |
| 6. შტუტგარტი | 23 | 11 | 6 | 6 | 42-32 | 39 |
| 7. ლევერკუზენი | 23 | 11 | 4 | 8 | 45-31 | 37 |
| 8. შალკე | 24 | 10 | 7 | 7 | 33-25 | 37 |
| 9. ბორუსია (დ) | 23 | 7 | 12 | 4 | 32-27 | 33 |
| 10. ვერდერი | 23 | 7 | 8 | 8 | 42-34 | 29 |
| 11. კიოლნი | 23 | 8 | 5 | 10 | 25-31 | 29 |
| 12. აინტრახტი | 23 | 6 | 6 | 11 | 28-37 | 24 |
| 13. ჰანოვერი | 23 | 6 | 6 | 11 | 29-46 | 24 |
| 14. ბოხუმი | 23 | 4 | 10 | 9 | 28-37 | 22 |
| 15. არმინია | 23 | 3 | 12 | 8 | 20-33 | 21 |
| 16. კოტბუსი | 23 | 5 | 5 | 13 | 21-40 | 20 |
| 17. ბორუსია (მ) | 23 | 5 | 4 | 14 | 28-44 | 19 |
| 18. კარლსრუე | 23 | 5 | 2 | 16 | 18-40 | 17 |

ამბები

## ანიჩებე უხერხულ ვითარებაში აღმოჩნდა

„ლივერპულის" პოლიცია მძარცველთა კვალზე იდგა, როცა მათი ყურადღება ქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟული საიუველირო მაღაზიის წინ მდგომმა ორმა შავკანიანმა ახალგაზრდამ მიიპყრო. ესენი აღმოჩნდნენ „ევერტონის" თავდამსხმელი **ვიქტორ ანიჩებე** და მისი მეგობარი. მეგობრები რამდენიმე წუთის განმავლობაში ვიტრინასთან იდგნენ და კონკრეტულ ძვირფას სამკაულს აკვირდებოდნენ. მათმა ჩაცმულობამ რატომღაც სამართალდამცავთა ყურადღება მიიპყრო. რამდენიმე პოლიციელმა „ეჭვმიტანილებთან" გასაუბრება გადაწყვიტა. მხარეთა შორის გამართული საუბრის დეტალებზე არაფერს იუწყებიან, თუმცა ფაქტია, რომ ფეხბურთელმა და მისმა თანმხლებმა პოლიციელთა ეჭვიანი შეკითხვები შეურაცხყოფად მიიღეს, რის გამოც გაღიზიანდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვიქტორის მეგობარს ხელბორკილები დაადეს. მართალია, ინციდენტი მალე ამოიწურა, მაგრამ ანიჩებე პოლიციელთა მოქმედებით ძალზე ნაწყენი დარჩა. „ევერტონის" მხრიდან კომენტარი ვინმე **იენ როსმა** გააკეთა. აი, რას აცხადებს ის კლუბის სახელით: *„აღნიშნული ფაქტის შემდეგ ვიქტორი, რა თქმა უნდა, ცუდ ხასიათზეა. შეიძლება ითქვას, რომ მას სტრესი აქვს. ის პოლიციის ოფიცერთა მხრიდან ბოდიშის მოხდას ელის. როგორც კი ეს მოხდება, ინციდენტი ამოწურულად ჩაითვლება".*

## სელტიკის სპონსორული კონტრაქტი

შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო სამი სეზონის გამარჯვებულმა „სელტიკმა" „ნაიკთან" ხელშეკრულების კიდევ ხუთი წლით გახანგრძლივების შესახებ განაცხადა. მოქმედი ხელშეკრულება შოტლანდიელებსა და ამერიკულ კომპანიას შორის ძალაში იყო 2010 წლის ივნისის ბოლომდე. მიუხედავად საყოველთაო კრიზისისა, ახალი შეთანხმება „სელტიკისთვის" ბევრად უფრო სარფიანი გახლავთ. გარდა ყოველწლიური 5 მილიონი ევროსი, „ნაიკი" "კელტებს" დამატებით ბონუსებს ჰპირდება - გამომდინარე გუნდის მიერ მიღწეული წარმატებებიდან. ამერიკელების განცხადებით, წარმატებული სეზონის ჩატარების შემთხვევაში, გლაზგოელებმა შეიძლება წლიური გარანტირებული თანხის ოდენობის ბონუსი გამოიმუშაონ.

## ენდი კეროლი ნიუკასლში რჩება

„ნიუკასლის" 20 წლის იმედისმომცემი ფორვარდი **ენდი კეროლი** „კაჭკაჭებში" კიდევ 3,5 წლით დარჩება. ახალი შეთანხმება ძალაში იქნება 2013 წლის ივლისამდე. ახალგაზრდას წელს პრემიერლიგაში სულ რაღაც 6 თამაში აქვს ჩატარებული, თუმცა 2 გოლის გატანა უკვე მოასწრო. რამდენიმე დღის წინ ფეხბურთელმა ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთთან დაიჩივლა, იქამდე ვიდრე ახალ კონტრაქტს ხელს მოვაწერ, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ სათამაშო პრაქტიკა არ მომაკლდებაო. ენდი 2006 წლის ნოემბერში „პალერმო"-"ნიუკასლის" შეხვედრაში (1:0 სტუმართა სასარგებლოდ) კლუბის ისტორიაში შევიდა. ის ევროთასებზე „კაჭკაჭების" ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი გახდა. კეროლი ძირითად შემადგენლობაში თამაშს ამის შემდეგ ზუსტად ორი წელიწადი ელოდა. პირველი გოლი მან წელს, 10 იანვარს, „ვესტ ჰემს" გაუტანა და ჩრდილოელებს ქულა გადაურჩინა. „არ შემიძლია ის სიხარული თავიდან ბოლომდე გადმოგცეთ, რომელსაც ახალი შელშეკრულების გაფორმების გამო განვიცდი. ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ კლუბში თამაში. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო," - განუცხადა მან კლუბის ოფიციალურ საიტს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ბაუზეზრობა



# მოურინიო სტილს არ ღალატობს

## პოლიცია საქმის გამოძიებას შეუდგა

მანჩესტერის პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, ჯერჯერობით ფაქტზე... ამ ეტაპზე ეჭვმიტანილის სტატუსით არავინ სარგებლობს, მაგრამ თუკი გამოძიების ვერსია გამართლდა, შეიძლება **ჟოზე მოურინიოს** თავის ყულფში გაყოფა მოუხდეს. ოთხშაბათ საღამოს პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში მივიდა მოქალაქე **სტივენი** (უმუშევარი), რომელმაც განაცხადა, რომ მას მოურინიომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გთავაზობთ მისეულ ვერსიას: ის სხვა გულშემატკივრებთან ერთად სტუმართა ავტოგრაფების მოლოდინში იყო, როცა სტადიონი სეუ ჟოზემ დატოვა, რასაც ფანების ისტერიული ყვირილი მოჰყოლია: „დაბრუნდი სახლში, ჟოზე". რაზეც მოურინიო გაბრაზებულა, მასისკენ წამოსულა და მაინცდამაინც მისთვის შემოურტყამს. მომხდარის შესახებ სულ სხვა ვერსიას გვაწვდის „მანჩესტერ ივნინგ ნიუსი". გამოცემის მტკიცებით, ფანები ისეთ სიმღერას აგუგუნებდნენ, რომელიც მოურინიოს არ მოეწონა და მისი აფეთქებაც ამან გამოიწვია. „ინტერის" თავკაცს ასეთი ბრალდების მოსმენა სასაცილოდ არ ეყო. მისი თქმით, სტადიონიდან გამოსვლის შემდეგ მას კონტაქტი არავისთან ჰქონია. ამასვე ადასტურებენ „ინტერის" დელეგაციის წევრები... მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა. არის მედლის მეორე მხარეც: სტივენის უმუშევრობისთვის ხაზი ტყუილად არ გაგვისვამს. საქმე გარკვეულ ეჭვს ბადებს. იქნებადა, მას პროვოკაციის გზით პორტუგალიელისთვის გარკვეული თანხის გამოძალვა სურს?



გამოვიდა ახალი ნომერი

ჩელსი

# გუუს ჰიდინკი რეფორმებს ითხოვს

## ლემპარდი: ოღონდ ლივერპული არა

ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალური ბარიერის გადალახვის შემდეგ **გუუს ჰიდინკმა** პირველი კომენტარი გააკეთა, სადაც კმაყოფილება გამოთქვა გუნდის თამაშის ხარისხით. გთავაზობთ ციტატას: „ტურინში თამაში ყოველთვის ძნელია. მატჩის დებიუტში უყურადღებოდ ვთამაშობდით და წარმოუდგენლად ბევრი ორთაბრძოლა წავაგეთ, თუმცა ფეხბურთელების რეაქცია წაგებულ დუელებზე ძალიან მომეწონა. სწორედ ეს მიყვარს ჩემს გუნდში. მეტოქეს ღირსეული პასუხი გავეცით და საკუთარი მაღალი კლასი დავუმტკიცეთ. 10 შეხვედრიდან აუცილებელია 7-8 თამაშის მოგება, რათა გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოყალიბდეს. დიახ, ვიცოდით, რომ პანიკაში არ უნდა ჩავვარდნილიყავით, რადგან ნებისმიერ წამს შეგვეძლო ანგარიშის გათანაბრება. სწორედ ასე მოხდა... შესვენებამდე თავი გამოიჩინა მიკაელ ესიენმა. დროგბამ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენი გუნდისთვის შეუცვლელი ფიგურაა. ის მთელი თამაში დაგეშილი იყო მეტოქის კარზე. მან თითოეული მეტოქისთვის საღამო ჯოჯოხეთად აქცია. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ასევე ანელკას. მას ტრავმის გამო ბოლო პერიოდში თითქმის არ უვარჯიშია, მაგრამ ტაქტიკურ დავალებას შესანიშნავად გაართვა თავი. მას თავი არ დაუზოგავს არც ლაცვით ოპერაციებში. ერთი სიტყვით, მისმა თამაშმა აღმაფრთოვანა".

გარდა წმინდა სათამაშო კომპონენტებისა, ჰოლანდიელი ფეხბურთში ტექნოლოგიების დანერგვის ინიციატივით გამოვიდა. შეუძლებელია იმის თქმა, როგორ წარიმართებოდა მატჩი, **დიდიე დროგბას** მიერ გატანილი საჯარიმო დარტყმა რომ ჩაეთვალათ. "იუვეს" გოლკიპერმა ბურთი აშკარად ხაზს შიგნიდან გამოიტანა. ესპანელი არბიტრი **ალბერტო უნდიანო** და მისი ასისტენტები უძლურები იყვნენ, ობიექტურად შეეფასებინათ მომენტი. საქმე სულაც არ არის მათ არაპროფესიონალიზმსა თუ დაბალ კვალიფიკაციაში. სწორედ აღნიშნული გაუგებრობის გამო ჰიდინკმა სპეციალური განცხადება გააკეთა. გთავაზობთ ციტატას: "ვფიქრობ, მოვიდა დრო, ვენდოთ თანამედროვე ტექნოლოგიებს. ის ნამდვილად არ შეცდება და ზუსტად დააფიქსირებს კარის აღების მომენტს. ასეთ შემთხვევაში, კამათს, იყო თუ არა გოლი, აზრი დაეკარგება. როცა პირველად „ეინდჰოვენში" მივედი (პსვ-ს მთავარ მწვრთნელად 1987 წელს დაინიშნა. რედ) აღნიშნული პრობლემა მაშინაც მაწუხებდა და კომპანია „ფილიპსთან" ერთად ჯერ კიდევ მაშინ შევძელით მსგავსი შემთხვევებისთვის შეუცდომელი ტექნოლოგიის შემუშავება, მაგრამ მაშინაც ანალოგიური სიტუაცია იყო, ადამიანებს, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებდნენ, ჩვენი იდეა არ დასჭირდათ. წარმოიდგინეთ, ეს 20 წელზე მეტი ხნის წინ მოხდა. დღეს თანამედროვე ტექნიკა იმდენად განვითარებულია, რომ ელემენტარულად აუცილებელი გახდა მისი დანერგვა".

პრობლემა უკვე იმდენად აქტუალურია, რომ ისეთ კონსერვატიულ დაწესებულებაშიც კი, როგორიც ფიფაა, პირველ ეტაპზე „საქმის განხილვას" დათანხმდნენ. საკითხს მსოფლიოს ფეხბურთის მამები სპეციალურ სხდომაზე მიმდინარე წლის დეკემბერში განიხილავენ. უახლოეს ხანებში კი იტალიის თასის შეხვედრებში ჩატარდება ექსპერიმენტი ორი დამატებითი მსაჯის მონაწილეობით. ისინი მთელი თამაშის განმავლობაში კარის სიახლოვეს იდგებიან და დააკვირდებიან, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ბუნებრივია, აღნიშნული უდღეური იდეა **ზეპ ბლატერს** ეკუთვნის. გვიჩნდება შეკითხვა, კი მაგრამ, რანაირად უნდა განსაზღვროს ე.წ. დამატებითმა მსაჯმა, რომელ კუთხეში წავა ბურთი და თუნდაც განსაზღვროს, როგორ მოახერხებს იდეალური პოზიციის დაკავებას იმის დასაფიქსირებლად, გავიდა თუ არა ბურთი; პლუს რამდენ თამაშში ერთხელ მოუწევთ სათამაშო სიტუაციაში ჩართვა მეოთხე და მეხუთე არბიტრებს... იქნებ ფიფაში ჰქონდეთ სტატისტიკა, რამდენჯერ ფიქსირდება მსგავსი საკამათო ეპიზოდი. დაბოლოს, გვაინტერესებს, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, თუნდაც ყველაზე იდეალურ პოზიციაში მდგომი რომელი მსაჯი შეძლებდა **ჯეფრი ჰერსტისთვის** ჩათვლილი გოლის გაუქმებას, როცა კამათი ხსენებულ გოლზე ათეული წლები გაგრძელდა და მხოლოდ 21-ე საუკუნეში დაასკვნეს, რომ გოლი არ იყო. განა საინტერესო არ არის?

ზოგადი საფეხბურთო პრობლემებიდან, მოდი, ისევ „ჩელსის" ყოველდღიურობას დავუბრუნდეთ. **ფრენკ ლემპარდის** განცხადებით, ის ლოცულობს, რომ ლიგის მეოთხედფინალში ისევ „ლივერპულს" არ დაეჯახოს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეს გუნდები ერთმანეთს 22-ჯერ (!) შეხვდნენ (პრემიერლიგა, ჩემპიონთა ლიგა, ლიგის თასი, ასოციაციის თასი, ინგლისის სუპერთასი, იგივე „ქომუნითი შილდი") და ერთმანეთს ლამის უკვე დასანახად ვერ იტანენ. „შეიძლება, დიდად არც „ლივერპულს" სურდეს ჩვენთან დაპირისპირება. სიმართლე ითქვას, მოედანზე ერთმანეთის ყურება უკვე ყელში გვაქვს ამოსული. რა თქმა უნდა, თუკი ბედისწერა ინებებს, ისევ მოგვიწევს ამის გაკეთება, მაგრამ უბრალოდ, ძალიან ბედნიერები ვიქნებით, თუკი ასე არ მოხდება. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე უკვე აღარ დარჩა გუნდი, რომელთანაც თამაში შეიძლება გასეირნებად მიიჩნიო," – აცხადებს ვარსკვლავი.

გარდა საჩემპიონთალიგო ამბებისა, „ჩელსის" ვიცე-კაპიტანი პრესასთან მისი გუნდის ალმავლობის მიზეზების ახსნასაც ცდილობს. მისი ნააზრევი „გარდიანმა" გამოაქვეყნა: „ჰიდინკს განსაკუთრებული აურა აქვს, რომელიც მისადმი დადებითად განგაწყობს. ყველა დიდ მწვრთნელი, რომელთანაც ოდესმე მიმუშავია, სწორედ ამით გამოირჩეოდა. მან გუნდში ისეთი ცვლილებები გაატარა, რომ უცხო თვალი ამას ვერც შეამჩნევს. ახლა მთავარია, ფეხბურთელებს სიახლეებზე ადეკვატური რეაქცია გვქონდეს. იცით, რა, ჩემპიონთა ლიგისა და პრემიერლიგის მოგებას, გარდა ოსტატობისა, მებრძოლი სული სჭირდება. ჩემი აზრით, მიმდინარე სეზონში სწორედ ეს უკანასკნელი გვაკლდა. ბოლო 5-6 შეხვედრაში კი დავამტკიცეთ, რომ ერთიანნი ვართ. „ჩელსის" კლასიც აქვს და როცა საბრძოლო განწყობაც დაგვიბრუნდება, ყველაფრის მიღწევას შევძლებთ".



პრესამ გაავრცელა „არისტოკრატთა" კიდევ ორი ფეხბურთელის საინტერესო კომენტარი სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ბოლო დროს ძალზე გახშირდა **მიხაელ ბალაკისა** და „ბაიერნის" შესაძლო რომანზე ლაპარაკი. 32 წლის ვეტერანი ხმებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მას კარიერის დასრულება სწორედ „სტემფორდ ბრიჯზე" სურს. მან ასევე განაცხადა (ეს მერამდენედ), რომ ჰიდინკს დიდებულ მწვრთნელად მიიჩნევს და კარგი იქნება, თუკი ჰოლანდიელი „ჩელსისთან" ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებს. გერმანიის ნაკრების კაპიტნის კომენტარი ამჯერად ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა. თანაგუნდელს ჰიდინკის შეფასებაში დაეთანხმა **პეტ ჩეხიც**, რომელმაც თავის მხრივ კიდევ ერთხელ უარყო მომავალი სეზონიდან „ბარსელონაში" გადასვლის პერსპექტივა.

აქვე ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ „არისტოკრატთა" სატრანსფერო გეგმების შესახებ. ჰიდინკის რეკომენდაციით, **რომან აბრამოვიჩმა** მოსკოვში, ცსკა-"შახტარის" უეფას თასის შეხვედრაზე „ჩელსის" სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** მიავლინა. მატჩში ლონდონელთათვის საინტერესო სამი ფეხბურთელი მონაწილეობდა, ლაპარაკია **იური ჟირკოვზე**, **ვაგნერ ლავსა** და უკრაინელთა ბრაზილიელ ნახევარმცველ **ფერნანდინიოზე**. თამაშის დასრულების შემდეგ არნესენმა „ლუჟნიკი" ისე დატოვა, რომ რუსულ პრესასთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

ლივერპული



# ბენიტესმა, ჩვენი ძალა დავამტკიცეთო

## ენფილდელთა არჩევანი: ახლა ან არასოდეს

**რაფა ბენიტესი** ჟურნალისტების წინაშე ანგარიშით წარდგა. ბუნებრივია, ესპანელ სპეციალისტს უკმაყოფილების მინიმალური საფუძველიც კი არ აქვს, თუმცა გარკვეულ სათამაშო კომპონენტებს ხაზი მაინც გაუსვა: *„ვიცი, რასაც ფიქრობენ ჩემზე ესპანეთში... თითქოს ჩემმა გუნდებმა არ იციან შემტევი ფეხბურთის თამაში. შეუძლებელია, ეს სიმართლე იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მაგალითად, შარშან 119 გოლი გავიტანეთ. "რეალთან" პირველიდან ბოლო წუთამდე უმაღლეს დონეზე ვიასპარეზეთ. ამის დასტურია საბოლოო შედეგიც. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩა. გაითვალისწინეთ, რომ ჩემს გუნდს ევროპის კლუბების რეიტინგში პირველი ადგილი უკავია. შემდგომი დაპირისპირება „ლივერპულისთვის" ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. სამეფო კლუბთან ნაჩვენები თამაშის ხარისხი და გატანილი გოლები ოპტიმისტურ განწყობაზე მაყენებს. რა უნდა მომხდარიყო ამაზე უკეთესი „იუნაიტედთან" გადამწყვეტი მატჩის წინ? მნიშვნელოვანი იქნება, რომ ასეთივე ხარისხი შევინარჩუნოთ „ეშმაკებთან" დაპირისპირებაშიც. მართალია, „ოლდ ტრეფორდზე" ჩვენს წინააღმდეგ უძლიერესი გუნდი გამოვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვა არჩევანი, გარდა მოგებისა და ჩამორჩენის აღმოფხვრისა, აღარ გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრემიერლიგაში საჩემპიონო ამბიციებს საბოლოოდ უნდა დავემშვიდობოთ".*

მერსისაიდელთა მთავარი მწვრთნელი კლუბთან ახალი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკებას განაახლებს. ეს სააგენტოებს თავად ესპანელმა დაუდასტურა. *„მომავალ კვირაში ხელმძღვანელობასთან ჩემს სამომავლო გეგმებზე დალაპარაკებას ვაპირებ. ვფიქრობ, ორი კვირის განმავლობაში საკითხს წერტილი დაესმება. ისინი, ვინც ამბობენ, რომ „რეალში" მივდივარ, სასტიკად ცდებიან. მოქმედი კონტრაქტი „ლივერპულთან" მაკავშირებს და ფიქრითაც მხოლოდ ამ კლუბზე ვფიქრობ. ინგლისში ცხოვრებით ბედნიერი ვარ, ამასთან, ჩემს გეგმებს თანდათან ვახორციელებ"...* - განუცხადა ბენიტესმა „გარდიანს".

**ფლორენტინო პერესის** „რეალში" მეორედ მოსვლა ჯერ ფაქტი სულაც არ არის (მიუხედავად იმისა, რომ ამაში ეჭვი აღარავის ეპარება), მაგრამ პრესა უკვე აქტიურად საუბრობს იმ ფეხბურთელებზე, რომელთაც ის „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაიყვანს. ამჯერად ესპანური მედია აქტიურად ალაპარაკდა **სტივ ჯერარდისა** და **ჩაბი ალონსოს** შესაძლო ტრანსფერებზე, ხოლო ის, რომ დონ ფლორენტინო **კაკასა** და **რონალდოს** „ყიდულობს", ალბათ, სიახლეს აღარავისთვის წარმოადგენს. პერესს არ აშინებს ის, რომ სტივი უკვე 29 წლისაა. მისი განცხადებით, **ზინედინ ზიდანიც** 29 წლისა გახლდათ, როცა საბურთაოდ "ბერნაბეუზე" გადავიდა, მაგრამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. რაც შეეხება „ლივერპულის" პოზიციას... დიახ, ფეხბურთში გათვითცნობიერებული მკითხველი უთქმელადაც მიხვდა, რომ მერსისაიდელები ლიდერის გაყიდვას არ აპირებენ. რაც შეეხება ალონსოს: მადრიდელებმა მისი შეძენა უკვე რამდენჯერმე სცადეს. პირველად ეს 2004 წელს იყო. მაშინ ბასკი ფეხბურთელი ჯერ კიდევ „სოსიედადში" თამაშობდა. პერესმა 12 მილიონი გაამზადა, მაგრამ „ლივერპულმა" 17 გადაიხადა და ფეხბურთელი „ენფილდზე" წაიყვანა. მადრიდელებმა მეორედ უკვე 2006 წელს, **რამონ კალდერონის** ხანაში სცადეს ტრანსფერის გაჩარხვა. ბენიტესმა ვარსკვლავის გაყიდვაზე კატეგორიული უარი თქვა. ამჟამად სიტუაცია ცოტა განსხვავებულია. საქმე ის არის, რომ სენიორ რაფას მომავალი სეზონისთვის ინგლისის ნაკრების ორი ფეხბურთელის შეძენა უნდა, ლაპარაკია ასტონვილელი **გარეთ ბერისა** და ტოტენჰემელი **აარონ ლენონის** შესახებ. მათ გადასაბირებლად „ლივერპულს" ფული სჭირდება. თანაც, ბერის შეუძლია ალონსოს ღირსეული შემცვლელი გახდეს. პერესი მზადაა, ესპანელ ნახევარმცველში 22 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

**ფერნანდო ტორესი** გაყოყოჩდა. ის „რეალის" მინასთან გასწორების შემდეგ იმდენად აღფრთოვანებულია, რომ ახლა „მანჩესტერ იუნაიტედსაც" ემუქრება. ის „ოლდ ტრეფორდზე" „ეშმაკების" დამარცხებასა და საჩემპიონო რბოლაში ხელახლა ჩართვას გეგმავს. *„შაბათს გასამართი შეხვედრა სეზონის ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩი იქნება. როგორც სამეფო კლუბთან მატჩმა დაამტკიცა, ჩვენ ისეთ მრისხანე ძალას წარმოვადგენთ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია, ამბობს ელ ნინიო".*

*„ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი? გეტყვით ერთს, დაივიწყეთ მესი და რონალდო... მართალია, ჩემი ფავორიტი იმდენ ყურადღებას ვერ იქცევს, მაგრამ თავისი გუნდისთვის ის ორჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე ეს ორი ვარსკვლავი ერთად აღებული. მსოფლიოს უპირველესი მოთამაშე სტივ ჯერარდია. ის „ლივერპულის" ნამდვილი სული და გულია. როცა სტივი ტრავმირებულია, მისი არყოფნა თანაგუნდელებზე ძლიერ მოქმედებს. „რეალში" თამაშის დროს უამრავი ტიტული მოვიგე. ყოველი ტრიუმფის შემდეგ ერთსა და იმავეს ვამბობდი, რომ სამეფო გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი კლოდ მაკელელე იყო. მე, ფიგუ და რაული კაპიკად არ ვღირებოდით, კლოდი რომ არა. სწორედ ასეთივე როლი აქვს სტივს „ლივერპულში". ის ფლობს პასის საოცრად დახვეწილ კულტურას, დაუნდობელია დაცვაში და რეგულარულად გააქვს გოლები მეტოქეთა კარში. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჯერარდი თანაგუნდელთა შორის საკუთარი ძალების მეტ რწმენას ბადებს. ამ თვისებას კი ვერავინ გასწავლის. ასეთი ქარიზმით მხოლოდ იბადებიან",* - განუცხადა ზინედინ ზიდანმა „დეილი მეილს".

ამბები

## რომში არსენალის ფანი დაშავდა

„არსენალის" გულშემატკივარი რომაელ ფანებთან შეტაკებაში მსუბუქად დაშავდა. საქმე ის არის, რომ სტუმარი "სტადიო ოლიმპიკოზე" თამაშის დაწყებამდე მთელი [illegible] საკუთარი მიკროავტობუსით მივიდა. მასპინძლებმა მანქანას ალყა შემოარტყეს და [illegible] მოჰყვნენ, შემდეგ კი უკვე ქვებზე გადავიდნენ. გაუგებრობას იწვევს ერთი ფაქტი: დაშავებულს ფეხი მინით აქვს გაჭრილი. უცნობია, სიტუაციის დასამძიმებლად მან თავად გაიჭრა დამსხვრეული ჭიქის გამოყენებით, თუ ეს ტრავმაც თავდამსხმელებმა მიაყენეს. საბედნიეროდ, არც ერთი დაზიანება სერიოზულ საშიშროებას არ წარმოადგენს. მას სტადიონზე მყოფმა ექიმებმა დაუმუშავეს ჭრილობა და ასე განსაჯეთ, თამაშის ყურება მან უშუალოდ ტრიბუნებიდან შეძლო. პოლიციის განცხადებით, ერთი ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ახალი ლოგო მანჩესტერის მაისურზე

## რუნი ლივერპულის დასამარებას გეგმავს

დეკემბერში „იუნაიტედმა" მსოფლიოს საკლუბო მუნდიალი მოიგო. მას მერე სამი თვე გავიდა, მაგრამ კლუბის მარკეტინგის სპეციალისტებს ახლაღა მოუვიდათ აზრად, გამარჯვების აღსანიშნავად ლოგო მაისურზე გადაეტანათ. პირველად გუნდი ახალი დიზაინის მაისურებით „ინტერთან" გამოვიდა. აღნიშნულ ნიშანს კლუბი დეკემბრამდე გამოიყენებს ჩემპიონთა ლიგის, ასოციაციისა და ლიგის თასების თამაშებში, მაგრამ არა პრემიერლიგაში. *„ჩვენთვის უზარმაზარი პატივი იყო ის, რომ გავხდით პირველი ინგლისური გუნდი, რომელმაც მსოფლიოს რეორგანიზებული საკლუბო ჩემპიონატი მოიგო. ამ მოვლენის აღსანიშნავად, ტურნირის ლოგოს მაისურზე გადავიტანთ და დიდი სიამაყითაც ვატარებთ მას. იმედს ვიტოვებთ, რომ დეკემბერში აბუ დაბიში გამართულ ტურნირში ტიტულის დაცვას შევძლებთ,"* - ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

**უეინ რუნის** სულაც არ აშინებს „ლივერპულის" ბრწყინვალე სათამაშო ფორმა. მას იმედი აქვს, რომ დღევანდელ შეხვედრაში მერსისაიდელები ჩემპიონობაზე ოცნებას გამოეთხოვებიან. *„იუნაიტედი" საკუთარი გულშემატკივრის უპირატესობას ფლობს. თუკი „ლივერპულს" დავამარცხებთ, მათ საჩემპიონო იმედებს საბოლოოდ დავასამარებთ,* - განუცხადა ფეხბურთელმა სქაი სპორტსს". *- სწორედ ამიტომაა, რომ ასე მოუთმენლად ველოდებით ამ თამაშს. წელს რომელ ტურნირებშიც კი დავიწყეთ ასპარეზობა ან უკვე მოვიგეთ, ან ჯერ არ გამოვვარდნილვართ. ანგარიშს ვუწევთ იმასაც, რომ სეზონის გადამწყვეტი შეხვედრები სწორედ ახლა დგება და კონცენტრაცია კიდევ უფრო მეტად გვმართებს. გუნდი მაქსიმუმს გაიღებს მიზნის მისაღწევად".*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge




ესპანეთი. ლიგა BBVA. XXVII ტურის წინ

# სანჩესი ბარსელონასთვის ტყავის გასაძრობად ემზადება

## კაპაროსს იმედი აქვს, რომ ლივერპულში დათრგუნული სამეფო კლუბი სან მამესზე ვერაფერს გააკეთებს

| დღეს | |
|---|---|
| ვალენსია-რეკრეატივო | 23:00 |
| ბილბაო-რეალი | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ვალიადოლიდი-ხეტაფე | 20:00 |
| მალაგა-სევილია | 20:00 |
| ესპანიოლი-მალიორკა | 20:00 |
| ბეტისი-ოსასუნა | 20:00 |
| სპორტინგი-დეპორტივო | 20:00 |
| რასინგი-ნუმანსია | 20:00 |
| ატლეტიკო-ვილიარეალი | 22:00 |
| ალმერია-ბარსელონა | 00:00 |

„ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წაგების შემდეგ სამეფო კლუბს მხოლოდ ერთი გზა დარჩა. პრიმერა დივიზიონში ბოლო ამოსუნთქვამდე ბრძოლა. მიზანი ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, მაგრამ საქმე ის არის, რომ მადრიდელები ამ გზაზეც სერიოზულ წინაღობებს აწყდებიან. მთავარი პრობლემა, რა თქმა უნდა, „ბარსელონას" ექვსქულიანი უპირატესობაა. სამეფო კლუბს ამ ჰანდიკაპის ამოქაჩვა საკმაოდ გაუჭირდება. პირველ რიგში იმიტომ, რომ ევროტურნირიდან გამოვარდნით დედაქალაქელებს დიდი დარტყმა მიადგათ. თანაც, „ბარსამ" „ლიონთან" გამარჯვებით ბრწყინვალება დაიბრუნა. სერიოზული პრობლემების მიუხედავად, „რეალს" შანსი, რა თქმა უნდა, აქვს და ამ შანსის გამოსაყენებლად ბოლომდე იბრძოლებს. **ხუანდე რამოსს** სხვა პრობლემებიც აქვს. კერძოდ, საკადრო პრობლემები. სამეფო კლუბის მწვრთნელს სავარაუდოდ **ფაბიო კანავარო** ვერ დაეხმარება. იტალიელ მცველს „ლივერპულთან" მატჩში ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. პრობლემები აქვს **ხავი გარსიასაც**, თუმცა დასამალი არ არის, რომ მისი დიდი იმედი არც არავის აქვს. კანავაროს თამაში, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ასევე ვერ იასპარეზებენ **ფერნანდო გაგო** და **მიჩელ სალგადო**. მათ დისკვალიფიკაცია აქვთ მისჯილი. ხუანდე რამოსმა განაცხადში **ჟულიენ ფობერი** ისევ შეიყვანა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ფრანგი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში დააყენოს. მადრიდელების მთავარი პრობლემა, რა თქმა უნდა, **ხოსე მარია გუტიერესის** ტრავმაა. გუტიმ ავადმყოფობის გამო რამდენიმე კვირა გამოტოვა და ახლა იგივე ტრავმა გაუმიზეზდა. სენიორ ხუანდემ ეს ამბავი ძალიან განიცადა და განაცხადა, გუტის ტრავმა ჩვენს პოტენციალს მნიშვნელოვნად ამცირებსო. მიმომხილველებს იმედი ჰქონდათ, რომ მთავარი მწვრთნელი განაცხადში **როისტონ დრენტეს** შეიყვანდა, მაგრამ რამოსმა ტაქტიკური მოსაზრებების გამო ჰოლანდიელი ნახევარმცველი ისევ თამაშგარეში დატოვა. სამაგიეროდ, განაცხადში **პარეხოსთვის** მონახა ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო კლუბის ვარჯიშმა საპანაშვიდო გარემოში ჩაიარა. თითქმის არავინ იცინოდა და ხმასაც იშვიათად თუ ვინმე იღებდა.

„ბილბაო" „ბარსელონასთან" წაგების შემდეგ ქულების უბრძოლველად განიავებას ვერ დაუშვებს. **ხოაკინ კაპაროსი** უჩვეულო სვლაზე წავიდა და ჟურნალისტებისთვის ბოლო სამი ვარჯიში დახურა. როგორც წესი ბასკები მედიას მხოლოდ ბოლო ერთ დღეს უხურავენ ხოლმე. როგორც ჩანს, სენიორ კაპაროსს ბევრი საკითხი აქვს დასახვეწი და სამუშაო. უნდა ითქვას, რომ ის ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი:

*„რეალი" „ლივერპულთან" მტკივნეული წაგების გამო განადგურებული და დამცირებულია. შეუძლებელია, რამდენიმე დღეში ადამიანმა სასოწარკვეთილებას თავი დააღწიოს. ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთ და ეს მატჩი ნებისმიერ ფასად მოვიგოთ. ვფიქრობ, ძალიან კარგი შანსი გვაქვს და ის ხელიდან არ უნდა გავუშვათ".*

ხოაკინ კაპაროსის როგორ უნდა გაგიკვირდეს, როცა „ალმერიას" თავკაცი **უგო სანჩესი** „ბარსელონას" დამარცხებისთვის ემზადება. მექსიკელმა სპეციალისტმა სიხარულით განაცხადა, რომ მას საუკეთესო შემადგენლობას მოუყარა თავი და ბიჭები სრული დატვირთვით ამუშავა. სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით ბატონი სანჩესის განცხადებას გაგაცნობთ:

*„მას შემდეგ, რაც გუნდი ჩავიბარე, სრულ შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება პირველად მომეცა. ეს ჩემთვის ბედნიერი დღეა და შევეცდები, „ბარსას" ტყავი გავაძრო. რა თქმა უნდა, ხმამაღალი განცხადებაა, მაგრამ ჩემი გუნდის შესაძლებლობას კარგად ვაცნობიერებ და მიმაჩნია, რომ გამარჯვება შეგვიძლია. კატალონიელები ჩემპიონთა ლიგის გამო გადაღლილი არიან და დარწმუნებული ვარ, ჩვენს წინააღმდეგ მატჩში შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ გამოამჟღავნებენ. ეს ჩვენი შანსია. უკვე ჩამოყალიბებული მაქვს ის ტაქტიკა, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ. მთავარია, სწრაფი გოლი არ გაგვიტანონ. დანარჩენს ყველაფერს მოევლება".*

უგო სანჩესის ოპტიმიზმი კატალონიელებს, ალბათ, სასაცილოდ არ ჰყოფნით. მეტოქეს ისინი ყოველთვის ჯეროვნად აფასებენ, მაგრამ **პეპ გვარდიოლა** და მისი ბიჭები არავის მისცემენ იმის უფლებას, რომ „ბარსას" ტყავის გაძრობაზე ასე თავხედურად ილაპარაკონ. მიუხედავად იმისა, რომ გვარდიოლას საკადრო პრობლემები აქვს, „ალმერია" კატალონიელებს ვერ შეაშინებს. რადგან საკადრო პრობლემები ვახსენეთ, გეტყვით, რომ „ბარსას" **კარლეს პუიოლი** პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებაშიც ვერ დაეხმარება. მან ბარძაყის კუნთი იტკინა და სამკვირიან იძულებით შვებულებაში გავიდა. ტრავმებით გატანჯული **გაბრიელ მილიტო** ბოლო დღეებია ინტენსიურად ვარჯიშობს, მაგრამ მიმომხილველებს უჭირთ იმის თქმა, მოხვდება, თუ არა არგენტინელი მცველი განაცხადში. როგორც ჩანს, „ბარსას" დაცვაში გარკვეული რპობლემები შეექმნება, მაგრამ როგორც ყოველთვის უკანა ხაზს ნახევარდაცვა უნდა დაეხმაროს. ბევრი რამ ისევ და ისევ **ანდრეს ინიესტასა** და **ჩავის** გამართულ თამაშზე იქნება დამოკიდებული. ერნანდესმა „ლიონთან" მატჩის შემდეგ თავმოყვარედ განაცხადა, „ბარსელონამ" სრულყოფილებასთან მიახლოვებული ფეხბურთის დემონსტრირება მოახდინაო. ჩავი დარწმუნებულია, რომ ის და მისი მეგობრები „ალმერიასთანაც" სამაგალითო ფეხბურთს ითამაშებენ და ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწევენ წინ. სრული სურათის დასახატად გეტყვით, რომ **ვიქტორ ვალდესს, სილვინიოს, რაფა მარკესს, ტიერი ანრისა** და **სამუელ ეტოოს** უმნიშვნელო ტრავმები აწუხებდათ, თუმცა ყველა პრობლემა მოაგვარეს და აცხადებენ, რომ საბრძოლველად 100 პროცენტით მზად არიან. გვარდიოლა გამარჯვებისთვის რამდენიმე აუცილებლობას ხედავს: „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სრული მობილიზება მოვახდინოთ და მაქსიმალური კონცენტრაციით ვითამაშოთ. მეშინია, მოედანზე ზედმეტად თავდაჯერებული არ გავიდეთ. „ალმერია" ისევე უნდა დავაფასოთ, როგორც ნებისმიერი გრანდი, რომელიც უშეღავათოდ გვებრძვის. საკმაოდ ბევრი უპირატესობა გვაქვს. მიმაჩნია, რომ ფეხბურთელებმა წინა დღეებში წარმოქმნილი ფსიქოლოგიური პრობლემები დაძლიეს და ახლა გაცილებით უკეთ გამოიყურებიან. მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ და კომბინაციური შეტევები მოვაწყოთ. „ბარსას" წარმატება სწორედ კომბინაციურ შეტევებშია."

ჩემპიონთა ლიგაში „ატლეტიკოსაც" დიდი დარტყმა მიადგა. მადრიდელებს თანაბარი ძალის მოწინააღმდეგე ჰყავდათ. მათ ყველა პირობა ჰქონდათ იმისთვის, რომ მომდევნო ეტაპზე გასულიყვნენ, მაგრამ პორტუგალიური დაბრკოლება გადაულახავი დარჩა. მადრიდელები არ მალავენ, რომ იმედგაცრუებული არიან და პრიმერადივიზიონური დაპირისპირებისთვის მობილიზება უჭირთ. როცა გუნდში ასეთი სიტუაციაა, გამარჯვების შანსი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად მცირდება. ბუნებრივია, ამას კლუბის პრეზიდენტი კარგად აცნობიერებს და ძალიან წუხს. **ენრიკე სერესომ** პარასკევის ვარჯიშზე ფეხბურთელები საკონფერენციო დარბაზში დაიბარა და ძალიან მკაცრად დაელაპარაკა. პრეზიდენტმა ფეხბურთელებისგან თავდადება და შეხვედრის მოგება მოითხოვა. **აბელ რესინომ** ჟურნალისტებს გულწრფელად უთხრა, ძალიან ბევრი ვეცადე, მაგრამ ბიჭები ხასიათზე ვერ მოვიყვანე, ისინი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნას საშინლად განიცდიანო. პორტუგალიაში „პორტუსთან" შეხვედრაში დიეგო ფორლანი ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა და ამას დიდი დაპირისპირება მოჰყვა. ამ თემაზე ცალკე მასალას შემოგთავაზებთ.

მიმოხილვას „მალიორკასა" და „ესპანიოლის" დაპირისპირებით დავასრულებთ. ეს შეხვედრა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ გუნდები უშუალო კონკურენტები არიან და სამ ქულას ფაქტობრივად, ექვსი ქულის ფასი აქვს. ბალეარელები არ მალავენ, რომ „მონჟუიკზე" ქულების დაკარგვა წარმოუდგენელი პრობლემა იქნება. საგულისხმოა, რომ „ესპანიოლს" კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა აქვს. კატალონიელებს **კარლოს კამენი** დაუბრუნდათ. წამყვანი მეკარის გამოჯანმრთელებით **მაურისიო პოჩეტინო** ძალიან გახარებულია და სჯერა, რომ კამერუნელი გოლკიპერი გამარჯვების საქმეში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. შესაძლოა, ვინმეს გადაჭარბებულ განცხადებად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ კამენი საიმედო და გამოცდილი მეკარეა. მას გუნდი მრავალ შეხვედრაში უხსნია დამარცხებისგან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 20 | 3 | 3 | 76-24 | 63 |
| 2. რეალი | 26 | 18 | 3 | 5 | 58-29 | 57 |
| 3. სევილია | 26 | 15 | 5 | 6 | 36-23 | 50 |
| 4. ვილიარეალი | 26 | 12 | 9 | 5 | 41-34 | 45 |
| 5. მალაგა | 26 | 12 | 6 | 8 | 43-38 | 42 |
| 6. დეპორტივო | 26 | 12 | 6 | 8 | 34-33 | 42 |
| 7. ატლეტიკო | 26 | 11 | 7 | 8 | 53-39 | 40 |
| 8. ვალენსია | 26 | 11 | 6 | 9 | 46-39 | 39 |
| 9. ვალიადოლიდი | 26 | 11 | 3 | 12 | 40-42 | 36 |
| 10. ალმერია | 26 | 8 | 7 | 11 | 33-41 | 31 |
| 11. ბილბაო | 26 | 8 | 7 | 11 | 35-41 | 31 |
| 12. რასინგი | 26 | 7 | 9 | 10 | 29-34 | 30 |
| 13. სპორტინგი | 26 | 10 | 0 | 16 | 32-55 | 30 |
| 14. რეკრეატივო | 26 | 7 | 8 | 11 | 25-37 | 29 |
| 15. ხეტაფე | 26 | 6 | 10 | 10 | 36-40 | 28 |
| 16. ბეტისი | 26 | 7 | 7 | 12 | 37-43 | 28 |
| 17. მალიორკა | 26 | 7 | 7 | 12 | 28-43 | 28 |
| 18. ოსასუნა | 26 | 5 | 10 | 11 | 27-33 | 25 |
| 19. ნუმანსია | 26 | 7 | 2 | 17 | 28-50 | 23 |
| 20. ესპანიოლი | 26 | 4 | 9 | 13 | 22-41 | 21 |

ატლეტიკო

# რესინოს ფეხბურთელები დაუპირისპირდნენ

## რატომ დაიჩაგრა დიეგო ფორლანი?

ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მერვედფინალურ დაპირისპირებაში „ატლეტიკომ" „პორტუსთან" გოლის გატანა ვერ შეძლო და გათამაშებას გამოეთიშა. მადრიდელთა მთავარმა მწვრთნელმა **აბელ რესინომ** სრულიად მოულოდნელად **დიეგო ფორლანი** ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა. გულშემატკივრებმა ეს ფაქტი ძალიან ცუდად მიიღეს და მთავარი მწვრთნელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სენიორ რესინოს ფეხბურთელებმაც შეუტიეს. დაგვეთანხმებით, ფეხბურთში მსგავსი რამ იშვიათად ხდება ხოლმე, მაგრამ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა მოთამაშეებმა, ალბათ, ყველაზე კარგ ფორმაში მყოფი მეგობრის დაუფასებლობას დააბრალეს და მთავარი მწვრთნელს ღია ტექსტით შეუტიეს. თავდაპირველად **სინამა პონგოლეს** განცხადებას შემოგთავაზებთ:

*„ჩემთვის გაუგებარი დარჩა, რატომ ვერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში დიეგო ფორლანი. არა მგონია, ეს მისი ტრავმის გამო მომხდარიყო. როგორც ჩანს, მთავარმა მწვრთნელმა ტაქტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ჩემთვის გაუგებარია. ბუნებრივია, მწვრთნელს აქვს იმის უფლება, რომ ძირითადი შემადგენლობა პირადი შეხედულებისამებრ, ექსკლუზიური გადაწყვეტილებით დააკომპლექტოს. თუმცა მეც მაქვს იმის უფლება, რომ ჩემი მოსაზრებები ღიად და დაუფარავად გამოვხატო."*

კუნ აგუერო ფრანგ კოლეგაზე კიდევ უფრო რადიკალურია: *„ფორლანი დღეს ყველაზე კარგ ფორმაშია და არ მესმის, მთავარმა მწვრთნელმა ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღო. ჩემი აზრით ასეთ მნიშვნელოვან დაპირისპირებაში ყველა ძლიერ ფეხბურთელს მოედანზე 90 წუთი გაეტარებინა. ძალიან სამწუხაროა, რომ ფორლანს შესაძლებლობების 100 პროცენტით გამომჟღავნების საშუალება არ მიეცა. აბელს, ალბათ, სულ სხვა შეხედულება ჰქონდა და ახლა უნდა აღიაროს, რომ შეცდომა დაუშვა. შეცდომა, რომელმაც შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა განაპირობა".*

სიტყვის თავისუფლება წმიდათა წმიდა ღირებულებაა, მაგრამ ფეხბურთში შიდა დაპირისპირებას სიკეთე არავისთვის მოუტანია. კარგი იქნება, თუ „ატლეტიკოს" ფეხბურთელები ამ ანბანურ ჭეშმარიტებას გაითვალისწინებენ და სიტუაციას არ დაძაბავენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**




ბიბლიოთეკა

რაგბი — ერთა თასი



მარცხნიდან: ელის მიჩენი და ტიმ ლეინი

# გამარჯვება კიდევ ერთი, დავამარცხოთ რუმინეთი

დღეს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში რუმინეთის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს. ორივე გუნდი ერთა თასისა და მსოფლიოს თაისის გათამაშების საგზურის მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტები არიან. შესაბამისად, ამ შეხვედრის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რაგბის კავშირში გამართულ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ორივე ნაკრების მწვრთნელი საინტერესო ორთაბრძოლას დაგვპირდა:

**ტიმ ლეინი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„ესპანეთში გამართული შეხვედრისგან განსხვავებით შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა, რაც ძირითადად მოთამაშეების ტრავმებითაა გამოწვეული. რუმინელებთან სასტარტო შემადგენლობაში პირველად ითამაშებს მეორე ხაზში რატი ურუშაძე. იმის თქმა, რომ ამ პოზიციაზე თამაშის გამოცდილება მას არ აქვს, არ იქნება სწორი. რატომ, საჭიროებიდან გამომდინარე, რამდენჯერმე შეცვლაზე შესვლისას იასპარეზა მეორე ხაზში. ის ძლიერი მორაგბეა და მისი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება მისთვისაც და გუნდისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია.*

*გუნდი ნელ-ნელა იძენს სახეს. ესპანეთთან ბოლო თამაშმა ეს ნათლად დაგვანახვა. ის, რისი გაკეთებაც გვინდოდა პორტუგალიასთან და ვერ გავაკეთეთ, ესპანელებთან შევძელით. ანგარიშში დიდი სხვაობა ნუ მოგატყუებთ. ესპანეთის ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი არაა და ამაში რუმინელებიც დამეთანხმებიან. მათ მადრიდში მხოლოდ ცხრა ქულის სხვაობით მოიგეს.*

*რაც შეეხება კონკრეტულად გუნდის თამაშს, მნიშვნელოვნად გამოვასწორეთ შერკინება, დერეფანი და ხელდახელ ბურთაობაც. ვეცდებით, რუმინეთის წინააღმდეგ შეხვედრაში ამ კომპონენტებში ხარისხის მაჩვენებელი კიდევ უფრო გავზარდოთ."*

**ელის მიჩენი,** რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი:

*„ერთა თასის განვლილ ტურში შინ რუსებთან საშინლად ვითამაშეთ. სამოცი წუთის განმავლობაში გუნდი მოშვებული, კონცენტრაცია დაკარგული იყო. დარჩენილ ოც წუთში საკუთარი თამაში კი ვიპოვეთ, მაგრამ შეხვედრის გადარჩენა ველარ შევძელით.*

*ტრავმების გამო ოთხი მორაგბე გვაკლია, ამდენივემ კლუბიდან ვერ დაიხსნა თავი. თუმცა მიმაჩნია, რომ ის შემადგენლობა, რომელიც თბილისში ჩამოვიყვანეთ უფრო ძლიერია, ვიდრე ის, რომელმაც რუსეთთან ითამაშა. ყველას გათვითცნობიერებული გვაქვს, რამდენად მნიშვნელოვანია ორივე გუნდისთვის ამ შეხვედრის შედეგი. ჩვენ არაფრის დათმობას ვაპირებთ. ვეცდებით ჩვენებური, ტრადიციული რუმინული რაგბი ვითამაშოთ."*

**საქართველო:** 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. მალხაზ ურჯუკაშვილი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. გოდერძი შველიძე, 4. რატი ურუშაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გია ლაბაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. მამუკა გორგოძე

*16. ანტონ ფეიქრისვილი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. კახაბერ უჩავა, 19. დიმიტრი ბასილაია, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ალექსანდრე თოდუა, 22. ოთარ ბარკალაია.*

**რუმინეთი:** 15. ფლორინ ვლაიკუ, 14. კატალინ ნიკოლაე, 13. ადრიან ბარბულიკეანუ, 12. იონუც დიმოფტე, 11. იონუც ბოტეზატუ, 10. რაზვან სტანკა, 9. ვალენტინ კალაფეტეანუ. 1. ნიკოლაე ნერე, 2. ფლორინ ტასკა, 3. იონ პაულიკა, 4. ალინ კოსტე, 5. კოზმინ რატიუ, 6. სტელიან ბურეა, 7. ალექსანდრუ ტუდორი, 8. კოსტიკა მერსოიუ.

*16. კატალინ ბეკა, 17. მიჰაიტა ლაზარი, 18. ვალენტინ პოპირლანი, 19. მიჰაი მაკოვეი, 20. დანიელ კარპო, 21. კატალინ დესკალუ, 22. სტეფან კიუნტუ.*

**მსაჯი:** ენდრიუ მაკმენემი (შოტლანდია)

**15 მარტი**

**პორტუგალია-ესპანეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +40 | 6 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | +77 | 5 |
| 3.რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +22 | 4 |
| 4.პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | +34 | 3 |
| 5.ესპანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | -71 | 2 |
| 6.გერმანია | 4 | 0 | 0 | 4 | -104 | 0 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ხელბურთი

# თევზაძე ჩემპიონობას შორდება



შოთა თევზაძე

რუმინული "ბაკაუ", რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრე ლიდერის რანგში დაასრულა, მეორე წრეში არადამაჯერებლად გამოიყურება და უკვე მესამე საფეხურამდე დაეშვა. საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარის, **შოთა თევზაძის** გუნდი ლიდერ "კონსტანცას" ოთხი, ხოლო მეორეადგილოსან "რესიცას" ერთი ქულით ჩამორჩება. რუმინეთის ჩემპიონატი მაისის პირველ რიცხვებში დასრულდება.

სამაგიეროდ, "ბაკაუ" წარმატებით ასპარეზობს ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, სადაც მერვედფინალში ბერძნული პაოკ-ის წინააღმდეგობა გადალახა და მეოთხედფინალის ორრაუნდიან დაპირისპირებაში შვეიცარიულ "ბერნ მურთან" მოსინჯავს ძალებს. ევროთასი "ბაკაუს" არასდროს მოუპოვებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ცურვა — საქართველოს ჩემპიონატი

# სინგაპურის გზა რომზე გაივლის



ქართული ბიბლიოთეკა

გიორგი მთვრალაშვილი

გასულ მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებს სინგაპური უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაზე, ალბათ, სოლიდური შემადგენლობით წარდგება. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას, ვფიქრობთ, მოცურავეებიც დაიცავენ. საამისოდ სალიცენზიო ნორმატივები იქნება შესასრულებელი. პირველი საგზურები წლეულს ივლისის მიწურულს რომში მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშდება. ამ შეჯიბრებაში **ირაკლი რევიშვილთან** ერთად 17 წლის **გიორგი მთვრალაშვილიც** იასპარეზებს, რომელიც მანამდე პრალაში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე მოსინჯავს ძალებს. 11 წელიწადია, **ირინა მინჟულინა** ავარჯიშებს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ცურვის სხვადასხვა სახეობაში.

— გიორგიმ განსაკუთრებით შარშან ისახელა თავი, — გვითხრა ქალბატონმა ირინამ. — მინსკში ბელარუსის ღია ჩემპიონატზე 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა დისტანცია 2 წუთსა 11,23 წამში დაფარა, რაც ახალგაზრდებში საქართველოს რეკორდია. 400 მეტრზეც (კომპლექსური ცურვა) გააუმჯობესა ქართველ თანატოლთა მიღწევა — 4 წუთითა და 40 წამით პირველი ადგილიც დაიკავა. რამდენიმე დღის შემდეგ პრაღის საერთაშორისო ტურნირზე იგივე დისტანცია 4 წუთსა და 38 წამში გაცურა და იქაც ოქროს მედალი დაიმსახურა. არაჩვეულებრივი ბუნებრივი მონაცემები აქვს, შრომისმოყვარეა, სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, მერწმუნეთ, დიდ ტურნირებზეც გვასახელებს...

გიორგიმ შპს „ტონუსის" აუზში საქართველოს ჩემპიონატის პირველ დღეს 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჩემპიონობა მოიპოვა. გუშინ თავისუფალი სტილით 200 მეტრზეც მოსინჯა ძალები. ამ სახეობის უპირობო ფავორიტს — პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი რევიშვილს 2,7 წამით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა. დღეს ორჯერ ვიხილავთ სტარტზე და, იმედია, ქომაგებს ამჯერადაც გაახარებს.

ახლა კი ჩემპიონატის მეორე დღის შედეგებს გაგაცნობთ:

**ქალები. 50 მ. ბრასი.** 1. ეკა კაჭახიძე — 36,55 („ლაგუნა ვერე"), 2. სოფიო დეკანოსიძე — 42,36 („ტონუსი"), 3. სოფიო ცინცაძე — 42,43 (ბათუმი). **200 მ. გულაღმა ცურვა.** 1. სოფიო ცინცაძე — 2.49,90 (ბათუმი), 2. ანა ლომიძე — 2.59,41 („ლაგუნა ვერე"), 3. თამარ წირქვაძე — 3.33,27 (საჩხერე). **200 მ. თავისუფალი ყაიდა** 1. ნასტია გრივაჩი — 2.31,22 („ლაგუნა ვერე"), 2. მაია ხრიკული — 2.38,51 („ლაგუნა ვერე"), 3. ქეთი ჯაფარიძე — 3.13,76 (რუსთავი).

**ვაჟები. 50 მ. ბრასი.** 1. ბესიკ მდივანი — 30,87 („ტონუსი"), 2. ალექსანდრე ხახანაშვილი — 30,89 („ტონუსი"), 3. ირაკლი შენგელია — 32,09 („ტონუსი"). **100 მ. ბატერფლაი.** 1. გოგა კეკელია — 1.02,69 („ლაგუნა ვერე"), 2. დათო მურჯიკნელი — 1.04,95 („დილომი"), 3. ბაკურ მსხილაძე („დელფინი") და თემურ კობახიძე („ლაგუნა ვერე") — 1.08,05 (ორივეს). **200 მ. გულაღმა ცურვა.** 1. ალექსანდრე რემეჟენკო — 2.38,91 (ბათუმი), 2. ზურაბ ხაბაზი — 2.40,02 („დილომი"). **200 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ირაკლი რევიშვილი — 1.52,50 („ტონუსი"), 2. გიორგი მთვრალაშვილი — 1.55,29 („ტონუსი"), 3. გიორგი ბუხრიკიძე — 1.58,08 (გორი). **1500 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. თემურ კობახიძე — 20.29,40 („ლაგუნა ვერე"), 2. ლუკა კაპანაძე — 20.42,14 („ლაგუნა ვერე").

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

სამბო — საქართველოს პირველობა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# საევროპედ ნაკრების კანდიდატები შეირჩა

ლიტვის ქალაქი შიაულიაი 8-12 აპრილს ახალგაზრდა სამბისტთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ნაკრების კანდიდატების შესარჩევად თბილისში საქართველოს პირველობა გაიმართა. პაექრობებში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 200-მდე მოჭიდავე მონაწილეობდა. ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ გვითხრა, რომ, გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, ევროპის პირველობაზე საქართველოს ჩემპიონები გაემგზავრებიან.

**კვარცხლბეკი**

**48 კგ.**

1. ბექა ბექაური – მცხეთა
2. გივი ნადარეიშვილი – ფოთი
3. ალექსანდრე ჭიჭინაძე – ქუთაისი
3. ლერი ჯიხვაშვილი – ქუთაისი

**52 კგ.**

1. გენადი ჩირგაძე – ქუთაისი
2. ვაჟა ლატარია – ფოთი
3. გია გაროზაშვილი – კასპი
3. დათო კვიკვინია – ფოთი

**57 კგ.**

1. ბექა ბუცხრიკიძე – ფოთი
2. ბონდო კიკაძე – თბილისი
3. ნიკო ძელეხსიძე – თბილისი
3. თემურ ნასყიდაშვილი – ზესტაფონი

**62 კგ**

1. ზვიად ოდოშაშვილი – კასპი
2. რევაზ შველიძე – თბილისი
3. გიორგი ტაბატაძე – გორი
3. მიხეილ მეკოკიშვილი – საგარეჯო

**68 კგ**

1. ლევან ნახუცრიშვილი – თბილისი
2. ბესიკ შვანგირაძე – სამტრედია
3. პაატა დოლიაშვილი – საგარეჯო
3. მერაბ ხარაული – გორი

**74 კგ**

1. გიორგი ჩხიკვაძე – გორი
2. შალვა უთურგაული – თბილისი
3. დათო ოსიშვილი – მცხეთა
3. ბექა ბერულავა – ზუგდიდი

**82 კგ**

1. ნოდარ კუდუხაშვილი – გორი
2. ვახტანგ სარაჯიშვილი – ახმეტა
3. ირაკლი მერკვილაძე – ტყიბული
3. შოთა ვანიშვილი – გორი

**90 კგ**

1. ლაშა გურული – ქუთაისი
2. ბექა ნემსაძე – ქუთაისი
3. ნიკა გაფრინდაშვილი – რუსთავი
3. ლევან ნოზაძე – თბილისი

**100 კგ**

1. გიორგი ბოლოთაშვილი – გორი
2. შავლეგ ბერუაშვილი – ქარელი
3. გურამ პირველაშვილი – ზესტაფონი
3. მიხეილ აბრამიშვილი – თბილისი

**მძიმე წონა**

1. დავით ბოჭორიშვილი – ქუთაისი
2. მირიან გონჯილაშვილი – ახმეტა
3. ბეგლარ ნამურაძე – თბილისი
3. სლავა რეზესიძე – დმანისი.

**ვაჟა დანელია**

ალექსანრე კოტორაშვილის ფოტო

რეპლიკა

# მაყურებელს კარი მიუხურეს

ცურვაში და, საერთოდ, სანყლოსნო სახეობებში სპორტული შეჯიბრებები სანატრელი გაგვიხდა და ამის ერთი მიზეზი საცურაო აუზების ნაკლებობაცაა. ახლა აქა-იქ აუზებიც ამოქმედდა და ასპარეზობებიც ტარდება.

გაიხარეს მოცურავეებმა და მათმა ქომაგებმა, უპირველესად კი სპორტსმენების ოჯახის წევრებმა, როცა სპორტულ ცენტრ „ტონუსის" საცურაო აუზში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებს უხმეს. სამწუხაროდ, ქომაგებს და მოცურავეთა ახლობლებს არ გაუმართლათ. დიდი დავიდარაბისა და მსჯელობის შემდეგ ისინი აუზზე პირველ დღეს შეუშვეს, გუშინ კი კატეგორიულად უთხრეს უარი დასწრებოდნენ შეჯიბრებას. რატომ? აუზს ტრიბუნები არა აქვს, იქ შესვლა კი, სადაც მოცურავეებიც მოძრაობენ და წყალში ჩადიან, გარედან ფეხსაცმელებით შემოსულნი ანტისანიტარიას ქმნიანო. აი, ამ მიზეზით, გუშინ, გარდა სპორტსმენებისა, აუზის კარი ყველასთვის ჩაკეტეს. თურმე არანაირმა მუდარამ არ გაჭრა და წამოვიდა სატელეფონო ზარები რედაქციაში. აღშფოთებული ადამიანები ჩიოდნენ იმაზე, რომ მათ წაერთვათ სპორტულ შეჯიბრებაზე დასწრებისა და ქომაგობის უფლება.

ერთი შეხედვით, აუზის ხელმძღვანელობა მართალია, მაგრამ მათ გასაგონად უნდა ვთქვათ, განა არ იცოდნენ, რომ ყველას აქვს უფლება დაესწროს სპორტულ ასპარეზობას, მით უფრო, თუ სარბიელზე მისი ახლობელი გამოდის. რატომ დათანხმდნენ ასეთ პირობებში ტურნირის მასპინძლობას. ეს ხომ ეროვნული ჩემპიონატის უპატივცემლობაცაა?

და კიდევ, მაყურებლის ინტერესი ორგანიზატორებსაც უნდა გაეთვალისწინებინათ. თბილისში უკვე სხვა საცურაო აუზებიც არის, სადაც ჩემპიონატის შესაფერის დონეზე ჩატარება შეიძლებოდა...

კალათბურთი

*წინასამატჩო პრესკონფერენცია*

# სეზონის მთავარი კითხვა: დაასრულებს ენერჯი რეგულარულს წაუგებლად?



პრესკონფერენციაზე...

**კვირას** გაიმართება სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას – რუსთავის "ენერჯი" რეგულარულ ჩემპიონატს წაუგებლად დაასრულებს, თუ – არა.

15 მარტს "ენერჯი" "ავიამშენს" სტუმრობს, ხოლო მომდევნო ორ ტურში "მაკაბისა" და "ბათუმს" ეთამაშება. ასე რომ, ქვემოქართლელებს "ავიასთან" მატჩის წინ სერიოზული მოტივაცია აქვთ. თავის მხრივ "ავიატორებსაც" სურთ "ენერჯის" უძლეველობის მითის დამსხვრევა, რაც გუშინ ტოტალიზატორ "აჭარაბეთში" გამართულ პრესკონფერენციაზეც დააფიქსირეს. აი, რა თქვა თბილისელთა მეორე მწვრთნელმა, **ვაჟა მხეიძემ**:

- ჩვენს გუნდში სერიოზული დანაკლისია. "ენერჯისთან" არ გვეყოლება დავით ბერიშვილი, რომელსაც ფეხის კუნთი სერიოზულად აქვს დაზიანებული. ასევე ვერ დაგვეხმარება ვახტანგ მინაშვილი, ხოლო რიჩარდ მათიაშვილს მაღალი სიცხე აქვს. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, ვეცდებით, სპორტის სასახლეში მოსულ გულშემატკივარს კარგი კალათბურთი ვუჩვენოთ, რაშიც ჩვენი ახალგაზრდა მოთამაშეების იმედი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, თავიანთი მონდომებით ისინი დიდ დახმარებას გაგვიწევენ. თუ რამის დამტკიცება სურთ, კვირას გზა ხსნილი ექნებათ. ჩემი აზრით, გამარჯვების შანსი ორივე გუნდს თანაბრად აქვს.

თუკი რიჩარდ მათიაშვილი არ ითამაშებს, სერიოზულად დაიტვირთება მეორე ცენტრი **სოსო შერმადინი**. თუმცა, როგორც თავად ამბობს, საბრძოლველად მზადაა:

- რუსთაველები დღემდე წაუგებლად ასპარეზობენ, რაც მათ სიძლიერეზე მიგვანიშნებს. ამის და ტრავმიანობის მიუხედავად, გუნდში საბრძოლო განწყობაა. რა გამოგვივა, მატჩის შემდეგ ვნახავთ.

მე-16 ტურის წინ "ენერჯის" მდგომარეობაზე გუნდის მეორე მწვრთნელმა **მიხეილ ბერუაშვილმა** ისაუბრა:

- გუნდში ყველა ჯანმრთელადაა და "ავიამშენთან" სათამაშოდ ემზადება. დარწმუნებული ვარ, დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოვა. ვეცდებით, გამარჯვება რუსთავში წავიღოთ.

ჟურნალისტებში გაჩნდა შეკითხვა: "ენერჯის" რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ადგილი გარანტირებული აქვს. შესაბამისად, "ავიასთან" სათანადოდ მოტივირება ხომ არ გაუჭირდება? ამ კითხვაზე რუსთაველთა უკანახაზელმა, **კოტე ტულუშმა** გვიპასუხა:

- მოტივაცია საკმარისზე მეტი გვაქვს – თუ გვსურს რეგულარული ჩემპიონატი წაუგებლად ჩავამთავროთ, კვირას უნდა გავიმარჯვოთ. ამისთვის თავს არ დავზოგავთ. საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში 3-4 გუნდია, ვისთანაც დაძაბული ბრძოლები გვაქვს. ერთ-ერთია "ავიამშენი". ამიტომ მასთან შეხვედრას მოუმზადებელი და მოტივაციის გარეშე ვერ შევხვდებით. ჩემი აზრით, შარშანდელი ჩემპიონატი უფრო საინტერესო იყო. მაშინ ორ ტურში ერთხელ ოვერტაიმები ფიქსირდებოდა, იყო შემთხვევა, როცა ერთ დღეს ორი დამატებითი დრო ვიხილეთ. მიმდინარე ჩემპიონატში კი ერთადერთი ოვერტაიმი დაფიქსირდა, ისიც "ენერჯი"-"ავიამშენის" პირველი წრის მატჩში.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა ფავორიტია

**18 წლის ოქსანა კალაშნიკოვა** (387) აღარ ხუმრობს - ჩვენებური ძალიან კარგად თამაშობს ეგვიპტეში. გიზის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) განუთესავმა კალაშნიკოვამ ნახევარფინალში გააღწია. გასული კვირის ტრიუმფატორმა მეოთხედფინალში ადვილად მოუგო მაროკოელ **ნადია ლალამის** (706), რომელმაც ამ ეტაპამდე საკვალიფიკაციო ბადიდან მიაღწია - 6:4, 6:2. ნახევარფინალში ოქსანა კიდევ ერთ ჩოგბურთელს შეხვდება, რომელმაც საკვალიფიკაციო ბადიდან იყოჩაღა. 17 წლის სერბი **ალექსანდრა ფილიპოვსკი** (674) ბოლო ხანს უნგრეთის სახელით ასპარეზობს, მან გიზაში მთავარი სენსაცია მოახდინა, როცა ტურნირის პირველი ჩოგანი ჰოლანდიელი **მიშელ ხერარდსი** (255) დაამარცხა. კალაშნიკოვა და ფილიპოვსკი ერთმანეთს პირველად ეთამაშებიან. მეორე ნახევარფინალურ მატჩში რუსი **გალინა ფოკინა** ხორვატ **ტერეზა მრდეჟას** დაუპირისპირდება. კორტებს შემორჩენილ ოთხეულში ჩვენს თანამემამულეს უკეთესი რეიტინგი აქვს და შესაბამისად ის ითვლება ტურნირის მოგების მთავარ ფავორიტად. ამ შეჯიბრების დასრულების შემდეგ ოქსანა კალაშნიკოვა ქაიროს ტურნირში ითამაშებს, რომლის საპრიზო ფონდიც უკვე 25 ათასი ამერიკული დოლარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




სუმო




# ქართველები ოსაკაში იწყებენ

**ხვალ** ოსაკას პრეფექტურის გიმნაზიუმში სუმოს წლის მეორე სუპერტურნირი ანუ ბაშო იწყება, რომელიც 29 მარტამდე გასტანს. პარასკევს, ტრადიციულად, გამოქვეყნდა პირველი ორი დღის განრიგი (ტორიკუმი): მაშ ასე, ხვალ დასავლეთის მე-8 მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია)** აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირა **დეჯიმას** წინააღმდეგ დადგება დოჰიოზე. ლევანი ახლახან 28 წლის გახდა, ყოფილ კომუსუბის პროფესიულ სუმოში 602 ორთაბრძოლა აქვს გამართული, აქედან 324 მან მოიგო. კოკაის მეტოქე დეჯიმა, რომელიც მარტის ბაშოზე 35 წლის გახდება, ერთ დროს ჩემპიონის (ოძეკი) ტიტულს ფლობდა, თუმცა მაშინ ამ საქმის ქართველ პიონერს სუმოს შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. კოკაის და დეჯიმას ორთაბრძოლები უკვე მეხუთე წელიწადია ბაშოზე ჩვეული მოვლენაა, 14 დაპირისპირებიდან ქართველი 8-ჯერ გამოვიდა გამარჯვებული.

დასავლეთის მე-10 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ბაშოს პირველ დღეს აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა **ასასეკირიუს** დაეჭიდება. ლევანი ელიტის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელია (21 წლის), იგი ნაყოფიერად მოემზადა მარტის ბაშოსთვის და ორჯერ დიდი ჩემპიონის, **ასაშორიუს** დამარცხებაც შეძლო. ოსაკაში ქართველს არასოდეს უჭიდავია, როგორც ელიტის სუმოისტს. მისი მეტოქე გამოცდილი მონღოლია, 27 წლის ასასეკირიუ სეკივაკეს ტიტულს ფლობდა. ლევანი ასასეკირიუს ერთადერთხელ შეხვდა ბაშოზე და იორიკირით დამარცხდა. ბაშოს პირველ დღეს დიდი ჩემპიონი ასაშორიუ თანამემამულე კომუსუბის **კიოკუტენჰოს** შეხვდება, ხოლო მეორე იოკოძუნა **ჰაკუჰო** ასევე კომუსუბის რანგის მქონე სუმოისტს, **გოეიდოს** გაეჯიბრება.

ბაშოს მეორე დღეს კოკაი „ძველ მეგობარს", **ტაკამისაკარის** (მე-7 მაეგაშირა) დაუპირისპირდება, ხოლო ტოჩინოშინი ძალებს ექს-კომუსუბი **ფუტენოს** (მე-9 მაეგაშირა) წინააღმდეგ მოსინჯავს. მესამე დივიზიონ მაკუშიტაში აღმოსავლეთის მე-3 სუმოისტის რანგით იჭიდავებს **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ყინულის ჰოკეი

# კავკასიის ლიგა გადაწყდა!

**ჩვენი** მკითხველი კარგადაა ინფორმირებული საქართველოსა და სომხეთის ჰოკეის ფედერაციების მჭიდრო ურთიერთობის შესახებ. თებერვალში ჩატარებულმა "ბორჯომის თასმა" ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო განამტკიცა. გაჩნდა კავკასიის ლიგის ჩატარების იდეა, რომელშიც მონაწილეობას ორი ქართული და ორი სომხური კლუბი მიიღებენ.

ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ერევანში იყვნენ საქართველოს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი **დენის დავიდოვი** და აღმასრულებელი დირექტორი **ლაშა ცაგარეიშვილი**. შემუშავდა ერთობლივი კომუნიკე. ქართულ-სომხურ პროექტს მაისში საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე მისი წევრი სომხეთის ფედერაცია წარადგენს. სავარაუდოდ, კავკასიის ლიგა ზაფხულში დაიწყება. გეგმის მიხედვით, ტურნირის ერთი ეტაპი ბათუმში ჩატარდება, მეორე კი ერევანში. ბათუმი იმიტომ შეირჩა, რომ იქ თბილისისგან განსხვავებით, სტანდარტული ზომის ყინულის დახურული მოედანია.


დენის დავიდოვი

ახლო მომავალში კი შესაძლებელია, ლიგა გაფართოვდეს და მას ბულგარეთისა და სერბეთის კლუბები შეუერთდეს. მაისშივე განიხილავენ საქართველოს საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანების საკითხს. ქართული ჰოკეის ოჯახის გადაწყვეტილებით, ფედერაციას GIHF (Georgian Ice Hockey Federation) ერქმევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ჭიდაობა


ლუკა კურტანიძე

# სხვა საქართველო ვილნიუსში

## კურტანიძის ბოლო შანსი

30 მარტიდან ლიტვური ვილნიუსი, რომელიც დღეისათვის ევროპის კულტურულ დედაქალაქადაა აღიარებული, ჭიდაობაში კონტინენტის პირველობას უმასპინძლებს. ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში, უკვე გამოიკვეთა იმ კონტინგენტის კონტურები, ვინც ევროპის ჩემპიონატზე უნივერსალურ არენა „სპორტიში“ იჭიდავებს. არენა 14 ათას მაყურებელს იტევს. სტარტს თავისუფალი სტილის მოჭიდავეები აიღებენ, შემდეგ ასპარეზი ქალებს დაეთმობა, ბოლოს კი ხალიჩაზე ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს ვიხილავთ, ტურნირი 5 აპრილს დასრულდება.

ხვალიდან საქართველოს ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში **ზაზა თურმანიძის** თავკაცობით ბორჯომში ჩემპიონატისწინა ბოლო შეკრებას დაიწყებს, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ჩვენს გუნდს ტრავმების გამო სამი ლიდერი დააკლდება: ოლიმპიური ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** (84 კგ), პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები **ოთარ თუშიშვილი** (66 კგ) და **გიორგი გოგშელიძე** (96 კგ). მოგეხსენებათ, გოგშელიძე მოქმედი ევროპის ჩემპიონია, იგი ვერ შეძლებს ტიტულის დაცვას. დღედღეზე საბოლოოდ დასახელდება შემადგენლობა, რომლის წინასწარმეტყველება“ უკვე არცთუ რთულია. ჩვენი ვარაუდით, 7-კაციანი განაცხადი ასეთი იქნება: **ბესარიონ გოჩაშვილი** (55 კგ), **მალხაზ ქურდიანი** (60 კგ), **მალხაზ მუზიაშვილი** (66 კგ), **გელა სალირაშვილი** (74 კგ), **ბექა ჭელიძე** (84 კგ), **ლუკა კურტანიძე** (96 კგ) და **დავით ოთიაშვილი** (120 კგ). ყველაზე მსუბუქ წონაში მოჭიდავე **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** ნამდვილი ტალანტია, თუმცა მისი ახალგაზრდული ასაკის გამო ხინჩეგაშვილს მწვრთნელები უფრო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის „ინახავენ“, რომელიც, სხვათა შორის, თბილისში გაიმართება (ივნისში). თანაც ასე ხელაღებითაც ვერავინ იტყვის, რომ ხინჩეგაშვილი გამოცდილ გოჩაშვილს ახლავე აჯობებს. მოკლედ, 55 კგ წონითი კატეგორია ყველაზე „ღია“ წონაა დღეისათვის. ნაკრებში მოხვედრის მცირე შანსები აქვთ: **მალხაზ ზარქუას** (60 კგ), **კობა კაკალაძეს** (66), **გოჩა ლომთათიძეს** (74), **ნიკოლოზ გაგნიძეს** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილს** (96) და **ალექსი მოდებაძეს** (120). ჩვენს ნაკრებში ყველაზე გამოცდილი და სახელიანი უთუოდ ლუკა კურტანიძეა, 36 წლის მოჭიდავე სამგზის ოლიმპიელია (ორჯერ მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა), ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონია. ალბათ, ნაკრებში ადგილის დაბრუნების ეს მისი ბოლო შანსია...

არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ ვისთან მოუწევთ ჭიდაობა ჩვენს ფალავნებს. თავისუფალ ჭიდაობაში 29 ქვეყნის ფალავნები გამოვლენ ხალიჩაზე, ფილამ ახლახან ალბანეთის ფედერაციას დისკვალიფიკაცია მისცა შინაამლილობის გამო და ალბანელი მოჭიდავეები (თუ არაფერი შეიცვალა) ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებენ. რუსეთი უპირობო ლიდერია და გაგაცნობთ ამ ნაკრების შემადგენლობას: **ნარიმან ისრაპილოვი** (55), **მავლეთ ბატიროვი** (60), **რასულ ჯუკაევი** (66), **მაჰაჩ მურთაზალიევი** (74), **სოსლან კაკოევი** (84), **შირვანი მურადოვი** (96) და **ბახტიარ ახმედოვი** (120). როგორც ხედავთ ევროპის ჩემპიონის ტიტულს ვერ დაიცავენ **ჯამალ ოთარსულთანოვი** (55) და **გიორგი კეტოევი** (84). ევროპის ჩემპიონებზე ჩამოვარდა სიტყვა და ბარემ ვთქვათ, რომ შვიდი მოქმედი ჩემპიონიდან კაუნასში ტიტულის დაცვას შეეცდებიან **ვასილი ფედორიშინი** (უკრაინა, 60 კგ), **რამაზან შაჰინი** (თურქეთი), მაჰაჩ მურთაზალიევი და **დავით მუსულბესი** (სლოვაკეთი, 120 კგ). შემადგენლობა დაასახელეს აზერბაიჯანელებმაც: **ჯეიჰუნ ალიევი** (55), **ზელიმჰან ჰუსეინოვი** (60), **ჯაბრაილ ჰასანოვი** (66), **ჩამსულვარა ჩამსულვარაევი** (74), **ნოვრუზ თემრეზოვი** (84), **ხეთაგ გაზიუმოვი** (96) და **ალი ისაევი** (120). როგორც ხედავთ, ევროპის ჩემპიონატს ოლიმპიური ჩემპიონი **ნამიკ აბდულაევი** გამოტოვებს. სომხეთის ნაკრები: **მიჰრან ჯაბურიანი** (55), **არტურ არაქელიანი** (60), **ჟიკაირ ჰოვჰანისიანი** (66), **სურენ მარკოსიანი** (74), **ჰარათიუნ იენოკიანი** (84), **ედგარ იენოკიანი** (96) და **რუსლან ბასიევი** (120). ბულგარეთის ნაკრები: **რადოსლავ ველიკოვი** (55), **ისმაილ რეჯეპი** (60), **დიმიტარ გეორგიევი** (66), **კირილ ტერზიევი** (74), **მიროსლავ გეშევი** (84), **დრაგომირ სტოიჩევი** (96) და **ბოჟიდარ ბოიაჯიევი** (120). ლიტველთა მთელი შემადგენლობის ჩამოთვლას ალბათ აზრი არა აქვს, ვიტყვით რომ 96 კილოში იჭიდავებს მათი ლიდერი **მინდაუგას რუმბუტისი**.

ერთი-ორი სიტყვით იმ ქართველ მოჭიდავეებს შევეხოთ, რომლებიც სხვა ქვეყნების სახელით იასპარეზებენ (ჩვენ უკვე ვახსენეთ დავით მუსულბესი). ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი მესამე პრიზიორი **დავით ბიჩინაშვილი** ალბათ ვერ მოხვდება გერმანიის ნაკრებში, რადგან 84 კგ-ში მწვრთნელი უპირატესობას **პეტერ ვაიზენბერგერს** ანიჭებს. 55 კგ წონით კატეგორიაში ისრაელის სახელით იჭიდავებს **დავით ბენიაშვილი**. უკრაინის ნაკრების ღირსებას დაიცავს **გია ჩიხლაძე** (74)...

31 მარტს ჩემპიონატი 55, 66, 84 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებში გაიმართება. 1 აპრილს ხალიჩაზე 60, 74 და 96 კგ წონითი კატეგორიების მონაწილეები გავლენ.

რაც შეეხება ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს, მათ ვილნიუსურ სტარტამდე ცოტა მეტი დრო რჩებათ და როგორც ქართველთა, ასევე მათ სავარაუდო კონკურენტთა ვინაობას უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# როგორი იქნება ბოლო აკორდი?

დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ჩემპიონატის ბოლო ტური გაიმართება და მსოფლისა და ევროპის ანალოგიური ასაკის ჩემპიონატების საგზურებიც გათამაშდება - პირველ ადგილზე გასული მსოფლიოზე გაემგზავრება, მეორეადგილოსანი კი ევროპის ჩემპიონატზე. შევნიშნავთ, რომ პირველ ადგილზე გასულს უფლება აქვს საგზური სურვილისამებრ გადაცვალოს... გადამწყვეტ ტურში დიდი ინტრიგა დევს - გადაჭრით ვერ იტყვით, ვინ იპირველებს, თუმცა ვაჟებში **ირაკლი ბერაძეს** და გოგონებში **ნატო იმნაძეს** გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვთ. თუ ცოტას გავაანალიზებთ სიტუაციას და გარკვეულ პროგნოზსაც გავაკეთებთ, შეიძლება იმის თქმა, რომ ესენი ლიდერობას არ დათმობენ. ირაკლი ბერაძე 7 ქულით უდგას ცხრილს სათავეში და დღეს თეთრებით ხვდება მეორე ადგილზე მყოფ **ნიკოლოზ ქუმსიაშვილს**. ქუმსიაშვილს 6,5 ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებს ორ მდევარს - **გიგლა ბენიძესა და გიორგი შონიას**; კოეფიციენტიც მათზე უკეთესი აქვს, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ შავებით ბერაძესთან ყაიმიც დააკმაყოფილებს და ევროპის ჩემპიონატის საგზურს მიიღებს. ცხადია, ნიკოლოზს შეუძლია მეორე ადგილით არ შემოიფარგლოს და მოგებაზე ითამაშოს, მაგრამ ბერაძე აშკარა ფავორიტია და უდიდესი რისკის ქვეშ დააყენებს მეორე ადგილსაც - რომ წააგოს, მესამეზეც შეიძლება ვერ გავიდეს... მოჭადრაკეები პრაგმატული ხალხია და ალბათ ყაიმზე იოლადაც შეთანხმდებიან. სხვა საქმეა, მესამე ადგილისთვის ბრძოლა. ამ შემთხვევაში, ყველა პრეტენდენტი მთელ ძალისხმევას მიმართავს, რათა სასურველი შედეგი მიიღოს. პრეტენდენტები მეორე-მეოთხე დაფებზე სხედან - **შალვა ნადირაშვილი** (5,5) **გიგლა ბენიძეს ხვდება** (6); **ლაშა კაჭარავა** (5,5) **გიორგი შონიას** (6) დაუპირისპირდება, ხოლო **ტატო ქოჩაკიძე** (5,5) - **გიორგი სიბაშვილს** (5,5).

გოგონათა შორისაც თითქმის იდენტური სურათია: ნატო იმნაძე 7 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს და ბოლო ტურში შავებით ხვდება **ნანი უნაფქოშვილს**, რომელსაც მიზერული მოტივაცია თუ შერჩა - რეიტინგით პირველმა მხოლოდ 5,5 ქულის მოგროვება შეძლო და რომც გაიმარჯვოს ბოლო ტურში, მესამე ადგილზეც გასვლაც საეჭვოა. მისი არჩევი[illegible] ფერია და ალბათ შანსის გამოყენებას ეცდება. იმნაძე არ გარისკავს და მოსაგებად არ გაიწევა, რადგანაც ჩემპიონობისთვის ყაიმიც ჰყოფნის, თუმც ამ შედეგის მისაღწევად ფსიქოლოგიური მდგრადობა იქნება საჭირო.

იმნაძის მარცხის შემთხვევაში უპირველესი შანსი **ანა შამათავას აქვს**, რომელსაც 6,5 ქულა მოუგროვებია და კოეფიციენტიც სხვებზე უკეთესი აღმოაჩნდა; არც მეტოქე ჰყავს ბოლო ტურში ფავორიტთაგან, რაც მის შანსს კიდევ უფრო ზრდის. ანა თუკი მოიგებს, მეორე ადგილს ინაღდებს. მესამე ადგილისთვის **ანა კუჭავა, მარიამ ჭოლაძე** და **ნანი უნაფქოშვილი** იბრძვიან. უნაფქოშვილზე უკვე მოგახსენეთ, კუჭავას კი ამათში ყველაზე კარგი შანსი აქვს, - 6 ქულით ბოლო ტურის წინ მესამე ადგილზეა. ჭოლაძეს 5,5 ქულა მოეძევება და რაიმეს რომ გამოკრას ხელი, სხვათა შედეგზეა დამოკიდებული...

ერთი სიტყვით, მე -9 ტურის ცქერა მოსაწყენი არ უნდა გამოდგეს და იმედია, რომ ბოლო აკორდიც მაჟორულ ნოტზე აჟღერდება...

**ზვიად შათირიშვილი**

# ასეთი რამ არასდროს მოსვლია...

სტამბოლის სუპერტურნირის მეექვსე ტური ქართველთათვის მეტად სამწუხარო შედეგით დასრულდა - **მაია ჩიბურდანიძემ** შავებით ინდოელ **ჰამპი კონერუსთან** წააგო და ტურნირის მოგების ყველა შანსი დაკარგა. არადა, იმდენად დიდ უპირატესობას ფლობდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, რომ გაგიკვირდებოდა, რატომ არ ნებდებოდა მეტოქე. ჩიბურდანიძემ შავებით შესანიშნავად ითამაშა დებიუტში, პოზიცია იოლად გაათანაბრა და მერე ინიციატივაც აიღო ხელში, რის შემდეგაც პაიკი მოინადირა. მცირე ხანში პოზიციურად კიდევ შეავიწროვა მეტოქის ფიგურები და ერთ პაიკსაც გამორჩა. ამის შემდეგ მოგება ტექნიკის საქმელა იყო, რომელიც მაიას ყოველთვის სანაქებო ჰქონდა. ამადაც ვფიქრობდით, რომ საქმეს შეუფერხებლად მიიყვანდა ლოგიკურ დასასრულამდე. თუმცა, როგორც იტყვიან, არ ეძინა ეშმაკს და ქართველმა დიდოსტატმა ისეთი შეცდომა დაუშვა, როგორიც მთელი კარიერის განმავლობაში თითზე ჩამოსათვლელი თუ მოეძევება - ფიგურა „დასვა“. ასეთი რამ მაიას მეოთხე ტურში მოუვიდა **ელინა დანიელიანთან**, - იქაც უკეთეს პოზიციაში, თანაც თეთრებით შეცდა და დამარცხდა. ერთ ტურნირში ორჯერ ასეთი ლაფსუსი გულშემატკივარსაც ჩააფიქრებს და სპეციალისტსაც. ბევრმა შესაძლოა, ისიც იფიქროს, რომ ჩიბურდანიძის დრო წასულია და შეცდომებიც იმიტომ მოსდის. ამ მოსაზრებას ვერაფრით დავეთანხმებით, რადგანაც დიდი დრო სულაც არ არის გასული შარშანდელი ნოემბრიდან, სადაც 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართა და მაიამ აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა ქალთა შორის. წლების სიმძიმე მას არც მაშინ შეხებია და ვერც სამი თვის შემდეგ დაატყობდა მრუდ ხელს. სხვაც რომ არაფერი, ქალთა შორის საუკეთესო რეიტინგის მქონე ინდოელი - ცხადია, **იუდით პოლგარის** შემდეგ, დებიუტში პირწმინდად გადაითამაშა... მაიას თავს, შესაძლოა, ჩვეულებრივი, ადამიანური პრობლემა იდგეს, რომელიც ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, ზუსტი ინფორმაცია არა გვაქვს და თუკი დაკავშირება შევძელით, ეგებ მივილოთ კვალიფიციური პასუხი.

მეშვიდე ტურში ჩიბურდანიძე თეთრებით შეხვდება **ზეინაბ მამედიაროვას**. აზერბაიჯანელი მოჭადრაკე აუტსაიდერი კი არის, მაგრამ ვგონებ, იწყებს „აზრზე“ მოსვლას და გუშინ ჩინელი **იანკ შენი** დაამარცხა თეთრებით. იმედია, ქართველი ზეინაბს თავის ადგილს მიუჩენს და გუშინდელ მარცხს დღევანდელი გამარჯვებით ჩაანაცვლებს.

ლიდერად კი კვლავაც თინეიჯერი **იფან ჰოუ** რჩება, რომელმაც შავებით დაამარცხა ეკვადორელი **მარტა ფიერო**. მარტას სასტარტო წარმატება, როგორც ჩანს, „ისტორიის“ კუთვნილება ხდება და ნელნელა იმ პოზიციას უბრუნდება, როგორიც რეიტინგით ეკუთვნის...

შეიძლება ითქვას, რომ სომეხი ელინა დანიელიანი კარიერის პიკშია. მან გუშინ შავებით **ანტუანეტა სტეფანოვა** დაამარცხა, თანაც შავებით და კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგის ავტორი გახდა. ამ მოგებით დანიელიანმა ოთხი ქულა დააგროვა და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. მესამეზე ჩინელი **სიუ ჭაოა**, რომელმაც მეექვსე ტურში შავებით მორიგე გამარჯვება მოიპოვა თურქ **ქემრე ილდიზთან**. ნეტა ეს ილდიზი ჩიბურდანიძესთან არ გაიგიჟებდეს თავს და ასე უქნია, სულაც ვერაფერი მიუმატებია მარაგისთვის. თურქის ამ ტურნირში ჩართვა რომ უდიდესი შეცდომა იყო, ყოველ დღე მტკიცდება. ოსმალოთა დიდი სურვილის და მონდომების მიუხედავად, ამ ქვეყნის მოჭადრაკეები, ბარე კიდევ ერთ ათეულ წელს ვერ მიუახლოვდებიან მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებს.

ტურის ერთადერთი ყაიმი შვედ **პია კრამლინგსა** და ფრანგ **მარი სებაგს** შორის დაფიქსირდა.

სატურნირო მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ: **1. იფან ჰოუ - 5,5; 2. ჰამპი კონერუ - 5; 3. სიუ ჭაო - 5; 4. ელინა დანიელიანი - 4; 5. მარტა ფიერო - 3,5; 6. ანტუანეტა სტეფანოვა - 3; 7-8. მაია ჩიბურდანიძე, მარი სებაგი - 2,5 - 2,5; 9-11. ზეინაბ მამედიაროვა, იანკ შენი, პია კრამლინგი - 1,5 - 1,5; 12. ქემრე ილდიზი - 0,5.**

მეშვიდე ტურის წყვილები: **იფან ჰოუ - კონერუ; სიუ ჭაო - ფიერო; სებაგი - ილდიზი; დანიელიანი - კრამლინგი; იანკ შენი - სტეფანოვა; ჩიბურდანიძე - მამედიაროვა.**

**ზვიად შათირიშვილი**

# ქართველი სომეხმა შეცვალა


ნინო ხურციძე

სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატში გუშინ მეექვსე ტურის შეხვედრები გაიმართა. გეხსომებათ, პირველ დაფაზე ქართველი **სალომე მელია** იჯდა და გაუნგრელებულ ვიეტნამელს, **თჰან თრანგ ჰოანგს** ხვდებოდა თეთრებით. ქართველის წარმატებას კი ველოდით, მაგრამ უნგრელმა არ დაანება ჩვენებურს გამარჯვება და სალომეც იძულებული იყო, ზავისთვის მოეწერა ხელი. ქულის გაყოფა ცუდი შედეგი არ არის, მაგრამ ამით ისარგებლა სომეხმა **ლილიტ მკრტჩიანმა** - თეთრებით დაამარცხა პოლონელი **მონიკა სოცკო** და ერთპიროვნულად გალიდერდა. მისი ქულათა მარაგი შთამბეჭდავია - 5,5 აქვს. ლილიტი ჯერჯერობით ქართველ მოჭადრაკეებს არ გადაჰყრია და წილისყრამ ამჯერადაც არაქართველი შეახვედრა - თრანგ ჰოანგს დაუხვდება თეთრებით. ჩემპიონატმა ეკვადორი ახლახან გადალახა და ცხადია, რომ სომხურ-ქართული დაპირისპირება ნებისმიერ შემთხვევაში შედგება, მთავარია, ამ შეხვედრით ჩვენ დავრჩეთ მოგებული - ლილიტი არ არის ხელწამოსაკრავი მოჭადრაკე და თუ მას რომელიმე ჩვენებური დაამარცხებს, ესე იგი მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეეძლება.

იქამდე ის ვთქვათ, ვისაც შეხვდნენ ჩვენებურები. **ნინო ხურციძე** არასრულყოფილ ქართულ დერბიში შეხვდა **ქეთევან არახმია-გრანტს**. შოტლანდიის სახელით მოასპარეზე ქართველი თეთრებით იყო, მაგრამ ამჯერად გამარჯვება შავებს დარჩათ. ნინომ შესანიშნავად წარმართა პარტია და საბოლოო წარმატებაზე მკვეთრი განაცხადი გააკეთა. მოიგო **ნანა ძაგნიძემაც**, რომელმაც ასევე შავებით იმარჯვა რუს **სვეტლანა ჩერედნიჩენკოსთან**. ძაგნიძე ლიდერებს დაუახლოვდა - მას 4,5 ქულა აქვს. მოიგო **სოფიკო ხუხაშვილმაც** და მასაც 4,5 ქულა გაუხდა. **მაია ლომინეიშვილი** ყაიმებს დაეჩვია, თანაც - მასზე დაბალი რეიტინგის მოჭადრაკეებთან და თუკი მოგების გემო არ გაიხსენა, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი უიმედოდ ჩამორჩება ლიდერებს, რაც, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შანსსაც დააკარგვინებს. საგზურის ზონაში შესვლისთვის იბრძვის **სოფიო გვეტაძეც**, მაგრამ მან კვლავ წააგო და სამნახევარი ქულა დაურჩა. ამდენივე აქვს **სოფიკო გურამიშვილსაც**, მხოლოდ მან გუშინ თეთრებით ქულა გაიყო ძლიერ და მაღალი რეიტინგის მფლობელ უკრაინელ დიდოსტატ **ინა გაპონენკოსთან**(2450). სოფოს დღეს არანაკლები გამოცდა ელის - შავებით გვეტაძეს ხვდება. სამწუხაროდ, წააგო **ნაზი პაიკიძემ** - იგი უკრაინელმა **ოქსანა გრიცაევამ** დაამარცხა თეთრებით. სანაცვლოდ, გაგვახარა **მერი არაბიძემ**, რომელმაც სომხეთის ნაკრების წევრი **ლილიტ გალოიანი** დაამამათა თეთრებით. არაბიძესაც 3,5 ქულა მოუგროვდა. ქეთი წანალაშვილმა და მარიამ დანელიამ ყაიმებით დაასრულეს თავიანთი პარტიები, - წანალაშვილს სამი ქულა აქვს მარაგში, დანელიას კი - 2,5.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

### ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**E ჯგუფი**

**ტაუგრესი–ოლიმპიაკოსი 80:88**

23:28, 14:23, 25:19, 18:18

ტ: ტელეოვიჩი (16), სპლიტერი (15), ვიდელი (14), მიკელი (13+4 ჩაჭრა), პრიჯიონი (12).

ო: ვუიჩიჩი (17+7 მოხსნა), გალპერინი (16), ბურუსისი (11), პარგო (11).

**მილანი–პროკომი 72:96**

16:30, 22:26, 22:14, 12:26

მ: ჯ. ტომასი (22), სოუ (18).

პ: ვუდსი (23), ბურკი (15+9 მოხსნა), ბარელი (14), ლოგანი (13), დ. იუინგი (13). ბრაზელტონი (10+5 პასი).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 5/1 | 50 |
| 2. ტაუგრესი | 4/2 | 82 |
| 3. მილანი | 2/4 | -74 |
| 4. პროკომი | 1/5 | -58 |

**F ჯგუფი**

**რეალი–ალბა 83:82**

17:14, 23:26, 21:21, 22:21

რ: ერველი (18), მესი (14), მუმბრუ (12), ლოპესი (12).

ა: სეკულიჩი (21+8 მოხსნა), ჯენკინსი (17).

**მაკაბი–ბარსელონა 74:90**

22:19, 17:26, 16:21, 19:24

მ: მ. ბრაუნი (16), აროიო (16), ელიაჰუ (12+7 მოხსნა+4 პასი), კაპსი (12).

ბ: ბაზილე (23), ნოვიცკი (19+3 ჩაჭრა), ფ. ვასკესი (15+3 დაფარება), ილიასოვა (14+9 მოხსნა+3 დაფარება), სანტიაგო (11).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5/1 | 79 |
| 2. რეალი | 5/1 | 18 |
| 3. მაკაბი | 2/4 | -22 |
| 4. ალბა | 0/6 | -75 |

**G ჯგუფი**

**პანათინაიკოს–უნიკახა 103:95 (ო)**

21:16, 27:19, 18:24, 20:27, 17:9

პ: ბატისტა (22+9 მოხსნა), ნიკოლასი (15), პეკოვიჩი (13), იასიკიავიჩუსი (12+5 პასი), პერპეროგლუ (12+4 ჩაჭრა).

უ: უელში (21), გაბრიელი (17), გომისი (16), როდრიგესი (13), ხიმენესი (10).

**რომა–პარტიზანი 88:72**

26:23, 23:11, 18:18, 21:20

რ: ჰათსონი (23), რ. დუგლასი (18), ჯააბერი (17+3 ჩაჭრა), დატომე (12).

პ: ლასმე (17+8 მოხსნა), ველიჩკოვიჩი(14), ტრიპკოვიჩი (12).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 5/1 | 75 |
| 2. პარტიზანი | 4/2 | -14 |
| 3. უნიკახა | 2/4 | 23 |
| 4. რომა | 1/5 | -84 |

**H ჯგუფი**

**ციბონა–ცსკა 63:73**

11:17, 24:24, 15:11, 13:21

ციბ: ა. ანდერსონი (17+8 მოხსნა+3 პასი), კუსი (12).

ცსკა: ე. ლორბეკი (15+3 ჩაჭრა), სმოდიში (14), ლენგდონი (12), კეირუ (12).

**ფენერბაჩე–მონტეპასკი 68:73**

14:23, 25:17, 24:17, 5:16

ფ: თურქჩანი (19+9 მოხსნა), ერდენი (12), სავაში (12), დ. სმიტი (11), მრშიჩი (10).

მ: კაუკენასი (27), სატო (12+3 ჩაჭრა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 5/1 | 77 |
| 2. მონტეპასკი | 4/2 | 16 |
| 3. ციბონა | 2/4 | -33 |
| 4. ფენერბაჩე | 1/5 | -60 |

**1/4 ფინალი**

მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ დაკომპლექტდა მეოთხედფინალური წყვილები. წელს პლეი ოფის გათამაშებაში სიახლეა. წინა სეზონებისგან განსხვავებით, "ოთხთა ფინალის" მონაწილეები ხუთმატჩიანი სერიების (3 მოგებამდე) შემდეგ გაირკვევა.

**ოლიმპიაკოსი–რეალი**

24 მარტი. ოლიმპიაკოსი-რეალი
26 მარტი. ოლიმპიაკოსი-რეალი
31 მარტი. რეალი-ოლიმპიაკოსი
2 აპრილი. რეალი-ოლიმპიაკოსი*
8 აპრილი. ოლიმპიაკოსი-რეალი*

**ბარსელონა–ტაუგრესი**

24 მარტი. ბარსელონა-ტაუგრესი
26 მარტი. ბარსელონა-ტაუგრესი
31 მარტი. ტაუგრესი-ბარსელონა
2 აპრილი. ტაუგრესი-ბარსელონა*
8 აპრილი. ბარსელონა-ტაუგრესი*

**პანათინაიკოსი–მონტეპასკი**

24 მარტი. პანათინაიკოსი-მონტეპასკი
26 მარტი. პანათინაიკოსი-მონტეპასკი
31 მარტი. მონტეპასკი-პანათინაიკოსი
2 აპრილი. მონტეპასკი-პანათინაიკოსი*
8 აპრილი. პანათინაიკოსი-მონტეპასკი*

**ცსკა–პარტიზანი**

24 მარტი. ცსკა-პარტიზანი
26 მარტი. ცსკა-პარტიზანი
31 მარტი. პარტიზანი-ცსკა
2 აპრილი. პარტიზანი-ცსკა*
8 აპრილი. ცსკა-პარტიზანი*

**- საჭიროების შემთხვევაში*

## კალათბურთი

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

**სან ანტონიო–ლეიკერსი 95:102**

17:35, 21:18, 32:25, 25:24

ს-ა: ტ. პარკერი (25+9 პასი), ფინლი (25), დანკანი (16+11 მოხსნა).

ლ: პ. გასოლი (23+11 მოხსნა), ბრაიანტი (23+6 პასი), ოდომი (12+10 მოხსნა), არიზა (10+4 ჩაჭრა), ფიშერი (10).

**ფინიქსი–კლივლენდი 111:119**

27:30, 33:33, 33:26, 18:30

ფ: ბარნსი (21), ნეში (20+6 პასი), ჰილი (15), ბარბოზა (14), ჯ. რიჩარდსონი (13), შ. ო'ნილი (12+7 მოხსნა).

კ: ლ. ჯეიმსი (34+10 მოხსნა+13 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება), მ. უილიამსი (30), პავლოვიჩი (16), ილგაუსკასი (15).

## სამთო-სათხილამურო

### მსოფლიოს თასი

**არე. შვედეთი**

**გიგანტური სლალომი. კაცები**

1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) - 2:18.95 (1:09.94+1:09.01); 2. ტედ ლიგეტი (აშშ) - 2:19.08 (1:10.65+1:08.43); 3. დიდიე კუში (შვეიც) - 2:19.66 (1:10.80+1:08.86); 4. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფ) - 2:19.68 (1:11.26+1:08.42); 5. ფილიპ შიორგჰოფერი (ავსტრია) - 2:20.09 (1:11.42+1:08.67); 6. ტომას ფანარა (საფ) - 2:20.11 (1:11.21+1:08.90).

**საერთო ჩათვლა**

1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) - 1009; 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) - 1007; 3. დიდიე კუში (შვეიც) - 919; 4. ივიცა კოსტელიჩი (ხორ) - 869; 5. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფ) - 827; 6. დიდიე დეფაგო (შვეიც) - 738.

**სლალომი. ქალები**

1. სანდრინ ობერი (საფ) - 1:49.23 (52.27+56.96); 2. ფანი ხმელარი (გერ) - 1:49.29 (52.89+56.40); 3. ტერეზ ბორსენი (შვედ) - 1:49.46 (52.77+56.69); 3. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხ) - 1:49.46 (51.80+57.66); 5. მარია რიში (გერ) - 1:49.60 (52.11+57.49); 6. ფრიდა ჰანსდოტერი (შვედ) - 1:49.86 (53.25+56.61).

**საერთო ჩათვლა**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 1788; 2. მარია რიში (გერ) - 1404; 3. ანია პერსონი (შვედ) - 1059; 4. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 1014; 5. ტანია პოუტიაინენი (ფინ) - 834; 6. ტინა მაზე (სლოვენ) - 752.

## ჩოგბურთი

# გილბერტი ბოლეტიერის აკადემიას შეუერთდა

**ანდრე აგასისა** და ენდი როდიკის ყოფილი მწვრთნელი ბრედ გილბერტი ნიკ ბოლეტიერის ცნობილ საჩოგბურთო აკადემიაში მიწვეული მწვრთნელის სტატუსით იმუშავებს.

*"ბრედი მთელს თავის საჩოგბურთო ცოდნას აკადემიას მოახმარს და დიდად დაეხმარება სტუდენტებს ოსტატობის ამაღლებაში. მისი სამწვრთნელო შესაძლებლობები განუმეორებელია და თუ ამას მის უშრეტ ენერგიას დავუმატებთ, შესანიშნავ კომპლექტს მივიღებთ"*, - ამბობს ბოლეტიერი.

*"ველოდი აკადემიაში გამგზავრების შესაძლებლობას და ბოლეტიერისთან თანამშრომლობის დაწყებას. ნიკი ბოლო 30 წლის განმავლობაში ნოვატორი იყო ამ საქმეში და მას ზურგს დიდი წარმატებები უმაგრებს. ჩემთვის დიდი პატივია მის გვერდით მუშაობა"*, - მოჰყავს გილბერტის სიტყვები Tennis Weeks-ს.

## ფორმულა 1

# ბრაუნ გრანპრი, ბარსელონას სენსაცია

## ახალმა გუნდმა ბარსელონას ტესტებზე საუკეთესო დრო აჩვენა



**ბარსელონაში** მორიგი წინასასეზონო ტესტები დასრულდა. ვარჯიშების მორიგი სესია იმით იყო გამორჩეული, რომ ტრასაზე პირველად ვიხილეთ "ჰონდას" ბაზაზე შექმნილი ახალი გუნდის - "ბრაუნ გრანპრის" ახალი მანქანა - BGP001.

ეს ბოლიდი ტესტების მთავარი სენსაცია გახდა. ვარჯიშის ბოლო, მეოთხე დღეს აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა. გუნდი, რომლის ჩემპიონატში გამოსვლა ცოტა ხნის წინ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, შესაძლოა, სეზონის მთავარი სიურპრიზი გახდეს...

"ბრაუნ გრანპრის" კიდევ ექნება მანქანის დახვეწის შესაძლებლობა - 15 მარტს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები ავსტრალიის გრანპრისთვის მზადებას ხერესში გააგრძელებენ.

მანამდე კი გთავაზობთ "ბრაუნ გრანპრის" მფლობელის როს ბრაუნის ინტერვიუს, რომელიც ბარსელონას სატესტო სერიამდე არის აღებული. ცნობილი სპეციალისტი დაწვრილებით ჰყვება იმის შესახებ, თუ რა გზა გაიარა "ჰონდამ" "ბრაუნ გრანპრიმდე".

**- მოგვიყევით ახალი გუნდის შესახებ: ვინ არის ახლა მისი მფლობელი და როგორ არის საქმეები ორგანიზებული?**

- როცა "ჰონდამ" ფორმულა 1-დან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, იმაზე ფიქრი დავიწყეთ, როგორ შეგვენარჩუნებინა კოლექტივი, რა სახსრებით გაგვეყვანა გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე და როგორ გამოგვეყენებინა ის ბრწყინვალე ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც ბრეკლიში მდებარე ჩვენს ქარხანაში გაგვაჩნია.

და მე უბრალოდ გამოვისყიდე "ჰონდასგან" ეს გუნდი. მისი მფლობელი გახლავართ, მაგრამ ის მენეჯერებიც მეხმარებიან, რომლებიც ჩემთან მუშაობდნენ გარიგების გაფორმების პროცესში.

**- რამდენადაც ვიცით, "ჰონდას" გუნდის მომავალ ბედთან დაკავშირებით რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა - შეეძლო საჯინიბო საერთოდ გაეუქმებინა ან უბრალოდ, მიეღო გუნდის ყიდვაზე შემოსული უამრავი ვარიანტიდან ერთ-ერთი. რატომ აირჩია იაპონურმა კონცერნმა თქვენი ვარიანტი?**

- "ჰონდას" ხელმძღვანელობის სურვილი და ძალისხმევა იქითკენ იყო მიმართული, რომ გუნდს არსებობა არ შეეწყვიტა - საჯინიბოს დახურვა უკიდურესი ზომა უნდა ყოფილიყო. მე კომენტარს ვერ გავუკეთებ იმ წინადადებებს, რომელიც კონცერნის სახელზე გუნდის ყიდვასთან დაკავშირებით იგზავნებოდა. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ "ჰონდას" დირექტორთა საბჭომ სწორედ ეს გზა აირჩია და რა თქმა უნდა, ეს ძალიან მსიამოვნებს.

**- თქვენ თქვით, რომ გუნდს ურთულესი პერიოდის გადატანამ მოუწია. რა შეიძლება ითქვას კოლექტივის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე?**

- არ უარვყოფ, რომ ბრეკლში ეს ყველასთვის რთული პერიოდი იყო, მაგრამ ბოლო თვეებში გუნდმა სიმტკიცე და ურყევი სული გამოავლინა და მე ამით ძალიან ვამაყობ. მანქანის შექმნისა და წარმოების პროცესი წამითაც არ შეჩერებულა. ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავიდან მანქანის ძარა სხვა ძრავასა და გადაცემათა კოლოფზე იყო გათვლილი, შემდეგ კი მისმა გადაკეთებამ მოგვიწია.

**- მოგვიყევით "მერსედეს-ბენცთან" თანამშრომლობაზე...**

- ძალიან გაგვიმართლა, რომ ძრავების მოწოდებაზე "მერსედესთან" მივაღწიეთ შეთანხმებას და რომ ახალი მანქანა (BGP001) FO108W-ით იქნება აღჭურვილი. მინდა მადლობა გადავუხადო ამ კომპანიას ჩვენი გუნდის მიმართ გამოჩენილი მოთმინების გამო.

**- გუნდის შემადგენლობა არ შეცვლილა. სავარაუდოდ, ასეთ სიტუაციაში, როცა სეზონის დაწყებამდე ცოტა დრო რჩება, მნიშვნელოვანია გუნდის მუშაობაში გამოცდილმა პილოტებმა მიიღონ მონაწილეობა...**

- ჯენსონ ბატონი და რუბენს ბარიკელო ძალიან გამოცდილი პილოტები არიან. მათ ამ გუნდში ყველა დეტალი ზედმიწევნით ზუსტად იციან და სეზონისწინა ბოლო ტესტების დროს, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი უკვე მეოთხე წელია ერთად არიან, შესანიშნავად იცნობენ ერთმანეთს, საქმისადმი ჩვენს მიდგომას, ჩვენს ინჟინრებს - ეს ნამდვილად დასაფასებელი თვისებებია.

**- თუ შექმნილ სიტუაციას რეალურად შევხედავთ, რამდენად რთული იქნება სხვა გუნდების დაწევა იმ პირობებში, როცა ასე გვიან ჩაებით ტესტებში?**

- მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მელბურნში, სეზონის პირველ რბოლაში მიგვეღო მონაწილეობა. ეს საკითხი მოგვარებულია. თავიდან, შესაძლოა, პრობლემები წარმოიშვას ტექნიკის საიმედოობასთან დაკავშირებით. ეს იმის გამო, რომ ყველაზე ნაკლები დროის გატარება მოგვიწევს ტესტებზე. მაგრამ არც ისე ცუდი მანქანა გვყავს და იმედია, ის ღირსეულ სისწრაფეს აჩვენებს. დარწმუნებულნი ვართ ბოლიდის კონსტრუქციაში ჩადებული საბაზო პრინციპების საიმედოობაში, მანქანის დახვეწაზე კი სეზონის მსვლელობისას ვიზრუნებთ.

**- რას ელით მელბურნის რბოლისგან?**

- სეზონის პირველი რბოლა, როცა სტარტზე 20 ახალი მანქანა გადის, ყოველთვის მოულოდნელობებით არის სავსე. ახალი რეგლამენტის პირობებში კი პროგნოზის გაკეთებამ პრაქტიკულად ყოველგვარი აზრი დაკარგა. მაგრამ მე ერთი რამ ვიცი: მელბურნიდან სიამაყით აღვსილები დავბრუნდებით, რადგან მთავარი გამოცდა გუნდმა უკვე ჩააბარა.

**- დაბოლოს, რას გვეტყვით BGP001-ის ახალ ფერებზე?**

- ჩვენ ეს ფერები ძალიან მოგვწონს: მათი უბრალოება კარგად გამოხატავს ჩვენს სიტუაციას - "ბრაუნ გრანპრი" ხომ ახლა იწყებს თავის გზას. შავი და თეთრი - საბაზო ფერებია, სავსებით შესაფერისი ფორმულა 1-სთვის. რაც შეეხება ყვითელს, მისი სიმკვეთრე BGP001-ს უფრო შესამჩნევს ხდის. ის ძალიან განსხვავდება სხვა მანქანებისგან.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი–ოტავა 5:3**

3:1, 0:0, 2:2

გოლები: 1:0 ა. უორდი-3 (პ. ბერჟერონი-25, ხარა-25), 2:0 აქსელსონი-6 (კრეისი-41), 3:0 კობესოუ-17 (რაიდერი-20, სავარი-53), 3:1 სპეცა-24 (ჰიტლი-30, ალფრედსონი-42), 4:1 კესელი-28 (სავარი-54, მ. სტიუარტი-8), 4:2 შუბერტი-2 (მენონი-6, ჰიტლი-31), 5:2 სპეცა-25 (ალფრედსონი-43), 5:3 კესელი-29 (აქსელსონი-21).

**ბაფალო–ფლორიდა 3:1**

2:1, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 შპაჩეკი-8 (პომინვილი-34, კონოლი-19), 1:1 რეპიკი-2 (ბუტი-20), 2:1 პეი-8 (სეკერა-14, შპაჩეკი-27), 3:1 ვანეკი-34 (როი-37).

**დეტროიტი–კალგარი 5:6 (ბ)**

2:1, 2:1, 1:3, 0:0

გოლები: 0:1 ო. იოკინენი-25 (ლუნდმარკი-6, ფანოფი-29), 1:1 ზეტერბერგი-27 (დაციუკი-55, ლიდსტრიომი-34), 2:1 სამუელსონი-17 (კოპეცკი-13, კრონვალი-38), 3:1 ლიდსტრიომი-13 (რაფალსკი-44, დაციუკი-56), 4:1 ფილპულა-10 (ლიდსტრიომი-35), 4:2 ლენგკოუ-19 (ა. ოკუანი-19, კამალერი-36), 4:3 ლუნდმარკი-3 (ვანდერმეერი-4, სერიჩი-18), 4:4 ო. იოკინენი-26 (გლენკროსი-25, ფანოფი-30), 4:5 ლუნდმარკი-4 (კონროი-33), 5:5 კლირი-13 (ჰოლმსტრიომი-17, დაციუკი-57).

ბულიტები გაიტანეს: დაიცუკი (დეტროიტი), კამალერი (კალგარი), ო. იოკინენი (კალგარი).

**ნიუ ჯერსი–ფინიქსი 5:2**

2:1, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 პარიზე-40 (ლანგენბრუნერი-37, მარტინი-22), 2:0 მადენი-7 (ოდუია-21, რუპი-6), 2:1 აპშოლი-10 (პრუხა-8, ლომბარდი-24), 3:1 ზუბრუსი-14 (მენეპანი-6, სალვადორი-10), 4:1 ელიაში-27 (ჯონტა-36, სალვადორი-11), 5:1 ზაიაცი-19 (როლსტონი-12, ელიაში-44), 5:2 რაინპრეხტი-12 (კალინინი-13, დოუნი-32).

**ფილადელფია–ვაშინგტონი 1:2**

0:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ლეიჩი-17 (ოვეჩკინი-39, ბექსტრიომი-54), 1:1 ნუბლი-24 (მ. რიჩარდსი-43, საიმონ განიე-36), 1:2 ოვეჩკინი-48 (სიომინი-37).

**კოლამბუსი–პიტსბურგი 4:3 (ბ)**

1:0, 1:0, 1:3, 0:0

გოლები: 1:0 ჰუსელიუსი-19 (ტიუტინი-23, კლესლა-7), 2:0 ჯეისონ უილიამსი-15 (ვერმეტი-22), 3:0 ვერმეტი-10 (ჯეისონ უილიამსი-22), 3:1 გონჩარი-4 (კროსბი-59, კუნიტცი-24), 3:2 დუპუი-10 (მალკინი-66), 3:3 ტელბოტი-10 (მალკინი-67, კროსბი-60).

ბულიტები გაიტანეს: ჰუსელიუსი (კოლამბუსი).

**სენტ ლუისი–სან ხოსე 3:1**

1:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 მარლო-35 (ერპოფი-26, ბოილი-33), 1:1 ე. მაკდონალდი-11 (პერონი-30), 2:1 ბოიესი-28 (ე. მაკდონალდი-21), 3:1 პეკმენი-4 (მაკკი-4).

**ტორონტო–ტამპა ბეი 1:4**

1:0, 0:2, 0:2

გოლები: 1:0 სტემპნიაკი-13 (ჯ. ბლეიკი-31, შენი-6), 1:1 პეტინგერი-4 (კარსუმსი-2), 1:2 სენტ ლუისი-25 (სტემკოსი-19, მელოუნი-16), 1:3 მელოუნი-24 (მერფი-10, ლეკავალიე-36), 1:4 შეჩურა-3.

**მონრეალი–აილენდერსი 2:3 (ო)**

1:1, 0:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 პლეკანეცი-19 (გორჯესი-15, პასიორეტი-8), 1:1 იგულდენი-1 (კომო-13, შტრაიტი-35), 1:2 ნილსენი-4 (მტრაიტი-36, კომო-14), 2:2 კოსტოპულოსი-8 (მარკოვი-43, შნაიდერი-17), 2:3 ოკსოპო-16 (ფურვე-11, ნილსენი-20).

**ნეშვილი–რეინჯერსი 2:4**

2:1, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ჟივერი-4 (გომესი-34, ჟერდიოვი-32), 1:1 შ. უებერი-18 (ტუტუ-10, სუტერი-31), 2:1 დუმონი-13 (სალივანი-11, ლეგუანდი-20), 2:2 გომესი-16 (კელეპანი-11), 2:3 მ. სტაალი-3 (გომესი-35, კელეპანი-12), 2:4 სიოსტრიომი-6 (ბეტსი-4, მ. სტაალი-10).

**დალასი–კაროლინა 3:2**

0:1, 3:0, 0:1

გოლები: 0:1 ბრინდამორი-12 (ე. სტაალი-28, უორდი-1), 1:1 რიბეირო-19 (ნისკანენი-23, ლ. ერიქსონი-20), 2:1 ბიგინი-7 (კონერი-8), 3:1 ბ. მორისონი-11 (მოდანო-28, გროსმანი-7), 3:2 რეი უიტნი-22 (ბრინდამორი-26, კულენი-19).

**კოლორადო–მინესოტა 2:1 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 მ-ა. ბერჟერონი-10 (ჟიდლიცკი-22, მ. კოივუ-44), 1:1 ლაილსი-9 (პ. მჩასტნი-25, სვატოსი-18).

ბულიტები გაიტანეს: ვოლსკი (კოლორადო), ჰეიდუკი (კოლორადო).

**ედმონტონი–ატლანტა 3:4 (ო)**

1:2, 2:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 სლეიტერი-7 (ოისტრიკი-7, ვიაჩ. კოზლოვი-39), 1:1 ჰორკოფი-15 (გრებეშკოვი-26, ჰემსკი-35), 1:2 ლიტლი-29 (ტ. უაიტი-42, ჰეინსი-29), 2:2 ო'სალივანი-15 (პიზანი-6, სტაიოსი-9), 3:2 ნილსონი-8 (სემ განიე-17, პუიო-12), 3:3 ბოგოსიანი-5 (ენსტრიომი-15, ვიაჩ. კოზლოვი-40), 3:4 რისონერი-11 (ვერენი-11).

ოლიმპიზმი

# ჩინელების პესიმიზმი

ჩინეთის სპორტის სამინისტროს ეჭვი ეპარება, რომ ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გაიმეორებს პეკინის თამაშებზე მიღწეულ წარმატებას და მომავალში ამდენივე ოქროს მედლის მოპოვებას მოახერხებს. სპორტის მინისტრის მოადგილე **ცუი დალინი** დარწმუნებულია, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის სათანადოდ მოსამზადებლად, ჩინეთმა აუცილებლად უნდა მოუმატოს სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიცაა მძლეოსნობა და ამასთან, არ უნდა დაკარგოს ლიდერის პოზიციები სხვა სახეობებში.

*"პეკინში ისტორიული გარღვევა გვქონდა: 51 ოქრო და გამარჯვება გუნდურ ჩათვლაში. ამ წარმატებაზე დაყრდნობით, ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რა გზით უნდა განვვითარდეთ და რა უნდა გავაკეთოთ ლონდონის თამაშებისთვის, რათა კვლავაც ლიდერის პოზიციაზე განვაცხადოთ პრეტენზია. არ უნდა მოვდუნდეთ და მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. აუცილებელია, ნაკლოვანებებზე მუდმივი და მონდომებული მუშაობა"*, - ამბობს დალინი.

*"ლონდონში ყველაფერი სხვაგვარად იქნება, მაგალითად, ტრიბუნების მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა გვქონდეს. როგორ შეიძლება ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს სპორტის ლიდერად ჩაითვალოს, როცა მძლეოსნობის 47 სახეობიდან ვერც ერთში შევძელით ოქროს მედლის მიღება. ან შეხედეთ ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო გუნდს... ჩვენი მიზანია მოვუმატოთ მძლეოსნობაში, ცურვაში, ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. სწორედ ცურვასა და მძლეოსნობაში თამაშდება მედლების დიდი ნაწილი"*, - განაცხადა ჩინეთის სპორტის მინისტრის მოადგილემ.

ცუი დალინს ეთანხმება ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა უმრავლესობა, მათ შორის "ჩინური სახეობების" - მაგიდის ჩოგბურთისა და წყალში ხტომის სპეციალისტები. მათი აზრით, 2012 წელს ოქროსთვის ბრძოლა გაცილებით რთული იქნება, რადგან იმ დროისთვის კონკურენტები შესამჩნევად აიმაღლებენ კლასს.



# ჩიტის ბუდის მეორე ცხოვრება

პეკინის ოლიმპიადის მთავარი არენა - სტადიონი "ჩიტის ბუდე" უახლოეს მომავალში "კვალიფიკაციას" შეიცვლის. უახლოესი სამი-ხუთი წლის განმავლობაში ის უმსხვილეს სავაჭრო და გასართობ ცენტრად ჩამოყალიბდება.

დღეისთვის სტადიონზე ტურისტული ექსკურსიები იმართება. სულ რაღაც 7 დოლარად ნებისმიერ მსურველს შეეძლება ტრიბუნების ქვედა სათავსოებში მოგზაურობა, სადაც უკვე ფუნქციონირებს სუვენირების ჯიხურები.

ვარაუდობენ, რომ სტადიონზე სავაჭრო ტერიტორიების გაქირავება პრობლემა არ იქნება, რაც შეეხება გასართობ ღონისძიებებს, აქ უფრო რთულად არის საქმე. ფინანსური კრიზისისა და 91-ათასიანი არენის იჯარის დიდი თანხის გამო, წელს იქ ერთადერთი მსხვილი ღონისძიებაა დაგეგმილი - პუჩინის ოპერა "ტურანდოტი", რომელიც 8 აგვისტოს გაიმართება და 2008 წლის ოლიმპიადის გახსნის ერთი წლისთავს მიეძღვნება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ტრამპლინიდან ხტომა

## აჰონენი ბრუნდება

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **იანე აჰონენი** დიდ სპორტში დაბრუნებას აპირებს. ცნობილმა ფინელმა კარიერა ზუსტად ერთი წლის წინ შეწყვიტა, ახლა კი 31 წლის სპორტსმენს ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადისთვის სურს დაბრუნება.

ვარაუდობენ, რომ აჰონენის წყალობით, ფინეთის ნაკრები გუნდურ პირველობაში კვლავაც ფავორიტი იქნება. ასეთი დონის სპორტსმენის დამატებით, ფინელები ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ ლიდერებს - ავსტრიელ მხტომელებს.

*"მას შემდეგ, რაც დიდი სპორტიდან წავედი, არც ერთი ნახტომი არ შემისრულებია, - აღნიშნა ტიტულოვანმა ფინელმა. - ვარჯიშებს აპრილში განვაახლებ და დაახლოებით ერთ თვეს დავუთმობ ფიზიკური ფორმის აღდგენას. შემდეგ, უშუალოდ ნახტომების შესრულებაზე გადავალ. სავარაუდოდ, საზაფხულო გრანპრის ეტაპებში მონაწილეობას არ მივიღებ. მირჩევნია, მთელი ყურადღება ზამთრის სეზონისთვის მზადებაზე გადავიტანო"*.

მძლეოსნობა

## ამერიკა იამაიკას უპირისპირდება

ამერიკამ საინტერესო წინადადებით მიმართა იამაიკას. ამერიკელებს სურთ გაარკვიონ, ამ ორი ქვეყნიდან რომელს ჰყავს უფრო ძლიერი სპრინტერები. აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაცია ვარაუდოებს, რომ უძლიერესის გამოსავლენად საჭიროა ამ ქვეყნებში თითო ტურნირის მოწყობა, სადაც პირველობას ცხრა სარბენ დისციპლინაში გაითამაშებენ. მატჩების ჩატარების თარიღად მაისსა და ივნისს ასახელებენ.

პეკინის ოლიმპიადაზე სპრინტის დისციპლინებში სწორედ ამერიკისა და იამაიკის მძლეოსნები დომინირებდნენ, რომლებმაც ჯამში ოქროს 11 მედალი მოიპოვეს, თუმცა ყველა პრესტიჟულ გარბენებში კუნძულელებმა სასტიკად დაამარცხეს ამერიკელი მძლეოსნები.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ასკოლი-პიაჩენცა | 2:0 |
| ემპოლი-პარმა | 1:4 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-შალკე | 4:3 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კაიზერი-კობლენცი | 2:1 |
| მიუნხენი-ფრანკფურტი | 1:1 |
| ნიურნბერგი-ალენი | 4:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ვერდერი A-ბაიერნი A | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-მონპელიე | 1:0 |
| ბრესტი-ტური | 0:1 |
| შატორუ-ბულონი | 1:0 |
| კლერმონი-გინგამი | 1:1 |
| დიჟონი-რეიმსი | 1:1 |
| ვანი-ამიენი | 2:1 |
| ლანსი-აიაჩო | 0:1 |
| სედანი-მეცი | 3:2 |
| ტრუა-ანჟერსი | 1:2 |
| **ჰოლანდია** | |
| გრონინგენი-როდა | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდორნი-ფორტუნა | 1:0 |
| დენ ბოში-იგლზი | 1:0 |
| დორდრეხტი-ექსელსიორი | 0:1 |
| ეინდჰოვენი A-ჰაალვიკი | 1:1 |
| ცვოლე-ომნივორლდი | 3:1 |
| მაასტრიხტი-ჰაარლემი | 3:0 |
| როსენდალი-ტოპ ოსი | 3:2 |
| ტელსტარი-კამბური | 1:1 |
| ვენლო-ჰელმონდი | 2:0 |
| **ბელგია** | |
| მეხელენი-ანდერლეხტი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-ლეიქსოეში | 4:0 |

| | |
|---|---|
| **ფინეთის ლიგის თასი** | |
| ტურკუ-როვანიემი | 3:0 |
| **ავსტრია** | |
| შტურმი-რიდი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია (ლ)-აუსტრია A | 2:1 |
| ადმირა-ფოკლაბრუკი | 3:0 |
| გრატკორნი-ლეობენი | 1:1 |
| ზალცბურგი A-ვინერი | 0:2 |
| გრიოდიგი-სტ. პოლტენი | 3:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კონკორდია-სერვეტი | 3:1 |
| სტად ნიონე-შო დე ფონი | 1:2 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-ქოჯაელი | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-დერი | 1:1 |
| კორკი-სტ. პატსი | 0:1 |
| დროგედა-ბრეი | 0:0 |
| გალვეი-დანდალკი | 1:0 |
| შემროკი-სლიგო | 2:1 |
| **უელსი** | |
| რილი-ბანგორი | 4:1 |
| უელშპული-ქონეჰსი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დუკლა-ფულნეკი | 6:0 |
| იჰლავა-ოპავა | 3:0 |
| **უკრაინა** | |
| ვორსკლა-ლვოვი | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| პოლონია (ვ)-ლკს | 1:3 |
| იაგელონია-ლეგია | 2:1 |
| **უნგრეთი** | |
| ჰალადაში-უიპეშტი | 0:2 |
| **ბულგარეთი** | |
| პირინი-ლოკომოტივი (ს) | 0:4 |

| | |
|---|---|
| **რუმინეთი** | |
| [illegible]-პანდური | 2:0 |
| კლუჟი-რაპიდი | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-სტრასბური | 77:85 |
| პო ორტეზი-რუანი | 83:67 |
| ორლეანი-ლე ლანი | 54:72 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-აკ ბარსი | 4:2 |
| დინამო-ცსკა | 5:1 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2:1 |
| აისბარენი-ჰამბურგი | 5:3 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 2:3 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 5:0 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-კერპეტი | 1:4 |
| კიეკო-პელიკანსი | 0:1 |
| ჰპკ-კალპა | 0:3 |
| იუვიასკიულა-ტპს | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-პარდუბიცე | 3:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ვიდომი-ნავარო | 6:4, 7:6 |
| ბერერი-ანდერსონი | 6:3, 6:3 |
| ზვერევი-კოლერერი | 6:2, 5:7, 2:6 |
| კუერი-კანიასი | 7:6, 6:2 |
| ოდესნიკი-სვიტინგი | 6:1, 4:6, 6:7 |
| შარდი-ჰანესკუ | 6:4, 3:6, 6:2 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ვოზნიაკი-ბაჩინსკი | 6:1, 6:1 |
| მორესმო-გრონეფელდი | 5:7, 6:3, 6:4 |
| პენგი-გოვორცოვა | 6:3, 3:6, 6:4 |
| ბარტოლი-პეერი | 6:1, 4:6, 5:7 |
| რაზანო-კანეპი | 6:7, 0:6 |
| სუარეს ნავარო-გლეტჩი | 3:6, 1:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

TV პროგრამა

### 14 მარტი. შაბათი

**იმედი**

**11:15** სპორტული კალეიდოსკოპი.
**13:00** იმედის ფსონი.

**I არხი**

**14:00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).
**16:15** რაგბი. ერთა თასი. საქართველო-რუმინეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-სპორტინგი.
**09:10** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**09:40** საფეხბურთო კლუბი.
**10:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რომა-არსენალი.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შალკე.
**15:05** საფეხბურთო კლუბი.
**15:55** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**16:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:40** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული (LIVE).
**18:55** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი (LIVE).
**20:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:10** გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ბაიერნი.
**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეკრეატივო (LIVE).
**00:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი (LIVE).
**02:55** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ნიცა.
**04:45** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
**06:30** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

**EUROSPORT**

**11:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS138. ლილეჰამერი. ნორვეგია.
**11:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. I ცდა. კაცები. არე. შვედეთი (LIVE).
**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. I ცდა. ქალები. არე. შვედეთი (LIVE).
**13:45** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 30 კმ. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
**15:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. HS131. ვიკერსუნი. ნორვეგია (LIVE).
**15:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. II ცდა. ქალები. არე. შვედეთი (LIVE).
**16:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 50 კმ. კაცები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VII ეტაპი (LIVE).
**18:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნი. ნორვეგია (LIVE).
**20:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ვიკერსუნი. ნორვეგია.
**21:30** ველოსპორტი. ტირენა ადრიატიკო. IV ეტაპი.
**22:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
**23:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**01:00** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**02:45** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კვიპროსი. II დღე.
**03:15** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**11:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. II ტური. იამაგატა-ნაგოია (LIVE).
**13:00** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. დოჰა. კატარი (LIVE).
**14:00** ახალი ამბები.
**14:15** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. დოჰა. კატარი (LIVE).
**15:00** ექსტრემალური სპორტი.
**15:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**16:00** ახალი ამბები.
**16:30** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. დოჰა. კატარი (LIVE).
**17:30** სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ესპანეთი (LIVE).
**18:30** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. II ტური. იამაგატა-ნაგოია.
**19:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. V ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-პოდრავკა (ხორვატია).
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ბილიარდი.
**23:30** ახალი ამბები.
**00:00** ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**01:30** ბილიარდი.
**02:30** ახალი ამბები.

### 15 მარტი. კვირა

**იმედი**

**13:00** იმედის ფსონი.
**23:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბარსელონა (LIVE).

**I არხი**

**14:00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).
**16:15** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**მზე**

**15:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ოსერი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მარსელი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ლევერკუზენი.
**09:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
**11:10** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:25** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
**15:25** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი (LIVE).
**17:25** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**19:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:55** ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ტოტენჰემი (LIVE).
**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვილიარეალი (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბარსელონა (LIVE).
**01:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**02:10** არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-რივერ პლეიტი.
**03:55** ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-სევილია.
**05:45** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მარსელი.

**EUROSPORT**

**11:30** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. დოჰა. კატარი.
**12:15** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. დოჰა. კატარი.
**13:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. HS131. ვიკერსუნი. ნორვეგია (LIVE).
**13:45** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**14:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ვიკერსუნი. ნორვეგია (LIVE).
**15:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გუნდური. არე. შვედეთი (LIVE).
**16:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნი. ნორვეგია.
**16:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნი. ნორვეგია (LIVE).
**18:30** ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა.
**18:35** ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VIII ეტაპი (LIVE).
**20:00** ველოსპორტი. ტირენა ადრიატიკო. V ეტაპი.
**20:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. IV დღე. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**21:00** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**22:30** ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
**23:00** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. ვანკუვერი. კანადა.
**23:30** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**02:30** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კვიპროსი. III დღე.
**03:00** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**12:45** ექსტრემალური სპორტი.
**13:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. II ტური. იამაგატა-ნაგოია.
**14:00** ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
**15:00** ახალი ამბები.
**15:30** სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ესპანეთი.
**16:00** სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ესპანეთი (LIVE).
**18:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. V ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-პოდრავკა (ხორვატია).
**18:45** ბილიარდი.
**19:30** ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**21:00** ბილიარდი.
**23:00** ახალი ამბები.
**23:15** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XX ტური. ჩეზენა-კასტელანა.
**01:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. V ტური. დიორი (უნგრეთი)-კრიმი (სლოვაკეთი)
**02:00** სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ესპანეთი.
**03:00** ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# შარაპოვამ დაბრუნება იჩქარა



მხარის ტრავმით გამოწვეული 8-თვიანი პაუზის შემდეგ **მარია შარაპოვა** კორტზე დაბრუნდა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ინდიან უელსში წყვილთა თანრიგში თამაშით შემოიფარგლა, სადაც მისი პარტნიორი თანამემამულე **ელენა ვესნინა** იყო. მაგრამ დებიუტი ისეთი გამოვიდა, რომ მარია ჩაფიქრდა - ღირს თუ არა მარტის ბოლოს მაიამის ტურნირში გამოსვლა. შარაპოვა-ვესნინას დუეტმა **მაკაროვასა** (რუსეთი) და **პუჩეკის** (ბელარუსი) ინტერნაციონალურ წყვილთან წააგო.

ტურნირის ორგანიზატორებმა შარაპოვას ცენტრალური კორტი გამოუყვეს. მატჩის დროს რუსი ვარსკვლავის მოწოდება ძველებურად ძლიერი იყო, მაგრამ სიზუსტე აკლდა - რუსი იშვიათად ანვდიდა ზუსტად პირველ ბურთს.

შარაპოვამ და ვესნინამ პირველი სეტი პირწმინდად წააგეს (1:6), სამაგიეროდ მეორეში გაიმარჯვეს და მესამეში, საჩემპიონო ტაი-ბრეიკსაც იგებდნენ, მაგრამ დამარცხდნენ, ძირითადად საკუთარი შეცდომების გამო. მეტოქეებმა თამაშში გარდატეხა სწორედ მაშინ შეიტანეს, როცა შარაპოვამ ორი მოწოდება ააცილა.

რუსი ჩოგბურთელის დაბრუნებამ პრესაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რასაც ვერ ვიტყვით გულშემატკივრებზე, რომლებმაც სანახევროდ შეავსეს ცენტრალური კორტის ტრიბუნები. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მარიას უამრავი შეკითხვისთვის მოუწია პასუხის გაცემამ. გთავაზობთ ამ საუბრის ფრაგმენტებს.

**- მარია, როგორ გრძნობთ თავს კორტზე დაბრუნების შემდეგ?**

- შესანიშნავად! ბედნიერი ვარ, რომ ისევ ჩავერთე პროფესიულ ტურში. ვარჯიშები რამდენიმე თვის წინ განვაახლე და მინდოდა საკუთარი თავის საქმეში შემოწმება. ვარჯიში და ოფიციალური მატჩი - სრულიად განსხვავებული ცნებებია. მოხარული ვარ, რომ ჩემი დაბრუნება სწორედ აქ შედგა, რადგან ინდიან უელსს ჩემს მეორე სახლად მივიჩნევ.

**- მატჩის დროს მხარი ხომ არ გაწუხებდათ?**

- ყველაფერი ნორმალურად იყო. ჩემი აზრით, დღეს მთავარია - ყველაფერი სწორად გავაკეთო. ყოველდღე უნდა გავიდე კორტზე და ორი-სამი სეტი ვითამაშო. უკვე ორი კვირაა სრულფასოვანი რეჟიმით ვვარჯიშობ და ტრავმას აღარ შევუწუხებივარ. 100 პროცენტით ჯანმრთელი ვარ. რა თქმა უნდა, ჯერ მზად არ ვარ ერთეულთა თანრიგში სათამაშოდ და ახლა, სწორედ ამ მიმართულებით ვაპირებ მუშაობას.

**- მიიღებთ თუ არა მონაწილეობას მაიამის ტურნირში? თქვენ იქ განაცხადიც გაქვთ შეტანილი...**

- ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ. აქ ორი დღის წინ რამდენიმე სეტის სათამაშოდ ჩამოვედი. მინდოდა გამეგო, როგორ ვიგრძნობდი თავს ოფიციალურ შეხვედრებში. ამ მომენტში ჩემი ერთადერთი მიზანი - აღდგენითი პროცესია. როგორც უკვე გითხარით, შემიძლია სრული დატვირთვით თამაში, მაგრამ ტურნირი სულ სხვა საქმეა. დარწმუნებული არ ვარ, შევძლებ თუ არა 7-8 დღის განმავლობაში ძალების სრული დახარჯვით თამაშს, ინდიან უელსისა და მაიამის ტურნირები კი სწორედ ასეთ რეჟიმს მოითხოვენ. იქამდე არ ვითამაშებ ერთეულებში, სანამ არ მივხვდები, რომ ამისთვის 100 პროცენტით ვარ მზად.

**- დღევანდელ მატჩს როგორ შეაფასებდით?**

- სიმართლე გითხრათ, წყვილთა თანრიგში თამაში დამვიწყებია. შედეგიც შესაბამისი მივიღე. არ ვიცოდი, რომ სეტებს შორის შესვენებებისას მწვრთნელს კორტზე გამოსვლისა და რჩევების მიცემის უფლება აქვს. მაგრამ ჩემთვის ამ ნაგებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ვიგრძენი ასეთი დონის მატჩებისთვის დამახასიათებელი ატმოსფერო. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობა უნდა გადავუხადო ვესნინას იმისთვის, რომ ჩემს პარტნიორობას დათანხმდა.

**- ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ტრავმის შემდეგ მოწოდების ტექნიკა შეცვალეთ?**

- სულ ოდნავი ცვლილებაა. დღეს მოწოდება არ გამომივიდა. მაგრამ ეს ხომ ჩემი პირველი მატჩი იყო ბოლო რვა თვის განმავლობაში. გასაგებია, რომ ბევრი ასეთი შეხვედრა უნდა ჩავატარო, რათა ძველი ფორმის დაბრუნება შევძლო.

**- თავისუფალ დროს რითი იყავით დაკავებული?**

- თქვენ ფიქრობთ, რომ თავისუფალი დრო თავზესაყრელი მქონდა?! სულაც არა. თავისუფალი დრო მხოლოდ მოგზაურობისთვის, ოჯახის წევრებთან ურთიერთობისა და დასვენებისთვის მქონდა. მე ხომ მიჩვეული ვიყავი, რომ შობის შემდეგ ჩანთა უნდა ჩამელაგებინა და ტურნირებზე გავმგზავრებულიყავი. ამჯერად კი ცხოვრებით მაქსიმალურად დავტკბი. და აი, ახლა ისევ დავბრუნდი. სხვათა შორის, წყვილებში საპრიზო ფონდითაც დავინტერესდი და გავარკვიე, რომ აქ არც ისე ცუდი ჰონორარები ყოფილა. ახლა კრიზისია და ნებისმიერი სამუშაო მისაღებია.

**- სეზონის პირველ "დიდ სლემს" - ავსტრალიის ღია პირველობას თვალს ადევნებდით?**

- დიახ. ყოველდღე, საღამოს ექვს საათზე ვარჯიშს ვამთავრებდი და ტელევიზორს ვრთავდი. რასაც გადმოსცემდნენ, ყველაფერს ვუყურებდი. რაფაელ ნადალისა და როჯერ ფედერერის ფინალის სანახავად ღამის სამ საათზე სპეციალურად გავიღვიძე. ეს ჩემთვის ნამდვილი გმირობის ტოლფასია! ადრე ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია.



# როჯერი მამა ხდება

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გულშემატკივრებს ერთი სასიხარულო ამბავი შეატყობინა - ამ ზაფხულს როჯერი მამა გახდება.

*"გულშემატკივრებს ერთი შესანიშნავი ახალი ამბავი უნდა ვაცნობო - ამ ზაფხულს მე და მირკა მშობლები გავხდებით. მირკა ფეხმძიმედაა და წინასწარ ვტკბებით იმით, რომ ნამდვილი ოჯახი გვექნება. ეს ჩვენი ოცნება იყო. ბავშვები ძალიან გვიყვარს და მოუთმენლად ველით შვილის დაბადებას. ყველაფერი კარგად მიდის და მირკა თავს შესანიშნავად გრძნობს"*, - წერია ოფიციალურ ვებგვერდზე ფედერერის მიმართვაში.

ახლა ფედერერს შეუძლია დროებით მაინც დაივიწყოს კორტზე ბოლოდროინდელი წარუმატებლობები. მოახლოებული მამობა კი მას ახალ მოტივაციას შესძენს და რეიტინგში პირველი პოზიციის დაბრუნებაში დაეხმარება. როჯერს უკვე მომავალ კვირას შეეძლება თავისი ფანების გახარება - შვეიცარიელი დღეს ჩაება ინდიან უელსის ტურნირში.

საგულისხმოა, რომ ზუსტად ერთი წლის წინ გავრცელდა ჭორი ფედერერის შეყვარებულის - **მირკა ვავრინეცის** ორსულობის შესახებ, მაგრამ მაშინ ეს ინფორმაცია სასწრაფოდ უარყვეს. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, როჯერი და მიროსლავა პირველ შვილზე პეკინის ოლიმპიადის შემდეგ დაფიქრდნენ და აი, შედეგიც.

# მაკინროი მარაკანაზე



ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ჯონ მაკინროი** ბრაზილიაში ვეტერანთა ტურნირში მონაწილეობის მისაღებად არის ჩასული. გუშინ, მაკინრომ ბრაზილიის ლეგენდარული საფეხბურთო სტადიონი "მარაკანა" მოინახულა.

ჩოგბურთელს მეგზურობას ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ბებეტო უწევდა. ბოლოს მან მაკინროს ბრაზილიის ნაკრების 9-ნომრიანი მაისურა აჩუქა, ჩოგბურთელმა კი "მარაკანას" მინდორზე თავისი ტექნიკის დემონსტრირება სცადა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# როდიკი შოუბიზნესს უმიზნებს



ამერიკელი ჩოგბურთელი **ენდი როდიკი** მომღერალ **მაიკლ ტოლჩერის** ახალ კლიპში გადაიღეს, რომლის სახელწოდებაა - Speels Feels Better. ენდის სიტყვებით, ეს ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი იყო და მას მომავალშიც გაიმეორებს, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალება მიეცემა.

ამერიკელმა კლიპში თავის გამოჩენას ასეთი ახსნა მისცა: *"მაიკლს ამ კლიპის გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე შევხვდი. რამდენიმე წლის წინ მან დიდი პატივი დამდო და ჩემ მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ამიტომაც, როცა საკუთარ კლიპში მონაწილეობა შემომთავაზა, ჩავთვალე, რომ ეს ჩემი მხრიდან მადლობის გადახდის კარგი შანსი იქნებოდა"*.

როდიკის გარდა, ტოლჩერის კლიპში სხვა სპორტსმენებიც არიან დაკავებულნი - **ამანდა ბერდი, კიმი მაისნერი, ბარი სანდერსი** და **რიკა ანკილია**.

